

123-123456  
1234

# საბჭოთა სელოვნება



1977

8



8/1977

# სსსკ-ის საბჭოთა სენსიტიზაცია

საპარტვიზოს სსრ კულტურის სამინისტროს  
შრომთაშორისი მუშაობის

## შინაარსი

კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა ახალი ომნი- ბიტუციის პროექტი . . . . .	2
<b>ნოდარ გურაბანიძე</b> — ბამბაჯავახის ბრძოლი ბზა (რუსთაველის თეატრის გასტრო- ლები დასავლეთ გერმანიასა და შვეიცარიაში) . . . . .	12
<b>გივი ორჭონიკიძე</b> — ქართულ კომპოზიტორთა შემოქმედებითი ანბარი . . . . .	28
<b>მანანა ახმეტელი</b> — ქუთაისის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის პირ- ველი კონცერტი . . . . .	40
<b>„სოციალური“ თეატრის</b> . . . . .	45
<b>ალექსი ხალაბუძე</b> — ვალერი კლუბნიკოვის ნაშრომების გამოცემა . . . . .	46
<b>მერაბ კოკრაშვილი</b> — ახალგაზრდების შემოქმედება . . . . .	51
<b>ნოდარ მამისაშვილი</b> — ახალი ქართული ორკესტრი . . . . .	59
<b>ნატო დევძე</b> — გიორგი ხარაბაძე . . . . .	61
<b>თამაზ ჩხენკელი</b> — ანთონოვსკის გეომეტრიული სტრუქტურა . . . . .	67
<b>ლიმონი თუმანიშვილი</b> — ქართული ტაძრის ბაჟი სხვის მართი თავისებურებისათვის . . . . .	82
<b>ოქტავი კვიციანი</b> — რა გედი ილის კვლე თეატრის? . . . . .	90
<b>ისაყ ბაბელი</b> — მარია (შესავალი და თარგმანი თამარ კვანტარაძისა) . . . . .	102
ახალი წიგნები . . . . .	115
პრონება . . . . .	116

## თავტრი მუსიკა მხატვრობა კინო არქიტექტურა პროზაობა

მთავარი რედაქტორი  
თამაზ ზილაძე  
სარედაქციო კოლეგია:  
აკაკი ბაქრაძე,  
ვახტანგ ბერიძე,  
ჯუმაბაგ თითქარია  
(გასულიყოფილი მდივანი),  
ნოდარ ბაბუნი,  
ვანო კიკნაძე,  
ნოდარ გულუგლიშვილი,  
ზურაბ ნიჭარაძე,  
გივი ორჭონიკიძე,  
ნათელა ურუშაძე,  
რამაზ ჩხიშიძე,  
ანტონ ფულაქიაძე,  
ნიკო ჭავჭავაძე,  
ნოდარ ჯანაშიაძე.

# კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა ახალი კონსტიტუციის პროექტი

ჰპრ კიდევ წელიწად-ნახევრის წინ აშ. ლ. ი. ბრეჟნემა სკკპ XXV ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან განაცხადა: „სოციალიზმი ღინამიკურად განვითარებული საზოგადოებაა. ჩვენ არც ერთი დღე არ ვდგავართ ერთ ადვლას, მუდამ წინ მივდივართ. ამიტომ მუშაობას, რომელიც განხორციელდა ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური სისტემის სრულყოფის მიზნით, ღრმა სოციალურა აზრი და მნიშვნელობა აქვს.

ვიმეორებ, გაკეთებულია ბევრი. და ახლა ღროა განვაზოგადოთ უკვე მიღწეული. ამით ვებლმძღვანელობთ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის მომზადების ღროს. ეს მუშაობა მიმდინარეობს გულმოდგინედ, აუჩქარებლად, რათა რაც შეიძლება ზუსტად ავწონ-დავწონოთ ყოველი წამოჭრილი პრობლემა და შემდეგ პროექტი გამოვიტანოთ საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის“. ამასთან, მომხსენებელმა ყრილობის დღეუბატებს იქვე გააცნო ზოგიერთი მთავარი მომენტი მომავალ კონსტიტუციასთან დაკავშირებით.

ღიახ, ხალხმა იცოდა, რომ სპეციალური კომისია მუშაობდა საბჭოეთის ახალი კონსტიტუციის პროექტის შესაქმნელად, რომ ამ გრანდიოზულ საქმიანობას ხელმძღვანელობდა თვით ლ. ი. ბრეჟნევი, რომ ხანგრძლივი, აუჩქარებელი, გულმოდგინე მუშაობა სასურველ ნაყოფს გამოიღებდა და ხალხსეე გადაეცემოდა განსახილველად მისსავე საბედნიეროდ შექმნილი ქართია.

ეს დღეც დაღვა.

მიმდინარე წლის 24 მაისს გამართულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოისმინა ჩვენი პარტიის გენერალური მდივნის, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის აშ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ“.

4 ივნისს საბჭოთა პრესაში გამოქვეყნდა თავად ახალი კონსტიტუციის

პროექტი, რომელიც საკონსტიტუციო კომისიამ წარმოადგინა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოიწონა საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოსატანად.

5 ივნისს ფართო საზოგადოება ვაზეთების საშუალებით გაეცნო ანხ. ლ. ი. ბრეჯნევის საპროგრამო მოხსენებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 24 მაისის პლენუმზე, რითაც შეუი მოეფინა ახალი კონსტიტუციის ძირითად თავისებურებებს, მისი მიღების მომავალ საჭიროებას.

მაინც რამ განაპირობა სსრ კავშირის ახალი — რიგით მესამე კონსტიტუციის შექმნის აუცილებლობა?

ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს ვპოულობთ თვით ანხ. ლ. ი. ბრეჯნევის მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე. მაგრამ მათ დამოწმებამდე გავისწავლოთ ჩვენი ახალი კონსტიტუციის წინაპრები, რომელთა ბევრი პრინციპული დებულება ძალაში რჩება დღესაც და მემკვიდრეობით გადმოდის ახალ დოკუმენტში. ამრიგად, ხაზი ესმება მემკვიდრეობითობის პრინციპს, საბჭოთა ისტორიის მთელი კონსტიტუციური გამოცდილების განზოგადებას, ამ გამოცდილების გამდიდრებას დღევანდლობის შესაბამისი ახალი შინაარსით. ამასთან, ახალი კონსტიტუციის პროექტში გამოყენებულია მოძმე სოციალისტური ქვეყნების კონსტიტუციითა გამოცდილებაც.

მსოფლიოში პირველი სოციალისტური ქვეყნის პირველი კონსტიტუცია — რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია — 1918 წლის ივლისში მიიღო სრულიად რუსეთის საბჭოების V ყრილობამ.

როგორც საბეჭდოდებიდან ჩანს, ეს კონსტიტუცია მხოლოდ რსფსრ-ისა იყო (სსრ კავშირი მისი მიღებიდან ოთხ-ნახევარი წლის შემდეგ შეიქმნა), მაგრამ მიიშენებლობით უდიდესი, ვინაიდან „მან კანონმდებლობით განამტკიცა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიადი მონაპოვარნი: საბჭოთა ხელი-სუფლება როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ფორმა, კერძო კაპიტალისტური და მემამულური საკუთრების გაუქმება, რუსეთში მოსახლე ყველა ხალხის თანასწორფლებიანობა და სხვ. კონსტიტუციამ რუსეთის ყველა მშრომელისათვის უზრუნველყო სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობა, ექსპლოატატორებს ჩამოართვა საარჩევნო უფლება“. ამდენად, მას სამართლიანად უწოდებენ ოქტომბრის მონაპოვართა დამამკვიდრებელ კონსტიტუციას.

აღნიშნული კონსტიტუციის მიღება მოხდა მეტად მძიმე პირობებში, როცა აღსადგენი იყო ქვეყნის ეკონომიკა, ხოლო სამეურნეო ცხოვრება სოციალისტის საწყისეზე გარდასაქმნელი; როცა დასაცავი იყო შვილობა და ქვეყნის მშვიდობიანი განვითარება; როცა გამწვავებული ვახლდათ სასურსათო კრიზისი და პურისთვის ბრძოლა, ფაქტიურად, სოციალისტისათვის ბრძოლას უდრიდა.

ცნობილია, რომ თვით სრულიად რუსეთის საბჭოების V ყრილობის მსვლელობისას, 6 ივლისს, მემარცხენე ესერებმა მოაწყვეს ანტისაბჭოთა შეთქმულება, რომელმაც კინაღამ არ გამოიწვია ომი გერმანიასა და საბჭოთა რუსეთის შორის. მართალია, შეთქმულება მალე ჩააქრეს, მაგრამ თვით ამ ფაქტმა დიდი მლევარება განაცდევინა საბჭოთა მთავრობასა და ყრილობის მონაწილე ბოლშევიკებს. (სხვათა შორის, ამ მოვლენას მიეძღვნა მხატვრული ფილმი „ექვსი ივლისი“, რომელშიც ვ. ი. ლენინის როლი ბრწყინვალედ განახორციელა რსფსრ-ის დამსახურებულმა არტისტმა ი. კაიუროვმა).

მას შემდეგ, რაც 1922 წლის 30 დეკემბერს შეიქმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, ბუნებრივია, საჭირო გახდა არა ერთი რომელიმე რესპუბლიკის, არამედ მთლიანად სსრ კავშირის კონსტიტუციის მომზადება და მიღება. და აი, სსრ კავშირის საბჭოების 11 ყრილობამ 1924 წელს

სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოების სრულ ღირებულებათა დაცვისა და გამარჯვლებისათვის. საბჭოთა ადამიანების კულტურული დონის ასაზღაურებლად მათი ფართო გამოყენებისათვის.

სსრ კავშირში უძველესი რაოდენობის ხელი ბრძოლისათვის ხელშეწყობისა და ხალხური მხატვრული შემოქმედების განვითარებას.

საბჭოთა სოციალისტური კონსტრუქციის კავშირის კონსტრუქციის პროგრამა

მიიღო კიდევ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პირველი კონსტრუქცია, რომელსაც ეწოდა საკავშირო სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის პრინციპების განმარტებული კონსტრუქცია.

მისი შექმნის პერიოდს საკმაოდ რთული იყო, როგორც ეკონომიკის, ასევე შინაპარტიული ბრძოლების თვალსაზრისით. მაგრამ პარტიის მტკიცედ ეჭირა საკუთარი მანეთადერთი სწორი პოლიტიკა მიიჩნია ნების ვატანობა, რითაც გააძლიერა პროლეტარიატის დიქტატურა, განამტკიცა კავშირი მუშებსა და ღლეხებს შორის და ქვეყანაში სწრაფი ტემპით დასაბრუნა სოციალიზმისკენ. მთავარი მიღწევა კი ის იყო, რომ პარტიის წინამძღოლობით გადაიჭრა საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა ეროვნების ხალხთა ძმური ერთიანობა, მათი შეკავშირება სოციალისტური რესპუბლიკების ურდევ კავშირად. წარმატებით დამთავრდა პირველი ხუთწლიანი, დაისახა მეორე ხუთწლიანი დაეკავებოდა ვადამდე შესრულების რეალური გზები. ყოველივე ეს კი წესრიგდებოდა და სსრ კავშირის პირველი კონსტრუქციით, რომელიც ცამეტ წელიწადს ემსახურა საბჭოთა ხალხს.

მეორე ხუთწლიანში ძირითადად დამთავრდა სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქცია, წარმატებით დაგვირგვინდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, განხორციელდა ქვეყნის კულტურული რევოლუციით დასახული ღონისძიებანი, სავარძობლად გაუმჯობესდა მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა, ლღად გაშალა ფრთები ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ; სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა სოციალისტური ეკონომიკა და ამათ გადაწყვედა კიდევ სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა. სსრ კავშირში გაიმარჯვა სოციალიზმი.

შიშვენლოვანი ცვლილებები მოხდა ქვეყნის მოსახლეობის კლასობრივ შემადგენლობაშიც. ცხადია, მოისპო ექსპლოატატორული კლასები, მაგრამ სავარძობი ცვლილებები განიცადეს მუშათა და გლეხთა კლასებში, ინტელიგენციაში.

ჭერ ერთი, კაპიტალიზმის დამამხოველი და წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ სოციალისტურ საკუთრებად გადაქცევი მუშათა კლასი აღარ იყო პროლეტარიატი პირვანდელი, ძველი გაგებით. იგი იქცა ბრძოლაში გამომბრძველი, თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებულ მუშათა კლასად, რომელსაც უნარი შესწევდა ხელმძღვანელობა გაეწია მთელი საზოგადოებისთვის და იგი წარმართა კომუნისმისკენ.

მეორე, ექსპლოატირებული, დაჩაჩანაკებული, წერილი მწარმოებელი გლეხობის ნაცვლად, საბჭოთა სინამდვილეში შეიქმნა კოლექტიურ შრომაზე დაფუძნებული კოლმეურნე გლეხობა.

მესამე, მოვიდა ახალი, სოციალიზმის ერთგული ინტელიგენცია.

და კიდევ უფრო შიშვენლოვანი მოვლენა — შეიქმნა ერთმანეთისადმი მართი სიყვარულით გამსჭვალული სოციალისტური ერები.

დაახლოებით ასეთ ვითარებაში შეიქმნა და ყოველივე ეს აისახა ახალ (მეორე) კონსტრუქციაში, რომელიც 1936 წლის ნოემბერში მიიღო საბჭოების საგანგებო VIII სრულიად საკავშირო ყრილობამ. ეს იყო გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის კონსტრუქცია, რომელსაც დემოკრატიულობის მხრივ ბადალი არ მოეპოვებოდა მთელ მსოფლიოში მანამდე არსებულ კონსტრუქციათა შორის.

„ახალმა კონსტრუქციამ სსრ კავშირის ყველა მოქალაქეს კანონმდებლობით დაუშვებოდა შრომის, დასვენების, განათლების უფლება, მოხუცებულობაში, აგრეთვე ავადმყოფობის, შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში მატერიალური უზრუნველყოფის უფლება“. ამავე დროს, მანვე დააყენა მოქალაქეებს სერიოზული მოვალეობანი: „მტკიცედ ასრულებდნენ საბჭოთა სახელმწიფოს კანონებს, იცავდნენ შრომის დისციპლინას, პატიოსნად ეცილებოდნენ თავიანთ საზოგადოებრივ მოვალეობას, პატივს სცემდნენ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, უფრთხილებოდნენ და განამტკიცებდნენ საზოგა-

დობრივ სოციალისტურ საკუთრებას, პატიონად ასრულებდნენ თავიანთ საპატიო მოვლუობას — საბჭოთა სახელმწიფოს შვიარაღებულ ძალებში სამხედრო სამსახურს, თავდადებით იცავდნენ სოციალისტურ სამშობლოს<sup>4</sup>.

ეს ყველაზე ჰუმანური და დემოკრატიული კონსტიტუცია ორმოცე მტერი წლის მანძილზე ემსახურა საბჭოთა სახელმწიფოს, ხალხს, მაგრამ საჭირო გახდა მისი შეცვლა, უფრო სწორად, გაუმჯობესება.

როგორც ვხედავთ, ახალი კონსტიტუციის მიღება ყოველთვის გამოწვეული იყო ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი ახალი, გრანდიოზული ცვლილებების, თვისებრივად ახალი ეტაპის შექმნისას. ასე მოხდა ამჯერადაც.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების თანახმად სკვპ ცენტრალური კომიტეტის მაიასი პლენუმზე, ახალი საბჭოთა კონსტიტუციის შექმნა გამოწვეულია მთელი რიგი მიზეზებით. კერძოდ, 1936 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ საბჭოთა კავშირში აშენდა განვითარებული, მომწიფებული სოციალისტური საზოგადოება. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეში განიცადა თვალსაჩინო, პრინციპული ცვლილებები.

მაგალითად, ძირფესვიანად გარდაიქმნა სოციალისტურ საკუთრებაზე დაფუძნებული ქვეყნის ეკონომიკა; საგრძნობლად შეიცვალა საზოგადოების სოციალური სახეც; დღევანდელი მუშათა კლასი, გლეხობა და ინტელიგენცია ის არ არის, რაც ორმოცი წლის წინ იყო.

ჩვენი დღევანდელი მუშათა კლასი — ეს არის ქვეყნის მოსახლეობის ორი მესამედი. — აღნიშნა ამხ. ლ. ი. ბრეჟნემა მაისის პლენუმზე. — ეს არის ათმილიონობით განათლებული, ტექნიკურად წინეირი, პოლიტიკურად მომწიფებული ადამიანი. მათი შრომა სულ უფრო მეტად უახლოვდება ინჟინერ-ტექნიკური მეტყეების შრომას. მნიშვნელოვნად გაიზარდა მუშების საზოგადოებრივი აქტიურობა, მათი მონაწილეობა სახელმწიფოს მართვა-გამგებოში<sup>5</sup>.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის განსაზღვრით, „ახლანდელი კოლმეურნე გლეხობა დიხბდა და გაიზარდა კოლმეურნეობაში, მისი ფსიქოლოგია უკვე სოციალისტურ საფუძველზე ჩამოყალიბდა. იგი თანამედროვე ტექნიკას მართავს. მისი განათლების დონე, მისი ცხოვრების წესი კი ხშირად მცირედ თუ განსხვავდება ქალაქის მკვიდრთა დონისა და ცხოვრებისაგან“.

აი, როგორ შეფასებას აძლევს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი თანამედროვე ინტელიგენციას: „ნამდვილად სახალხო, სოციალისტური გახდა ინტელიგენცია. ხალხის კულტურის დონის ამაღლებისა და კომუნისტურ მშენებლობაში მეცნიერების როლის უმაგალითო ზრდის კვალობაზე მატულობს ინტელიგენციის ზედრითი წონაც ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში“.

აღსანიშნავია სხვა გარემოებანიც. კერძოდ ის, რომ ჩვენს ქვეყანაში არა მარტო იურიდიული, არამედ ფაქტურიც გახდა ერების თანასწორობა. საბჭოთა ხალხის სახით შეიქმნა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა. და რაც ერთ-ერთი მეტად დამახასიათებელი ცვლილებაა, პროლეტარიატის დიქტატურად წარმოქმნილი საბჭოთა სახელმწიფო გადაიქცა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ.

ამ მხრივ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ხაზგასმითაა აღნიშნული ორი მთავარი მომენტიც: პირველი, კიდევ უფრო გაიზარდა და პასუხსავეები გახდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის როლი ქვეყნის საშინაო და საგარეო ცხოვრებაში, ვფართოვდა პარტიის წარმმართველი ზემოქმედების მასშტაბი.

და მეორე, ერთობ შეიცვალა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა და, საერთოდ, მსოფლიოს მთელი სოციალურ-პოლიტიკური სახე. აქ შედეგობაშია მიღებული ის გარემოებანი, რომ ჩვენს ქვეყანას მოეხსნა კაპიტალისტური გარემოცვა; რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სოციალიზმი მსოფლიო სისტემად გადაიქცა და შეიქმნა მძლავრი სოციალისტური თანამეგობრობა, რომ მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ თავი დააღწია კოლონიალიზმს... ყოველივე ამან კი შესუსტა კაპიტალიზმის პოზიციები, მისი გავლენის სფე-

მოქალაქეთა უზღავების  
უზველგვარი, პირდაპირი თუ  
არაპირდაპირი შეზღუდვა, რა-  
სობრივი და ეროვნული ნიშ-  
ნების მიხედვით მოქალაქეთა  
პირდაპირი თუ არაპირდაპი-  
რი უპირატესობების დაწესე-  
ბა, ისევე როგორც რასობრი-  
ვი ან ეროვნული განსაკუთ-  
რებულობის, უზღვეობა ან  
უზღვეაქვეყნის მოქალაქეა-  
რი ქადაგება, — კანონით ის-  
ჯება.

საბოლოო სოციალისტური რეს-  
პუბლიკის აპოკრიფს კონსო-  
ბაციის პროპაგანდა

როები და გაზარდა საბჭოთა ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტი, იგი იქცა  
მშვიდობის ურყვე მებრძობად.

ახალი კონსტიტუციის შემუშავების აუცილებლობა იმიტომ არის გამოწე-  
ვეული, რომ ამჟამად საბჭოთა ხალხი დღეს ახალი ამოცანების წინაშე. ეს არის  
კომუნისტური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, სოციალისტური საზოგადო-  
ებრივი ურთიერთობის კომუნისტურ ურთიერთობად გარდაქმნა, აღამიანთა  
კომუნისტური შეგნების სულისკვეთებით აღზრდა.

როგორც ითქვა, ახალი კონსტიტუციის პროექტი იცავს მემკვიდრეობით  
ზრინობისა და იდეალისწინებს სოციალისტური ქვეყნების კონსტიტუციათა  
მდიდარ გამოცდილებასაც. მაგრამ მას აქვს განსაკუთრებული ნიშანთვისება,  
რომლებიც წარმოგვიდგება ახალი, მეცნიერულად სრულყოფილი დებულებე-  
ბითა და მიდგომით მთელი რიგი საკითხებისადმი, უკვე არსებულის დახვეწე-  
თა და სრულყოფით, ახალი თავების შექმნით და სხვა. ერთი სიტყვით, ახალი  
კონსტიტუციის პროექტის გაცნობისას რწმუნდები, რომ იგი არა მარტო მო-  
ცულობით გაზარდა, არამედ შინაარსობრივად, უფლებრივად გაფართოვდა  
და დაიხვეჭა. ჩანს, რომ ეს არის მართლაც ხანგრძლივი, გულმოდგინე, აუჩქარ-  
რებელი, ნაყოფიერი მუშაობის შედეგად შექმნილი დოკუმენტი.

განსხვავება ამჟამად მოქმედ კონსტიტუციასა და მის ახალ პროექტს ში-  
რის იმდენად ნათელია, რომ იგი თვალში გვგვდება თვით პირველი მუხლების  
შედარების დროსაც კი.

1936 წლის კონსტიტუციაში ვკითხულობთ:  
„მუხლი 1. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი არის მუშა-  
თა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო“.

ახალი კონსტიტუციის პროექტში კი ეს მუხლი ასე მეცნიერულად და თა-  
ნამედროვედაა წარმოდგენილი:

„მუხლი 1. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი არის სო-  
ციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფო, რომელიც მუშათა კლასის, გლე-  
ხობისა და ინტელიგენციის, ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ნებასა და  
ინტერესებს გამოხატავს“.

აქ საქმე მხოლოდ ტერმინოლოგიაში როდია; ამავე თანამედროვე მომენ-  
ტის, თვისებრივად ახალი ეტაპის წარმოჩენაში.

კონსტიტუციის ახალ პროექტში, უპირველეს ყოვლისა, ხაზგასმულია კო-  
მუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი და წარმოდ-  
გენილია აბეციალური (მე-6) მუხლით, რომელიც გვაძინობს: „საბჭოთა საზო-  
გადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა, მისი პოლიტიკური სის-  
ტემის, ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ბირთვია საბ-  
ჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარ-  
ტია ხალხისთვის არსებობს და ხალხს ემსახურება.“

მაქსისტულ-ლენინური მოძღვრებითა შეიარაღებული კომუნისტური პარ-  
ტია განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების გენერალურ პერსპექტივას,  
სსრ კავშირის სამინაო და საგარეო პოლიტიკის გზებს, ხელმძღვანელობს საბ-  
ჭოთა ხალხის დიად აღმშენებლობით საქმიანობას, გეგმაზომიერ, მეცნიერუ-  
ლად დასაბუთებულ ხასიათს ანიჭებს მის ბრძოლას კომუნისტური გამარჯვები-  
სათვის“.

როგორც ახალი კონსტიტუციის პირველ მუხლში ენახეთ, სსრ კავშირი  
კვალიფიცირებულია სოციალისტურ საერთო-სახალხო სახელმწიფოდ. ეს სრუ-  
ლად ახლებური ტერმინია და მაქსიმალური სიზუსტით გამოხატავს სანამდ-  
ეოლეს. ამასთან დაკავშირებით კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ სსრ კავ-  
შირში შეიქმნა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება და ჩვენი ქვეყ-  
ნის უზუენაქსი მიზანია კომუნისტური აწვენება; ეინადან საერთო-სახალხო სახელ-  
მწიფო გამოხატავს ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და  
სოციალისტური ინტელიგენციის, ყველა ერისა თუ ეროვნების საერთო ნე-  
ბისა და ინტერესებს. ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში სკკპ ცენტრალური

კომიტეტის მაისის პლენუმზე წამოყენებულია წინადადება, რომ „ჩვენს საბჭოებს ეწოდოს **სახალხო დემუკრატია საბჭოები**“.

მთავარი მიმართულება, რაც წითელ ზოლად გასდევს ახალი კონსტიტუციის პროექტს, ის არის, რომ იგი აფართოვებს და აღრმავებს სოციალისტური დემოკრატიას. მერვე მუხლში ნათქვამია: „საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულებაა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაფართოება: მშრომელთა სულ უფრო ფართო მონაწილეობა საზოგადოებისა და სახელმწიფოს საქმეთა მართვაში, სახელმწიფო აპარატის სრულყოფა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივობის ამაღლება, სახალხო კონტროლის გაძლიერება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცება, საჯაროობის გაფართოება საზოგადოებრივი აზრის მუდამ გათვალისწინება“.

ახალი კონსტიტუციის პროექტში უფრო ფართოდ და სრულყოფილადაა მოცემული საბჭოთა ადამიანების უფლება-მოვალეობანი, მათი პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებანი. ანხ. ლ. ი. ბრეჟნევი განმარტავს ერთ-ერთ დამახასიათებელ მომენტს: „თუ წინათ ლაპარაკი იყო შრომის უფლებაზე, ახლს მას ემატება მოქალაქის მოწოდების, უნარის, პროფესიული მომზადებისა და განათლების შესაბამისად პროფესიის, საქმიანობისა და მუშაობის არჩევის უფლება, აგრეთვე — რასაც არაჩაქლები მნიშვნელობა აქვს — გათვალისწინებულია საზოგადოებრივი მოთხოვნილებანიც“.

ამასთან, პროექტში ყველგან ხაზგასმულია, რომ უფლებები მტკიცედაა გადააქვეული მოვალეობებთან, რომ დაუშვებელია მონიჭებელი უფლებების ბოროტად გამოყენება. მაგალითად, სხვადასხვა ადგილას მკაფიოდაა ნათქვამი: „არავის არა აქვს უფლება პირადი გამორჩენის მიზნით იყენებდეს სოციალისტურ საკუთრებას“; ან „ქონება, რომელიც პირად საკუთრებად და სარგებლობისათვის აქვთ მოქალაქეებს, არ შეიძლება იყოს არაშრომითი შემოსავლის მიღების წყარო ან გამოყენებულ იქნეს საზოგადოების საზიანოდ“; ან კიდევ: „მოქალაქეთა მიერ უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენება არ უნდა ვეუბნეს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს და სხვა მოქალაქეთა უფლებებს“ და ა. შ.

კონსტიტუციაში ნათლადაა გამოვლენილი სოციალიზმის უზუნაესი მიზანი — ყველაზე სრულად დაკმაყოფილდეს ადამიანთა მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი.

„ლანიშნავია ისაც, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტში ცალკე შევიდა სამი ახალი თავი (მესამე, მეოთხე და მეხუთე თავები): „სოციალური განვითარება და კულტურა“, „საგარეო პოლიტიკა“ და „სოციალისტური სამშობლოს დაცვა“.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მესამე თავის ის მუხლები, სადაც დაკანონებულია, რომ „...საბჭოთა სახელმწიფო მიზნად ისახავს ვააფართოოს რეალური შესაძლებლობანი მოქალაქეთა მიერ თავიანთი შემოქმედებით ძალების, უნარისა და ნიჭის განვითარებისა და გამოყენებისათვის, პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის“.

ამავე თავის 27-ე, დამამთავრებელ მუხლში კი ნათქვამია: „სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოების სულიერ ღირებულებათა დაცვისა და გამრავლებებისათვის, საბჭოთა ადამიანების კულტურული ღონის ასამაღლებლად მათი ფართო გამოყენებისათვის“.

სსრ კავშირში ყოველნაირად ეწყობა ხელი პროფესიული ხელოვნებისა და ხალხური მხატვრული შემოქმედების განვითარებას“.

ზოგადად მიმოხილული ეს და სხვა ახლებურად დაყენებული საკითხები განსაზღვრავენ ახალი კონსტიტუციის პროექტის თავისებურებებს, მის უდიდეს სიშინაო და საერთაშორისო მნიშვნელობას. ყოველივე ეს კი სიამაყის გრძნობით აღავსებს თითოეულ საბჭოთა და მსოფლიოს კეთილი ნების ადა-

მიანება, რომლებიც კონსტრუქციაშიც ხედავენ თავიანთი ფიქრებისა და სა-  
ნუჯარი ოცნებების, სურვილებისა და მოთხოვნების კანონით გათვალისწინე-  
ბულ ხორცშესხმას.

სკკ ცენტრალური კომიტეტის მისის პლენუმზე ამხ. ლ. ი. ბრენენკვა  
მოკვიწოდ: „ჩვენს წინაშე დგას ამოცანა — უზრუნველყოთ კონსტიტუციის  
პროექტის მაქსიმალურად ფართო, თავისუფალი და ნამდვილად საქმიანი გან-  
ხილვა.“ და გაითქვა რწმენა, რომ „ახალი კონსტიტუციის განხილვაში აქ-  
ტიურად ჩაებადებიან ჩვენი მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, უწი-  
ნარეს ყოვლისა — პროფკავშირები და კომკავშირი, შემოქმედებითი კავშირები  
და ორგანიზაციები, სამეცნიერო დაწესებულებანი“.

ეს მუშაობა ახალი კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებისთანავე დაიწ-  
ყო მთელი კავშირის მასშტაბით. საერთო-სახალხო განხილვაში აქტიურად მო-  
ხაწილებუნ საქართველოს მშრომლები — მუშები, კოლმუშრენ გლეხობა,  
ინტელიგენცია, ახალგაზრდობა.

რესპუბლიკის პრესაში უკვე გამოვიდნენ თავიანთი მოსაზრებებითა და  
წინადადებებით გამოჩენილი მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები, თეატრისა  
და კინოს მუშაკები, ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენ-  
ლები.

ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვას მიეძღვნა საქართველოს კომ-  
პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეექვსე პლენუმი, რომელიც 10 ივნისს გაი-  
მართა. რესპუბლიკის კომუნისტებმა მთელი საქართველოს მშრომელთა სახე-  
ლთ ერთსულოვნად მიიწონეს სკკ ცენტრალური კომიტეტის მისის პლენუ-  
მის გადაწყვეტილებანი.

პლენუმმა დაწვრილებით, საქმიანად, საინტერესოდ განიხილა ახალი კონს-  
ტიტუციის პროექტი და დასახა ღონისძიებები საქართველოში მისი შესწავლი-  
სა და პრაზიანდისათვის, რომელიც ითვალისწინებს, რომ რესპუბლიკის ყვე-  
ლა მშრომელმა შეისწავლოს ახალი კონსტიტუციის პროექტი და უშუალო მო-  
ნაწილობა მიიღოს მის განხილვაში. პლენუმზე მიღებული კონკრეტული ღო-  
ნისძიებების ერთ ნაწილში ნათქვამია, რომ კონსტიტუციის განხილვის პერიოდ-  
ში საჭიროა საინტრუქტუო თათბირ-სემინარების ჩატარება იდეოლოგიური  
ფრონტის მუშაკებისათვის; შესამუშავებელია სათანადო ლექციების, მოხსე-  
ნებების, საავტაციო საუბრების, პოლიტინფორმაციების თემატიკა; მოსაწყე-  
ობა ლექტორიუმები, რომელთა მუშაობაში დიდი როლი უნდა შესარტონ  
სახალხო უნივერსიტეტებმა. პლენუმმა აღნიშნა, რომ დიდი საწარმოების, და-  
წესებულებების, მშენებლობების პირველად ორგანიზაციებთან უნდა გაისხნს  
კონსტიტუციის პროექტის შემსწავლელი მოკლევადიანი სპეციალური სკო-  
ლები; გარდა ამისა, შესადგენია აკტიმხატვრულ ბრიგადები; მოსაწყობია სპე-  
ციალური გამოფენები, კონკურსები და სხვა.

ამ მხრივ დიდი დახმარების ვაწევა შეუძლიათ ხელოვნების მუშაკებს და  
მთ შრიან მუწაობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, მით უმეტეს, რომ  
პლენუმმა, სხვა ხელმძღვანელ ამხანაგებთან ერთად, პრაქტიკული დახმარება  
სთხოვა შემოქმედებითი კავშირების პასუხისმგებელ მუშაკებს.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა მიმდინარეობს  
დიდი პოლიტკურფი ძვრების დროს ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო ცხოვ-  
რებაში. მთ შორის მთავარი და უმნიშვნელოვანესია ის შრომითი შემართება,  
რომელსაც იჩენს საბჭოთა ხალხი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუ-  
ციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯობრებაში.

საერთაშორისო სარბიელზე ახალი ფურცელი ჩაიწერა სსრ კავშირ-საფე-  
რახეთის მეგობრულ ურთიერთობაში, რომელიც თავიანთი ხელმოწერით და-  
დასტურებს სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მიდგანმა, სსრ კავ-  
შირის უმძღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ე. ე. ბრენენკვამ და  
საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდიენტმა ე. ე. კოსკარ დესტენმა, აგრეთვე —  
ორრე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ა. ა. გრომიკომ და ლ. დე გირენ-

სსრ კავშირის მოქალაქეებს  
აკვთ კულტურის მიღწევებით  
სარგებლობის უფლება.

ამ უფლებას უზრუნველ-  
ფროს სახელმწიფო და საზო-  
გადოებრივი ფონდებში არსე-  
ბული სამაგრო და მსოფ-  
ლირი კულტურის ღირსეულე-  
ბათა საწარმოებში მისაწვ-  
დომობა; ძველების დარღვევა-  
ზე კულტურულ-საგანმანათ-  
ლებლო დაწესებულებებთან  
ბუნებრივად და თანაბარო-  
მიერი განვლავება; საზღვარ-  
გარეთის სახელმწიფოებთან  
კულტურული გაცვლის გაზა-  
რითობა.

საპლატოს სოციალისტური რეს-  
პუბლიკის კავშირის კონსერ-  
ვაციის პროექტის

გომ; ორივე ქვეყნის საგარეო ვაჭრობის მინისტრებმა ნ. ს. პატოლიჩევმა და  
ა. რისიმ.

მიმდინარე წელი, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებული საბჭოთა საქარ-  
თ-ველსთვისაც: 22 ივნისს ერთი წელი შესრულდა სკვპ ცენტრალური კომიტეტის  
ტრის დადგენილების „პარტიის თბილისის საქალკო კომიტეტის ორგანიზატორ-  
რული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკვპ ცენტრალური კომიტეტის  
დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიულ ორგანიზაციის საქ-  
მიანობის შესახებ“ მიღებიდან.

ისტორიულ-პარტიულმა დოკუმენტმა ახალი მებრძოლი სული „შთაბე-  
რა არა მარტო ქალაქ თბილისის პარტიულ ორგანიზაციას, არამედ „დასაბამი  
მისცა რესპუბლიკაში პარტიული და პოლიტიკური მუშაობის ძირფესვიანად  
გარდქმნას“. მან მთელი საქართველოს კომუნისტები დარაზმა მეთაუ ხეოფ-  
ლდის მიჯნების ასაღებად. ამის ათელი დადასტურებაა ის, რომ ჩვენს რეს-  
პუბლიკას ზედიზედ მეთოხედ მიენჯა სკვპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ  
კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულად საკავ-  
შირო აღკვეტილებული კომიტეტის გარდაშენის წითელი დროშა X ხუთ-  
წლედის პირველი წლის საკავშირო სოციალისტურ შეგირებში გამარჯვე-  
ბისთვის.

ეს შემართება აღმავლობით გრძელდება ხეოფლდის მომდევნო წელსაც.  
რის შედეგადაც საქართველოს მრეწველობამ ვადამდე გაანდდა ნახევარი წლის  
გეგმა; თავდადებით შრომობენ სოფლის მეურნეობის მუშაკები; დღევანდე-  
ლობის შესაფერის სულიერ საზრდოს ქმნიან კულტურის ფორნტის საუფეთესო  
წარმომადგენლები.

დიდი ოქტომბრის საიუბილეო წელს ქართველმა ხალხმა მიიღო ეროვნული  
განძის — „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“ მეორე ტომი; მწყობრი  
ხადგა ა. ს. გრიბოედოვის სახელობის რუსული სახელმწიფო დრამატული თე-  
ატრის ახალი, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი შენობა; უმოკლეს დროშა  
აღდგა, უფრო კეთილმოწყობილი გახდა და დამშენდა თბილისის ზ. ფალა-  
ვილოის სახელობის თეატრისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი,  
რომელიც თავისი გრანდიოზულობით კვლავ ბრწყინავს რუსთაველის პრის-  
პეტზე და ახალი თეატრალური სეზონიდან განაახლებს მუშაობას.

მაისის ბოლის თბილისის ეწვია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ხელოე-  
ნებათმცოდნეთა დიდი ჯგუფი, რომელიც მონაწილეობდა ქართული ხელოე-  
ნისადმი მიძღვნილ მეორე მსოფლიო სიმპოზიუმში. ესეც ქეშმერსიერი აღიარე-  
ბა ქართული ხელოელების საკაცობრიო მასშტაბებისა.

საქართველოს დედაქალაქშივე მოეწყო მრავალი საინტერესო გამოფენა,  
კონცერტი, სლამი, გაიმართა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავსადმი მიძღ-  
ვნილი მშრომელთა თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების პირველი სრუ-  
ლიად საკავშირო ფესტივალი. და ყველაზეც ეს კონსტიტუციით მინიჭებული  
უფლებმა. მისი სიკეთის გამოვლენის ერთ-ერთი ფორმა.

კონსტიტუციის პროექტის ორ ახალ თავში (სოციალური განვითარება და  
კულტურა; საგარეო პოლიტიკა) ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „საბჭოთა სა-  
ხელმწიფო ხელს უწყობს... სსრ კავშირის ყველა ერისა და ეროვნების შემ-  
დგომ განვითარებასა და დახლოებას“, რომ „სახელმწიფო ზრუნავს საზო-  
გადოების სულიერ ღირებულებათა დაცვისა და გამარჯვებისათვის, საბჭოთა  
დაამიანების კულტურული დონის ასამაღლებლად მათი ფართო გამოყენებ-  
ისათვის“. დაბოლოს: „საბჭოთა სახელმწიფო... იღვწის ფართო საერთაშორისო  
თანამშრომლობისათვის“. ამასთან იგი, როგორც „სოციალისმის მსოფლიო  
ისტემის, სოციალისტური თანამეგობრობის შემადგენელი ნაწილი, ავითარებს  
და ამტკიცებს მეგობრობას და თანამშრომლობას, ამხანაურ ურთიერთგანა-  
რებას სოციალისმის ქვეყნებთან სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სა-  
ფუძველზე...“

ცხადია, ეს გარემოება ფართოდ ელნიდება ხალხთა კულტურული ურთი-

სსრ კავშირის უძველეს მო-  
ძალად სულმაბა აქვს შეი-  
ბანოს სახელწოდებით ორგანი-  
ზაცია და საზოგადოებრივ ორ-  
განიზაციებში წინადადებანი  
მათი საქმიანობის გაუმჯო-  
ბისთვის შესახებ, პაპარტი-  
ონის მუშაობაში პრესბუტერი  
ნაკლოვანებანი, თანამდებო-  
რის პირენ მოვალეობი არაინ  
კანონით დადგინელ ვადაში  
ბანიონონ მოძალაქეთა წი-  
ნადადაგანი და განცხადება-  
ნი, განცხენ მათ კავშირი და  
შირლონ სპირით ზომები  
პრინციპიათვის დაგნა სარ-  
ძალადიანი.

საპროტესტო სიტყვებითი რეს-  
პონსიანი კავშირის კონსტი-  
ტუციის კონკრეტული

ერთობის, კერძოდ, ლიტერატურასა და ხელოვნების სფეროებში; ამიტომ  
შრომითა დიდ კმაყოფილებას იწვევს კონსტიტუციის პროექტში ჩაწერილი  
ეს მუხლები. მით უმეტეს, რომ იგი ზუსტად ასახავს რეალურ სინამდვილეს და  
მართლაც შედგამს განვითარების გზებს. ამ მხრივ მრავალი მაგალითის მოყ-  
ვანა შეიძლება საბჭოთა საქართველოს ხელოვნების დღევანდელი მდგომარეობიდან. თუნ-  
დაც იქიდან, რაც წელს მოხდა ან მოხდება.

რამდენიმე წელია გულწრფელი მეგობრობა აკავშირებთ გერმანიის ფე-  
დერაციული რესპუბლიკის საარბიტრაჟაჟსა და საქართველოს სსრ თბილისის  
ხელოვნების მოსაწვევებს, რომელიც თეატრებისა და თეატრალთა ობიექტებ-  
შით დაიწყო და საერთოდ ხელოვნების ზეიმად იქცა. განა ფართო საერთაშო-  
რისო თანამშრომლობის უკეთესი მაგალითი გამოხატულება და ერთ-ერთი შე-  
მაღგენელი ნაწილი არ არის, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და  
საქართველოში რამდენიმე წელიწადია სისტემატურად ეწყობა გერმანული და  
ქართული კულტურის დღეები? განა ხალხთა სულიერ დამეგობრებაზე არ მე-  
ტყველებს ის ფაქტი, რომ გფრ-ში აღტაცებით ხვდებიან ქართველი მუსიკო-  
სების, ქორეოგრაფების, ხელოვნების სხვა დარგის ოსტატებისა და, რასაკვირ-  
ველია, თეატრის რეჟისორთა და მსახიობთა მაღალი რანგის ხელოვნებს?  
განა საარბიტრაჟაჟის თბილისის მოედნის არსებობა არ ნიშნავს ორი ერის ხელოვნათა  
ურთერთგვებასა და მეგობრობას? და ესეც კონსტიტუციის ძალით მოპო-  
ვებული შენაძენია.

საქართველოდან სავსატროლოდ ყოველწლიურად ათობით ანსამბლი და  
კოლექტივი გადის საზღვარგარეთ. მათი მხატვრულ-იდურონი დონე იმდენად  
გაორჯობდა, რომ, როგორც მომდევნო სოციალისტურ, ისევე კაპიტალისტურ ქვეყ-  
ნებში თავიანთი ხელოვნებას აჩვენებენ პიონერული ანსამბლი „მზიური“ და  
ბორჯომის რაიონული კულტურის სახლის კოლექტივი, რომელიც ამას წინათ  
წარმატებით გამოიყენა პოლონეთში.

შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური თე-  
ატრის უდიდესი მონაწილელია, რომ ამ სახელოვანმა კოლექტივმა, პირველმა  
ქართული თეატრის ისტორიაში, გაიყვანა გზა საზღვარგარეთის ქვეყნის სცენ-  
ისაყენ. უკვე აღარ გვაკვირვებს რუსთაველთა განსაკუთრებული გამოსვლები  
გფრ-ში, ვინაიდან წელს ეს შესანიშნავი კოლექტივი ესკივდა თვით ევროპის  
საზღვრებს და შორეულ მექსიკაში აჩვენა თავისი უხადო ხელოვნება, რითაც  
მოხაზლა სერვანტესის სახელობის ფესტივალის ეიფრიცა და მექსიკელი მახუ-  
რებელიც. ეს დიდი გამარჯვება ოქროს ასობით ჩაწერება ქართულ თეატრალ-  
ური კულტურის ისტორიაში, ვინაიდან მან არა მარტო ქართველ თეატრალ-  
თა შესაძლებლობები აჩვენა ამერიკის კონტინენტზე, არამედ — საერთოდ ქარ-  
თული აფრიკის, და თავი შეაყვანა ხალხს, რომელთა უმრავლესობამ არც ქარ-  
თული და საქართველოს, ქართველი ხალხის არსებობა. განა ეს არ არის ფართო  
საერთაშორისო თანამშრომლობის, მეგობრობის საინტერესო გამოვლენება?  
და ესეც კონსტიტუციით მონიჭებული უფლება-ვალდებულებაა.

ქართული ხელოვნება ზნობი და სასურველი სტუმარია მომდევნო საბჭოთა და  
სოციალისტური ქვეყნის ხალხებისა. ქართველ დრამატურგთა, კომპოზიტორთა,  
მხატვართა, თეატრისა და კინოს რეჟისორთა, ვოკალისტთა, ქორეოგრაფთა, მუ-  
სიკოს-შემსრულებელთა ხელოვნებას კარგად იცნობენ და შესაფერის პატივს  
სცემენ საბჭოთა კავშირში. ეს ძირითადად ორი გარემოებითაა განპირობებული:  
ერთი, ქართული ხელოვნება მაღალპროფესიულია, მეორე, იგი ხელს უწყობს  
საბჭოთა ერების ყოველმხრივ განვითარებასა და დაახლოებას, მოქალაქეთა  
აღზრდას საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის  
სულისკვეთებით, რასაც მოითხოვს სახელმწიფოს ძირითადი კანონი.

ჩვენ განსაკუთრებული სიახვეთა აღვნიშნავთ იმ ფაქტს, რომ სსრ კავში-  
რის დიდ თეატრში წარმატებით იღვებდა ქართველი ოპერა ქართველ მსახიო-  
ბების მონაწილეობით. ეს არის ზრუნვა სსრ კავშირის ხალხთა ურთერთობის  
შემდგომი განვითარებისა და დაახლოებისათვის მათი კულტურული დონის

სამაღლებლად! ასევე ამდიდრებს ქართველ ხალხს მოძვე ერების ლიტერატურა და ხელოვნება, რომლის გარეშე საერთოდ წარმოუდგენელია კულტურული აღმავლობის თანამედროვე ცხოვრება. და ესეც საკონსტიტუციო მოიხონებალდებულეაა.

1 ივლისს თბილისში გამართულმა საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესმა საბჭოს მეექვსე სესიამ პირველ საყოფაცანადი განხილვა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი. ამასთან დაკავშირებით სესიამ მოისმინა საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, დეპუტატ ე. ა. შვებარდნიას მოხსენება („ავამაღლოთ საბჭოების რელი სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის განხილვისა და შესწავლის საქმეში“), კმათში გამოსული დეპუტატების სიტყვა და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

ნასწ ნათქვამია: „რესპუბლიკის მშრომელები, მხურვალედ იწონებენ რა სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტს, კომუნისტური პარტიის ლენინურ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, აცხადებენ, რომ მზად არიან ყოველი ღონე იხნარონ მეთე ხეთფლედის სახელმწიფო გეგმიური დავალებების წარმატებით შესრულებისათვის, მთელი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, კისრულობენ ახალ გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულეებს, ვულითად მადლობას უძღვნიან სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანავ ლეონიდ ილიას ძე ბრეჯნევის კომუნისტური მშენებლობის გეგმების განხორციელებაში, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შექმნაში შეტანილი ფასდაუდებელი წვლილისათვის“.

ამრიგად, რესპუბლიკაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს ახალი კონსტიტუციის პროექტის ნამდვილად სახალხო განხილვა. ეს მუშაობა გაგრძელდება ოქტომბრამდე, როცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საგანგებო სესია მიიღებს კომუნისმის მშენებელი საზოგადოების პირმშოს — ხალხის ბრძნული შენიშვნების გათვალისწინებით კიდევ უფრო დაზუსტებულ, დაზვერილ, განმტკიცებულ ახალ საბჭოთა კონსტიტუციის.

და ეს მოხდება ჩვენი ქვეყნისთვის ისტორიულად მნიშვნელოვან პერიოდში — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამოც წლისთავის ზეიმის წინ, მეთე — საიუბილეო ხეთფლედის მეორე წელს.



# გამარჯვების ბრძოლი გზა

რუსთაველის თეატრის მენეჯრული  
დასავლეთ მერქანისა და მენეჯერი

ნოდარ გურბანიძე

პარბ ბანია დაკარა ის ვენებათაღლევა, რაც ყოველ გასტროლს წინ უძღვის ხოლმე, მიწყნარდა ეჭო იმ ხმაურთან წარმატებისა, რომელიც თან ახლდა რუსთაველის თეატრის გასტროლებს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და მექსიკაში. ახლა დედაც დრო უფრო მშვიდი ანალიზისათვის, რომელიც უნდა შეეხოს თეატრის შემოქმედების პრინციპულ სასიათს, მისი საქმეების სტილურ თავისებურებას და პერსპექტივებს. მე ერთხელ აღვნიშნე და ახლაც მსურს გავი-მეორო, რომ ღრმად ცდებოდა ისინი, ვინც ფიქრობენ, გასტროლები ეს სულის მოსალხენი მოგზაურობაა, და უცხო ქვეყნის ქალაქების, მუხუშეების თუ სხვა რამ სანახაობის ხილვას გულისხმობს მხოლოდ. უცხო ქვეყანაში ეროვნული ხელოვნების გატანა მრავალ სირთულესთან, ხოლო ზოგჯერ გადაუ-ლახავ წინააღმდეგობასთანაც არის დაკავშირებული. თითქოს ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ ხელოვნებამ არ იცის საზღვრები, რომ იგი ყველა ქვეყანაში გასაგებია და მას მსურავლედ დებულბოენ ყველგან, მაგრამ ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა პლასტიკური თუ სანახაობითი ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშებს გულგრილი დაუტოვებია უცხო მაყურებელი. აქ მხედველობაშია მისაღები ქვეყნის, ერის ისტორიული რაობა, ხალხის ფსიქოლოგიური წყობა და მიდრეკილებანი, შექმნილი პოლიტიკური თუ სოციალური კონიუნქტურა. ეს საკითხი ხელოვნების სფეროა განკუთვნიება, მაგრამ გასტროლებთან, მითუმეტეს, ისეთი დიდი თეატრის გასტროლებთან, როგორც რუსთაველის თეატრისა, დაკავშირებული მონავალი სხვა საკითხიც, გარდა ხელოვნებისა, — ეს გახლავთ ეროვნული და სამკოთა კულტურის წარმომადგენლობითი მისიის შედგენა, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ფუნქციონირების ხელოვნებისა.

გასტროლებზე, მითუმეტეს, ფესტივალზე, გამარჯვება, სერიოზული წარმატება ყოველი შემოქმედებითი კოლექტივის სიუხვებს ავსებს ცოცხალი შთაბეჭდილება და არჩევის შესაძლებლობა. მოგესწინებათ, თუ რა ინტენსიური ვახდა სხვადასხვა ქვეყნების თეატრების მოგზაურობა ერთი კონტინენტთან მეორეზე, როგორ გახშირდა ფესტივალური თვით თეატრალურად არატრადიციულ ქვეყნებზე კი. ხოლო გფრ და მექსიკა ამ მხრივ არა თუ გამოჩაგლის არ წარმომადგენენ, არამედ ყოველნაირად ცდილობენ წინ იყვნენ ამ საქმის ორგანიზაციაში. ამტომაც იქაურ მაყურებელს და სპეციალისტებს

ანალიზის პარალელის, შედარებისა და შერჩევის ვრცელი ასპარეზი აქვთ.

უბრალო მაგალითს მოვიყვან: თეატრალურ საზოგადოებასთან შექმნილმა „მეგობრობის თეატრმა“ მრავალი მშვენიერი სპექტაკლის ხილვის შესაძლებლობა მისცა დედაქალაქის მაყურებლებს. პირველ ხანებში იგი განურჩევლად მიაყვდა თეატრის კედლებს და მისი ენთუზიაზმი ერთგვარ აქიოტაქში და, ვიტყვდი მოურიდებლად, ურთიერთწამხედურობის, ურთიერთთაობნის პროვინციულ შეჯიბრშიც კი გადაიზარდა. მაგრამ, გავიდა დრო, იმატა ჩამოტანილი სპექტაკლების და ჩამოსული თეატრების რაოდენობამ და ახლა ხშირად, ნახევრად ცარიელ დარბაზებში თამაშდება ზოგიერთი ისეთი სპექტაკლი, რის ხილვასაც ასე თავგამოდებით ცდილობდა ადრე. მაყურებელი უკვე შერჩევით ნახულობს სპექტაკლებს, რადგან ახლა წინა პლანზე დადგა ესთეტიკური ინტერესი და არა, ვთქვათ, რაიმე უპირატესობის საჯარო დემონსტრაცია. (მგითხველმა მომიტყოს, ფერებს ცოტას ვამუქებ).

ასეთი შედარების შესაძლებლობა თეატრალური ფესტივლების დროს გაცელებით გაზრდილია. მითუმეტეს, თუ იგი აერთიანებს ხელოვნების სხვადასხვა მუხვებს, როგორც ეს იყო მექსიკის სერენატესის სახელობის მესხეთე საერთაშორისო ფესტივალზე.

უდავოა რუსთაველის თეატრის გამარჯვება, თუნდაც იმიტომ, რომ მას დიდი წარმატება ხვდა სრულად სხვადასხვა ეთიარებაში, აბსოლუტურად განსხვავებულ აუდიტორიებში, ორ სხვადასხვა კონტინენტზე — ევროპისა და ამერიკის კონტინენტებზე — იმ ქვეყნებში, რომელთა თეატრალური კულტურა და ტრადიციები (და ამდენად მაყურებელიც) ასევე აბსოლუტურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ერთის მხრივ დიდი თეატრალური ტრადიციების ქვეყანა, მაღალკვალიფიციური თეატრალური დასები, რომლის მაყურებელი მსოფლიო თეატრალური ხელოვნების სიახლეებსა ნახაირებზე და მეორეს მხრივ ქვეყანა, სადაც მუდმივი თეატრალური დასები არ არსებობენ (რაც არ გამოიჩნებას მაღალპროფესიული მსახიობების არსებობას. რეჟისორისა და პროდიუსერის შეთანხმებით შეიკრიბება დასი, რომელიც ერთ პიესას თამაშობს მანამდე, ვიდრე მას მაყურებელი ჰყავს), მაგრამ, სადაც ყველაფერი სუნთქავს თეატრალითი და ხალხი ცვევებზე, მუსიკაზე და კორიდაზე უსაზღვროდა შეყვარებული. ახლა მექსიკის ხელისუფალინი ცდილობენ მტკიცე საფუძველი

წაყვარონ თეატრალურ ხელოვნებას და სახელმწიფო რელსეზედ დააყენონ იგი. ამ მიზნით უკვე შექმნილია „ანტიკური თეატრი“ (თეატრალური დეპარტამენტის კვირები), რომელიც მარტოდენ ძველი ბერძნების პიესებს ანსორცილებს. ამავე მიზანს ემსახურება ეროვნული თუ ინტერნაციონალური ფესტივალები, სადაც მრავალი ქვეყნის სხვადასხვა თეატრალური და ფილმური ჯგუფები მსოფლიო თეატრალური ცხოვრებისა და მსაც არანაკლები არჩევანის შესაძლებლობა აქვს, ვიდრე რომელიმე სხვა, კულტურულად დაწინაურებული ერს მსოფლიოში. სწორედ ამიტომ მიზანია ძალზე საგულისხმო თეატრის წარმატება ამ ორ, ესოდენ განსხვავებულ ქვეყანაში, რომლის მაცურებელი ეროვნული თავისთავადობის გამო, ცხადია, განსხვავდება ტემპერამენტით, გემოვნებით, ტრადიციითა და მიდრეკილებებით.

რუსთაველის თეატრს ორივე ქვეყანაში ჩასვლა იმ პერიოდში მოუხდა, როცა იქ თეატრალური სენსიბილურობის აბოცება აღწევდა (მარტი—გორი, მაისი — მექსიკა), და, ბუნებრივად, მაცურებელთა და სპეციალისტთა საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა. ვიდრე ამ გასტროლებთან დაკავშირებული ამბების თხრობაზე გადავიდოდე, მუსრს შევჩერდე უფრო ზოგად მომენტებზე, რაც საერთოდ იყო შესაძლებელი ორივე ქვეყანაში და რაც, ჩემის აზრით, სწორედ ამ თვალსაზრისით არის საგულისხმო. თუ ერთმანეთს შევედრებით გფრსა და მექსიკაში გამოქვეყნებული რეცენზიებისა და სტატიების დასვენებას, აგრეთვე პრესისმფრთხილებზე, შეხვედრებას თუ კერძო საუბრებში გამოთქმულ აზრებს, შევაძინებთ, რომ განსაკუთრებული ყურადღების საგანად არის ქვეყლი რუსთაველის თეატრის ეროვნული ბუნების, მისი სტილისტური თავისებურების პრობლემა. დანახულია უფრო მეტი, ვიდრე თავად სპექტაკლების თეატრალური ფორმაა, კერძოდ, ამ ფორმის წარმომქმნელი საწყისი (ამ შემთხვევაში არ გვეულისხმობთ მარტო პიესის, ვთქვათ „კავკასიური ცარტის წრის“ — შინა-აღსრულები სამყაროს, რომელიც ცხადია, ასევე თვისობრივად მოქმედებს სპექტაკლის ფორმაზე), რომელიც ქართული მსახიობის ეროვნული თვისებებით არის განპირობებული — აქ არ იგულისხმება მარტოდენ ტემპერამენტი, რიტმულობა, მუსიკალობა, პლასტიკურობა, რაც არაპროფესიონალისთვისაც ნათელია — არამედ ქართველი ხელოვნანის უნარი ყოველმხრივად და უშუალოდ აღიქვას მოვლენა, აქცეოს იგი ემოციური ექსტაზის წყაროდ, მიანიჭოს მას განსაკუთრებულ მნიშვნელობა, სიკამორმოსო შინაარსით აჯასოს იგი, რათა შემდეგ, თვით უხიარულით საესემი, სინთეტური თეატრალური ფორმით გადმოცეს ეს ყოველივე. გასუთმა „დი ელტაში“ — რომანტიკული სითამამე, მემამოხური, „პისტოლეტული“ გაბედულებით სულისკვეთება დანახას სპექტაკლში, სადაც მძაფრ ემოციურობა და მძაფრი თეატრალობა ურთიერთს ერწყმის და ურთიერთს განაპირობებს.

ასევე საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა თვით სპექტაკლის თეატრალური ფორმა, რომელიც თავისი არსით უდრებდა სინთეტურია, მრავალი, სხვადასხვა ელემენტის ერთიანობის შედეგია, სადაც თვითეული ჟანრი ხელოვნებისა ლავისთავადია, თავის თავში დასრულებულია, მაგრამ მეტ ქსტოტიკურ ღირებულებას სწორედ ერთიანობის მიმენტში

იძენს. მრავალფეროვნება, ბუნებრივი სისხლისე, უკიდურესი სითამამე ნაიური გამომეტყველებით მიწოდებული, შინაგანი დინამიზმი მოუკვირებელ მომზიბველობას ანიჭებს ამ სპექტაკლს. ფაქტიურად თითქმის არცერთი კომპონენტი არ დარჩენილა საგანგებო აღნიშვნის გარეშე და ძირითად აქცენტს აქ გადატანილი იყო რეჟისორის ხელოვნებაზე, რომელიც თავისი სისხლით, სითამამით, ყოველი ელემენტის ფილიგრანული დამოშავებით ქმნის ახალ თეატრალურ სინამდვილეს და რომელიც გულგრილს არ სტოვებს არავის — არც მაცურებელს და არც პროფესიონალებს. ეს უკანასკნელი ფაქტის კონსტატაცია იყო. პირადად გახლდით იმის მოწმე-როგორ სიტუაციაშიც არ უნდა წარმოედინათ „ცარტის“, რა შეზღავდებლობის არ უნდა ყოფილიყო აუღიბრობა, მას ყოველთვის და ყველგან მხურავლედ რეპუბლიდნენ, რომ არა ვთქვა, ენთუზიაზმით-მეთქი.

\*\*\*

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში თეატრის გასტროლები დიწყო 22 მარტს ქ. საარბრიუკენში. 21 მარტს მიანიშ ფრანკფურტის აეროდრომზე დაგვება საარბრიუკენის მთელი დასი თეატრის ახლანდელი გენერალინტენდანტის პეტროლდის და ჩვენი ძველი ნაცისტების პერმან ვედკენდის მეთაურობით. ეს არ იყო ჩვეულებრივი დახვედრა — მასში უშუალოდ ერიან რეჟისორის ხელი. აეროდრომის კარგით ქართულ ენაზე დაწერილი ტრანსპარანტებით შემოგვხვდნენ — „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მეგობრებო!“, ტელევიზიის პატარა ავტობუსის სახურავზეც ასეთივე ტრანსპარანტი იყო გადაჭიმული, იქვე, სახურავზეც, ტელევიზორატორები იდგნენ და მზად იყვნენ გადაღებისათვის. მსახიობი-აგრეთი ჯგუფი ჩვენივე განკეთხილი ორ ავტობუსს შორის იდგა და ქართულ ენაზე მთელი და „სულთსა“, მეორე ჯგუფი გთავაზობდა ყვაილებსა და „საარბრიუკენ ციტიუნეს“ სადაც წინასწარ იყო დაბეჭდილი სარეკლამო მასალა: ინფორმაციები და ფოტოგრაფები. წვიმიანი ამინდი გზამივე გამოკეთდა — შემდეგ ხუმრობდნენ: 21 მარტი გაზაფხულის ოფიციალურ დასაწყისად გვაქვს მიჩნეული და ეს მზეც, ტყეობა, თქვენ ჩამოვარდით. მთელი გზის მანძილზე (მაინის ფრანკფურტთან საარბრიუკენამდე 150 კილომეტრია), სადაც კი გორაკი თუ შემალბებული ადგილი შემოგვხვდა, ყველანი ვხედავდით მისალმების ამ ტრანსპარანტებს. მსუფუქ ავტომანქანებში მჯდარი მსახიობები და ტელევიპერატორები წინ გვისწრებდნენ და ასე ვგახვედრებდნენ მისალმებებს. პირადაპირ მივყავნეს საარის მხარის კულტურის სამინისტროს შინობას ეზოში შემოგვგება ქალაქის ობერბურგომისტროს ოსკარ ლაფონტინი, კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელი და ქალაქის თვითმმართველობის წევრები. შინობაში სახელდახელო ტრბუნა იყო აღმართული. კულტურის მინისტრის მოადგილემ შვარცმა თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა ჩვენს ორ ქვეყანას შორის არსებული კულტურული ურთიერთობის მნიშვნელობა და საგულისხმო შედეგები, განიხილა სურვილი საარბრიუკენსა და თბილისს შორის პარტნიორობის გაფართოებისა და გაღრმავების თაობაზე. ჩვენს საპასუხო სიტყვაში მკვეთრად იყო აღნიშნული, რომ საბჭო-



საარბრუკენი

თა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკის წყალობით ფფრ-ში აშხ. ლ. ი. ბრენევის ვიზიტის შემდეგ განსაკუთრებით გაცხოველდა კულტურის ურთიერთობანი, რასაც ადასტურებს ქართული კულტურის დღეები საარბრუკენში, და საარის მხარის საპასუხო ღონისძიება თბილისში და რომ რუსთაველის თეატრის გასრულები ერთი უმნიშვნელოფანესი რგოლია ურთიერთობათა ამ ვაჭვენი.

დადგა სპექტაკლის დღეც — 22 მარტი. წინა დღეს აღარ იყო რეპეტიციების გამართვის დრო. მეორე დღეს, ადრე ჩასულმა გოგი მესხიშვილმა — რომლის უშუალო მეთვალყურეობით საარბრუკენში დაგვიხდა დღეორაციები — დასს გამწაღებული სცენა დაახვედრა. დაიწყო რეპეტიციები და დარბაზი რიგვსო სატელევიზიო აპარატურით. გადაღებას აწარმოებდა რეჟისორი ე. ი. საარის მხარის და ნაციონალური — გფრ-ს ტელევიზია. ისინი თავის საქმეს აკეთებდნენ უხმაუროდ, სწრაფად და ძალდატანებლად — თითქოს არც არაფერს არ იღებნო, არც სინათლეებს „აყენებდნენ“, არც ხმის აპარატურას ამოწმებდნენ, ამდენად ჩვენი მსახიობები სრულიად არ გრძობდნენ მათ არსებობას და გატაცებით, სრული დაძაბვით გადიოდნენ რეპეტიციებს. რომერტ სტურუა იმ დღეს უღმობელი იყო. ზოგჯერად სცენა რამოდენიმეჯერ გამაჟორებინა მსახიობებს — მოელი სპექტაკლის რეპეტიციას, სინათლეების დაყენებას, ყოველი ტექნიკური დეტალის აწყობას დიდი დარსტყირად, აღარ დარჩა დრო სასტუმროში წასვლისთვის ფაქტურად, რეპეტიციას უნდა გადახმობდა სპექტაკლი. ამასობაში დარბაზი ნელ-ნელა იგსუობდა. აქ მე ვხედავდი ბევრ ნაწიბო სახეებს ადამიანებისას, რომლებმაც ბვერი რამ გააკეთეს ამ თეატრში ქართული თაქ-

რების ჩვენებისათვის („დაისი“, „მინდია“, „აბუნალომე“ ადგილეთირი“), საარის მხარის კულტურული ცხოვრების მუშევერებს, თეატრის მცენებებს, გახუთებისა და ჟურნალების რედაქტორებს; მთავრობის ლოფა ვაგახვს მინისტრ-პრეზიდენტის კაბინეტისა და ქალაქის მმართველობის წარმომადგენლებმა, დარბაზი კი — ხელმწიფების თვალსაჩინო მოღვაწეებმა, ახლოს მდებარე ქალაქების თეატრების გენერალინტენდანტებმა (შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა, მანჩაიშის თეატრის გენერალინტენდანტმა, სპეციალურად მიგვიწვია თავის თეატრში „კავკასიური ცარცის წრის“ სანახავად. სპექტაკლმა ძალზე კარგი შოაბუქტიღობება დასტოვა ჩვენს წარმომადგენლებზე, იმპრესარიოებმა ავევე ვხედავდი ვიანადღინდან სპეციალურად ჩამოსულ, ამჟამად მოელს გერმანიაში ცნობილ დირიჟორს, ვისბადენის მუსიკალური ცხოვრების მესვეურს ზიგფრიდ კიოლერს (სწორედ მისი ინიციატივით ავღერდს ვისბადენის საერთაშორისო ფესტივალზე თთარ თათქაქიშვილის ორატორია „ნიკოლოზ ბარათაშვილი“). კიოლნიდან ჩამოსულ, აწ უკვე სახელმწიფოებში ჰიანისტს როპერტ ლოუნარდის, დუსელდორფიდან მიველილ ბარბარა იორტუტე — დუსელდორფის დრამატულ თეატრთან არსებული საბავგეო თეატრის ხელმძღვანელს, რომელმაც ბვერი რამ ვაგახვთა ქართული კულტურის პროპაგანდისათვის და ადრე, საარბრუკენში სამუშაოდ ჩასული ქართველი რეჟისორებისა და მსახიობების გატირების ტალკვესი იყო. ერთი სატყვით, პირველი სპექტაკლი ეკუთვნოდა არა მხოლოდ საარბრუკენს, არამედ მოლიანად საარის მხარეს და მის ელიტარულ საზოგადოებას. ჩემს გვერდით იჯდა თმაგადათურებელი ჰერმან ფედკინიდი, ქართული კულტურისა და ხელოვნების დაუცხრომელი პროპაგანდისტი, ვისი მვადენიების ნაყოფია უამრავი რამ იქიდან, რაც დღეს ხდება საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კულტურულ ურთიერთობებში. ჰერმანი ჩვენზე უფრო მეტად დღევანდა და ლოუნის ბარიერს სამგზის უკავუნდა შუა თიის „ტიო, ტიოსი ჩერჩულით (სპექტაკლი არ გაითვალისო. ეს გერმანელთა ჩვეება — ყოველი პრემიერის ამ რაიმე განსაკუთრებული ლოგუნების წინ სჩადის ამას). დაიწყო სპექტაკლი, ცოტა არ იყოს, უჩვეულოდ. სცენის ერთ კუთხეში დადგა ჩვენთვის ცნობილი რეჟისორი ვერნერ ვაჰსმუტი (რუსთაველის თეატრში განხორციელებული „ნათან ბრძენის“ რეჟისორი). ვერნერი მკვეთრად გამოირჩეოდა სპექტაკლისა და დარბაზში მოსული აუდიტორიის ფონზე. მას ეცვა მოკლესახელოიანი წითელი მაისური, „ჯინსები“, ფეხზე კი საბორტული „აიდასები“. ამ უღრესეს სპექტაკლურ საზოგადოებაში, სადაც თვითეული სჯეიმოდ გამოიყურებოდა, სადც ბრილიანტების ელვარება დაბნელებულ დარბაზს წამიერად გადაურბნება ხოლმე, ვერნერი აშკარად შეუსაბამოდ გამოიყურებოდა. ცოტა არ იყოს, შეკერი — საზოგადოებამ ეს გამოწვევა არ მიიღოს და სპექტაკლს ხელი არ შეუშლოს-მეთქი. თქვენც არ მოიხვედით. ეს ამაჯი თითქოს არავის არც შეუნიშავს, იტისოდენა ყურადღება არ მიუქცევია არც... რეგულებისსამებრ, ნახვევად ჩაბნელებული სცენის სიდრმიდან წამოვიდა ჟანრი ლოლაშვილი, რომელსაც ხელმძღვარი თოჰყავდა კონცერტმისტიერი ლეოლა სიყამაშვილი. აი, მან ვერანულად წარმოთქვა „დი კავახიშე კრიადგარბაზი“ და დარბაზში იფეთქა მქუსარე ტაშმა. მაყურებელი აშკარად კეთილგანწყობილი იყო. მაგრამ ეს პირველი მუხვედრა მხოლოდ ფერმონალი შედარებაა იმისა, რაც მოხდა...



პირველი მოქმედების (სპექტაკლი ორმოქმედებად გადააკეთა რ. სტურუამ) ყოველი ეპიზოდი, ყოველი მუსიკალური ნომერი ცხოვლად აღიქმებოდა. გ. სალარაძის და ი. გოგიტიანი გამორჩეულ (ჯარისკაცულ ამხედრებულ ფერდობთა, ჭიკრიხთ ხელში) უმაღლეს ტაიმში შესვდა აუდიტორია. როგორც მან. აქ სხვა ქვეტექსტი იგულისხმა მაყურებელმა, ამას მოსურებინებს ის გარემოება, რომ არც თბილისში და არც მსოფლიოში ამ შემოსვლა ასეთი რეაქცია არ ახლდა. იმ პირველ საღამოს გ. სალარაძემ და ჟ. ლოლაშვილმა ითამაშეს ისე, როგორც არასოდეს. მათ მისცეს ტონი სპექტაკლის გაბარებულს. მოქმედების განვითარებასთან ერთად ცხოველდებოდა ინტერესი. ყველაფერი უზრუნველ ამოინდა: სპექტაკლის გადაწყვეტა, მთელი კოლორიტი და ატმოსფერო ახალი თეატრალური სამყაროსი, მისი მიქმეფავი რიტმი და მუხნებადობა. რ. ჩხვიკაძის აზვადის მიერ შესრულებულ სიმღერის „იტალიურ სტილში“ ისეთი მქუხარე და მანერძლივი ოფაცია მოჰყვა, რომ სპექტაკლის გაგრძელება შეუძლებელი შეგონა: არაფერმა არ გასტყდა მაყურებელს — არც დიალოგის გაგრძელებამ, არც პანტომიმურმა სცენებმა. ტაიმი დაუსრულებლად გრძელდებოდა. მასინ ქ. ლოლაშვილი იძულებული გახდა (ისარგებლა სპექტაკლის წამყვანის პირობიტეტით) პირდაპირ ენიშნებინა — განმეორება შეუძლებელია, მიუცეთ მსახიობებს თამაშის გაგრძელების საშუალებაო. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მაყურებელმა თითქმის დაპირაგა. დროის შეგრძნება, არაფერ არ სტოვებდა დარბაზს, არაფერ არ იყო გულრძელობა. თვით მსახიობებს რომ არ ეგრძნობინებინათ მაყურებლისათვის გამოსვლა აღარ შეგვიძლიაო — ალბათ, დაუსრულებლად გაგრძელდებოდა ეს მუხნებადობა, მსახიობანი, გულწრფელი მისალმება. სპექტაკლის თეატრალური ქალაქის ობერპურგომისტრმა ი. ლაფონტენმა შეატრის ფოიეში, რომელიც სამ დიდ დარბაზს აერთიანებს, გრანდიოზული ვახშამი გამართა, რომელსედაც პრემიერაზე მოსულ თითქმის მთელი საზოგადოება დასტურდა. ამ მიღებაზე მრავალი საქმარი სიტყვა ითქვა როგორც რეჟისორის, ასევე კომპოზიტორის, მხატვრის და მთელი დასის მისამართად, რომელთა გამოერება უხერხულია — იმდენად ადამაკებთი ხარისხში იყო ეს ყოველივე. ტელე და რადიო რეპორტიორები პირდაპირ მოსვენებს არ გვაძლევდნენ, ხან მსახიობებს ალაპარაკებდნენ, ხან დღეულებას და თეატრის ხელმძღვანელებს, რ. სტურუას, მგონი, რამდენიმე არხისთვის ერთდროულად აძლევდნენ სხვადასხვა შეკითხვებს. ძირითადი აზრი ამ შეკითხვებისა (გარდა იმისა, ცხადია, რაც უშუალოდ ეხებოდა სპექტაკლს) ეს იყო — გაგრძელება თუ არა შედგომში ეს კონტაქტები, დიუსელდორფში თქვენი მომავალი გამოსვლა ხომ არ მოასწავებს „დალატს“ საბრთბურევის მშპართ, რა პირსპექტივებშია მომავალში ამ ურთიერთობებში და სხვა. აქვე მინდა აღვნიშნო საბჭოთა სახლის განსაკუთრებული მკურნალება როგორც საარბრტუქენში, ასევე, განსაკუთრებით, დიუსელდორფში, სადაც სპექტაკლზე მთელი დილმობატური კონცერტი მოვიდა და ჩვენიან ერთად გაიხარა გამარჯვების სხარსული.

არც ისე დიდი ხანია, რაც თბილისელებმა ვალერი პლტინიკოვის ხელოვნება გაიცნეს. თბილისის კინოს სახელში ერთი თვის მანძილზე იყო ექსპონირებული ასალგაზრდა, მაგრამ ჩვენში და საზღვარგარეთ უკვე ცნობილი ოსტატის ფოტოგამოფენა, მისი ნამუშევრები ხუთ წელზე მეტია იბეჭდება ჟურნალების „ისკუსსტო კინოს“, „კმ-რანის“, „ტეატრის“ და სხვათა ფურცლებზე გამოფენაზე ორასზე მეტი ნამუშევარი იყო წარმოდგენილი.

პლტინიკოვის საყვარელი ჟანრია პორტრეტი. მისი გმირებია ხელოვანი ადამიანები — რეჟისორები, მხატვრები, მუსიკოსები, მსახიობები... ფოტოხელოვანის მიერ ბრწყინვალედ შეარტლებულმა ნამუშევრებმა გულგრილი არ დატოვა თვით მომთხონი თბილისელი მაყურებელი. ამასთან, ეს პორტრეტები ძალზე თავისებურია შესრულების მხრივ. რაშია მათი განსაკუთრებული თანადგომის მათი ადგილი თანამედროვე ფოტოხელოვნებაში?

გაიხსენათ ფოტოგრაფიის განვითარების ისტორია. პირველი ფოტოგრაფია — პრაიმითიული ფოტოტექნიკა და პრიმიტიული ფოტოგამოსახულება. ტექნიკის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა სახვითი ოსტატობაც, მაგრამ ფოტოგრაფია ჯერ კიდევ იოხვოდა გადაღების ორგანიზაციას სპეციალურ სათავსოში. მას, ვისაც იღებდნენ, ხანგრძლივი ექსპოზიციის განმავლობაში უხდებოდა შერჩეული პოზის შენარჩუნება. ადამიანები ერთგვარად შებოჭილნი იყვნენ ხელოვნური პოზეით. თანდათან სულ უფრო და უფრო მცირდება დრო უძრაობის მდგომარეობისა, ბოლოს, იქმნება ღრმადმგრძობიერი ფოტომასალეა, ხდება აპარატურის სრულყოფა, რაც მომენტალური გადაღების შესაძლებლობას იძლევა. დაკეროტიკებიდან და პირველი კამინტური გადაღებიდან ფოტოგრაფიამ გადაინაცვლა ღია ცის ქვეშ, ფოტოეპორტაჟისკენ. ფოტოგრაფიაში გამოჩნდა ახალი ფიგურა — ფოტოეპორტიორი.

მომენტის დაჭერა, წამის შეჩერება და აღბეჭდვა ფოტოსასაღებზე, მოვლენის გადმოცემა მოძრაობაში, განწყობილებაში — აი გზა, რომელზეც მრავალი წელია მიემართება ფოტოხელოვნება.

თუ დასაწყისში ფოტოგრაფია, როგორც სახვითი ხელოვნების სახეობა, ცდილობდა მიებასა ფერწერისათვის, მისი იმიტაცია გაკეთებია, თანდათან მან გამოიმუშავა მხოლოდ მისთვის ნიშნავი სახვითი ხელოვნების ფოტოგრაფია იქცა სახვითი ხელოვნების დამოუკიდებელ სახეობად, რომელშიც ძირითადი ადგილი უჭირავს მხატვრულ ფოტოეპორტაჟს.

სრულყოფილი ფორმით გამოხატული „შეჩერებული წამი“ — ასე შეიძლება ჩამოყოფილდეს ამ გზაზე მდგომი მხატვრული ფოტოგრაფიის ამოცანები.

როცა პლტინიკოვის ნამუშევრებს ვცნობი, ფაქტობ — რაშია მათი განსაკუთრებულობა? ეს პორტრეტები ხომ სრულიად არ ჰგავს იმას, რასაც ჩვენ თვალი შევჩაჩვიეთ. როგორია ოსტატის მუშაობის მეთოდი?

გამოფენაზე რეპორტაჟულად გადაღებულ ანკერით ნამუშევარი არ იყო წარმოდგენილი. ბევრი ფოტო, ფორმის მხრივ, შორეულად, ძვე-

# ვალერი პლტინიკოვის ნამუშევრების გამოფენაზე

ლებურ „კამინტურ“ ფოტოგრაფიას მოგვაგონებს, ერთგვარად თვით დაკეროტიკასაც კი. რა არის ეს, ფოტოხელოვნების საწყისებთან მიზრუნება? რა თქმა უნდა, არა.

ვალერი პლტინიკოვმა თავისი ნამუშევრებისათვის იმთავითვე პრინციპულად სხვა, ახალი მეთოდი შეარჩია, სწორედ მეთოდი და არა მანერა, და ეს შემთხვევითი როდია, — იგი ხომ ლენინგრადის სახვითი ხელოვნების ინსტიტუტში სწავლობდა, შემდეგ კი კინემატოგრაფიის სააკადემიო სახელმწიფო ინსტიტუტის საოპერატორო ფაკულტეტი დამთავრა. მაგრამ პლტინი-

კოვმა არ ისურვა არც ფერმწერლობა და არც კინოოპერატორობა. მთელი თავისი ნიჭი და უნარი ახალგაზრდა მხატვარმა მისთვის საყვარელ ფოტოგრაფიას მოახმარა.


პლტინიკოვმა შეგნებულად აირჩია სადადგმო ფოტოგრაფიის მეთოდი. მისი ნამუშევრები — ეს ფოტო-ტილოებია. მათ „მიკრომეტრაჟიანი კინოფილმების“ კი შეიძლება ეწოდოს, ფილმი, ერთადერთი კადრისაგან რომ შედგება და რომლის ავტორი — შემთხვევლი, რეჟისორ-დამდგმელი, მხატვარ-დეკორატორი და, ბოლოს, ოპერატორია ვალერი პლტინიკოვი.



მსახიობი ეკატერინე ვასილიევა

ალექსი  
ბალაბუევი

რეჟისორი სერგეი სოლოვიოვი




როცა გადასაღებად ემზადება, იგი ყურადღებით სწავლობს ადამიანს, ვისი ალბეცდვაც სწავლია. წინასწარ არჩევს კოსტიუმს, ჩაიფიქრებს პოზს და განათებას, არჩევს გადაღების ადგილს და გარემოს. გაიაზრებს ყოველივეს განლაგებას სივრცეში. იგი თხზავს, მკაფიოდ აყალიბებს მომავალი ფოტოგრაფიის კომპოზიციას და მხოლოდ შემდგომ იღებს სურათს, რაც, ერთგვარად, მეორად ტექნიკურ პროცესად გვევლინება.

ყველასათვის, ღისაც კი სურათი გადაუღია, და, მითუმეტეს, ვინც იღებდა, კარგადაა ცნობილი ობიექტის წინაშე შეზღუდულობის განცდა.


მსატვარს უნდა აქონდეს უნარი — გამოიყვანოს ადამიანი ამგვარი მდგომარეობიდან, ისე, რომ მოდელმა ბუნებრივად, თავისუფლად იგრძნოს თავი.

უკვე ითქვა იმაზე, რომ პლუტინოვი დადგმის მეთოდს იყენებს, ყველაფერი წინასწარაა მოფიქრებული, — პორტრეტირების პოზა

ჩეული საგნებით, რომელთა შორის თითოეულს აზრობრივი დატვირთვა გააჩნია. რიტმულად განაწილებული ეს საგნები ქმნიან ლაქების განსაკუთრებულ მელოდირ თამაშს, რაც აძლიერებს მთელი კომპოზიციის სილამაზეს და განწყობილებას, მაყურებელს ეხმარება უფრო ჩაუღრმავდეს პორტრეტის ხასიათს.



ოთარ იოსელიანი



ნიკოკენტი სმოკტუნოვსკი ქალიშვილთან ერთად

და გამომეტყველება ზოგჯერ რამდენადმე სურათოვანიც კია. მაგრამ ავტორი ისე გონივრულად დგამს თავის „მიკროფილმებს“, რომ პორტრეტი მუდამ მართალი და ბუნებრივია. ეს „შეჩერებული წამი“ კი არაა, არამედ მოკლე ექსპოზიციით, ერთ კადრში გადმოცემული თვით სიცოცხლეა.

საინტერესოა მთელი რიგი კომპოზიციების აგების პრინციპი. თვით პორტრეტი სასურათო სიბრტყის მხოლოდ მკირე ნაწილს იკავებს. დანარჩენი სივრცე შევსებულია სპეციალურად შერ-

გადაღებისას მსატვარი ფრონტალურ წერტილს არჩევს. იგი ისეთნაირად აგებს კადრს, რომ ინტერიერის ფონი და კომპოზიციის თითქმის ყველა დეტალი სასურათო სიბრტყის პარალელურად ლაგდება. ამიტომაც, სივრცე სიღრმეში არ ვითარდება და აღარ შეიგრძნობა. ეს კი კომპოზიციას მდგრადობას ანიჭებს. სურათი მონუმენტურ-დეკორატიულ ვლერადობას იძენს. ერთი შეხედვისთანავე მაყურებელი აღიქვამს ლამაზი ლაქების ხალიჩას —ხან მკაცრად გრაფი-

კულსა და ხანაც რბილად ფერწერულს. შემდეგ უკვე სიუჟეტის აღქმა იწყება. კომპოზიცია ისეა აგებული, რომ მაშინვე იპყრობს მყურებელს და მზერა გადადის დეტალიდან დეტალზე, მოძრაობს ფოტო-ტილოზე, თითქოს საინტერესო მონაყოლს ისმენს და სულ ახალ და ახალ წერილმანებს იგებს.

და სხვათა პორტრეტები. გარეგნულად განსხვავებული ეს პორტრეტები ერთი მხატვრული ხერხითაა გადაწყვეტილი. ოსტატს იზიდავს ღი ცის ქვეშ პორტრეტებს „ხატვაც“. იგი არჩევს შესაფერის გარემო-პეიზაჟს, ელოდება თავისი ჩანაფიქრისათვის შესატყვის ამინდს, დროს, რაც განსაზღვრავს კად-



ლადო ჯუღიაშვილი




ირინა კუპჩენკო

დეტალები ისე მკაფიოდ და მკვეთრად გამოიხატება ფოტოზე, რომ აადვილებს წაკითხვას, შეცნობას. ასეთ პორტრეტებში გასაოცრადაა შერწყმული ფსიქოლოგიზმი და დეკორატიულობა.

ამგვარ გადაწყვეტათა ნიმუშებად შეიძლება მივიჩნიოთ რეჟისორების — სერგეი სოლოვიოვისა და თენგიზ აბულაძის, გამორჩენილი ქართული მხატვრის ლადო ჯუღიაშვილის, პოეტ ვეგენი ვეტუშენკოს, მსახიობების — ევატერინე ვასილევას, ანდრეი მირონოვის, რამას ჩხიკვაძისა


რის განათების სიძლიერეს, ტონალურ გადაწყვეტას.

შესრულების მხრივ ძალზე საინტერესოა მსაჩიობ ნინა ურგანტის, ევატერინე ვასილევას და სხვათა ფოტოგრაფიები. წმინდა პორტრეტულ ამოცანებთან ერთად მათში ავტორს იზიდავს დეკორატიული გადაწყვეტის სილამაზე. მაგალითად, ვასილევას პორტრეტში ხეათ ტოტებს თამაში სურათში ქმნის ზღაპრულად მომხიბლავ ფონს.



ანდრე შირონოვი

თენგიზ აბულაძე



საინტერესოა პლოტნიკოვის ახალი ძიებები პლენარული პორტრეტის სფეროში. აშკარად იგი მუშაობს პოეტების, რეჟისორების, მსახიობების და მხატვართა პორტრეტების ახალ სერიასზე.

მოქმედების ადგილია ქუჩები, მოედნები, პარკები ქალაქისა ნევაზე. დიდხანს ეძებს და არჩევს მხატვარი გადაღების ადგილს, ეს ხან ნუვის პერსპექტივის მკაცრი ხაზებია, ხან ხიდების რკალოვანი ზურგი, ხანაც საპარკო ღობეების დახლართული არხები. არქიტექტურული სიმფონია ერწყმის ადამიანურ ხასიათთა სიმფონიას, ღრმა ემოციურ შეფერილობას ანიჭებს ამ პორტრეტებს.

ზოგჯერ კი, როცა ამას ჩანაფიქრი საჭიროებს, პორტრეტების ფონი სულაც ცარიელი სივრცეა. ამგვარადაა გადაწყვეტილი ოთარ იოსელიანის, ვლადიმერ ვისოცკის, ინოკენტი სმოუტნოვსკის (ქალიშვილთან ერთად) და სხვა პორტრეტები.

გამომდინარე მოდელის ინდივიდუალური თავისებურებებიდან, მხატვარი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში აგნებს განსაკუთრებულ გასაღებს. იგი ისე აწესრიგებს კომპოზიციას, რომ შეიქმნას მაყურებლისა და გამოსახატული პერსონაჟის უშუალო თანაშემდეგდრა, შთაბეჭდილება, თითქოს მაყურებელი მყუდრო, ინტიმურ გარემოში შემთხვევით შეხვდა მისთვის კარგად ნაცნობ ადამიანს.

ჩვენს დედაქალაქში სტუმრობის დროს, ვიდრე თბილისელები მის გამოფენას ეცნობოდნენ, ვალერი პლოტნიკოვი ბევრს მუშაობდა. მას განზრახული აქვს შექმნას ქართული ხელოვნების მოღვაწეთა პორტრეტების სერია.

რაც შეეხება პლოტნიკოვის ფოტოხელოვნების მეთოდს, ჩვენს აზრით, თანაბარუფლებიანია ორივე ხერხი — ფოტორეპორტაჟი და ფოტოდაღვა. თანაბარუფლებიანია, თუკი შედეგად ვიღებთ ტექნიკურ მხატვრულ ნაწარმოებს და არა ხელოსნურ მიმბაძველობას.

# ახალგაზრდების შემოქმედება

მერაბ კოკოჩაშვილი

ზმღმტმს ლაპარაკი იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის პარტიისა და მთავრობის ყოველ დადგენილებას. წლების განმავლობაში ისინი ჩვენთვის მოქმედებისა და შრომის პროგრამას წარმოადგენდნენ. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, თუ რამდენად სწორად შევიწყალეთ ჩვენ ამ პროგრამას, რამდენად სწორ ანალიზს გავაკეთებთ, რათა მომდევნო წლებში მუშაობა სწორად წარიმართოს.

ჩვენ, ქართველი კინემატოგრაფისტები, მივალენი ვართ შეგავამთ ის მთავარი, ძირეული ტენდენციები, რომლებიც გამოიწვევს 1976 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებულ პარტიისა და მთავრობის დადგენილებიდან „შეშქმედების ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“, მივალენი ვართ დაუფიქრებელი, სწორად გვემავთ და ვანხორციელებთ თუ არა იმ დებულებებს, რომლებიც ნორმალურ პირობებს ქინიან ახალგაზრდა შემოქმედისათვის მისი ნიჭისა და ყველა მონაცემის გამოსავლენად. საჭიროა ანალიზი გავუკეთოთ ახალგაზრდა შემოქმედისათვის შრომის ყველა მხარეს, როგორც ინსტიტუტში სწავლის პერიოდში. ისე მათ პირველ ნაბიჯებს, რომლებიც უკვე პროფესიულ სტუდიებშია გადადებული, რადგან სწავლა, პროფესიული დონის ამაღლება, მხატვრული გემოვნების დახვეწა და ნათელი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება სწორედ აქ გრძელდება და ამ თვისებების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ შემოქმედის ცხოვრების ადრეულ პერიოდს ენიჭება.

დადგენილების გამოქვეყნების დღიდან ნახევარი წელიწადი გავიდა. კინოკომიტეტს და კინოკავშირს, რასაკვირველია, უყვარდებოდა არ დაუტოვებიათ ეს ფაქტი და ამ ხნის განმავლობაში ჩატარდა ძალზე სასარგებლო მუშაობა ახალგაზრდა შემოქმედებითი მუშაკების აღზრდასა და ჩამოყალიბების მხრივ, რამაც გამოხატულა კპოვა საქართველოს კინო

კომიტეტის კოლეგიისა და კინემატოგრაფისტთა კავშირის სანდინოს 1977 წლის 24 მარტის დადგენილებაში. ამ დოკუმენტში მოყვანილია ის ღონისძიებები, რომლებიც განახორციელეს კინოორგანიზაციებმა ამ მოკლე დროში და დასახულია ამოცანები, რომელთა გადაჭრა ხელს შეუწყობს ახალგაზრდა შემოქმედთა შემდგომ ზრდას.

აქვე უნდა ვახსენოთ ის ფაქტიც, რომ ცენტრალური კომიტეტის ამ შეტად მნიშვნელოვანი დადგენილების გამოქვეყნებამდე საქართველოს კინოორგანიზაციები ცდილობდნენ დიდი ყურადღება მიექციათ ახალგაზრდობის პრობლემებისათვის. ალბათ, ეს იმ მდგომარეობით იყო გამოწვეული, რომ გარკვეულ პერიოდში საგრძნობლად შენედა ახალი თაობის მოსვლა ქართულ კინოში. სწორედ იმ პერიოდში, ქართველ კინომოღვაწეთა ინიციატივით შეიქმნა კინოფაკულტეტი უნივერსიტეტში და სპეციალური კინომასხობითა სსსრკ-ის კინოსტუდია „ქართულ-ფილმთან“. ამ დაწესებულებებმა შეუმზადეს საუფუძველი თეატრალურ ინსტიტუტში კინოფაკულტეტის შექმნას.

მე არ დავიწყებ იმის გარკვევას, თუ რა ვაკეთდა ადრე, რა ვაკეთდა და კეთდება ახლა, ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ დადგენილებას ქართული კინო გარკვეულად მომზადებული შეხვედა. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ნახევარი წლის განმავლობაში ადგილიდან დაიძრა მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში იყო დასმული.

ფიქრობთ, პრინციპში სწორად არის გადაწყვეტილი ახალგაზრდათა დასაქმების საკითხი თბილისის კინოსტუდიებში; კინემატოგრაფისტთა კავშირში ჩამოყალიბდა ახალგაზრდა შემოქმედთა სექცია და კლუბი. აქ სისტემატურად ტარდება ახალგაზრდა რეჟისორთა და სტუდენტთა ნაშრომების ჩვენ-

ბა (საჭიროა მეტი ყურადღეობა დაეთმოს ამ ნაშუაგვრების საჯარო განხილვას). კინოთეატრ „რუსთაველთან“ ჩამოყალიბდა კინოკლუბი „ავრორა“, სადაც სისტემატურად იქმნება ნაწევრები ახალგაზრდა რეჟისორთა და სტუდენტთა ფილმები. მოუწყობა ფესტივალები და შეხვედრები მაყურებელთან, რომელიც ახალგაზრდადგან ერთად განხილავს ახალ ნაშუაგვრებს. კინოკავშირი ჩამოყალიბდა საბავშვო და ახალგაზრდალი კინოს სექცია. ამ ფილმების პრობლემატიკა თავისი ასობით ყველაზე ახლოს, ალბათ, სწორედ ახალგაზრდობასთან უნდა იყოს. ახალგაზრდა შემოქმედათვის კინოკავშირი ატარებს რეტროსპექტულ და საინფორმაციო ჩვენებებს, დისკუსიებს, შესვვდრებს.

მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრია. საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს საკინოფილმის დოკუმენტაციის და სამშენიერო-პოპულარული ფილმების სტუდიაში ახალგაზრდათა მოზიდვას; ხშირად ობიექტურად არ ფასდება ახალგაზრდათა ნაშუაგვრები; საჭიროა ღრმა ანალიზი, მაკაცი შეფასება მალადი პოზიციებიდან; პერიოდული პრესა და კინოალმანახი სპეციალურ სტატიებს უნდა უთმობდნენ ახალგაზრდათა შემოქმედებას; უნდა გადაისინჯოს ახალგაზრდათა მიღების საკითხი კინოკავშირში (დღესდღეობით კავშირის ყველაზე ახალგაზრდა წევრი 31 წლისა), საჭიროა ახალგაზრდობამ მეტი მონაწილეობა მიიღოს სამხატვრო საბჭოების მუშაობაში; მისასალმებელია ის ფაქტი, რომ „ქართულ ფილმში“ იქმნება ახალგაზრდალი გაერთიანება „დებიუტი“. რომელიც წელიწადში სამ-ოთხ მოკლემეტრაჟიანი ფილმს გადაიღებს.

ფიქრობ, რომ არც კინოოპტიკით და არც კინოკავშირი არ დაიმუშებენ ენერგიას ზემოთ ჩამოყალიბდ ღონისძიებათა განსახორციელებლად, მით უმეტეს, რომ წელს საიურილოე წელია და ჩვენ გვეკავლება მიღწევებით შევხედეთ დიდი ოქტომბრის წს წლისთვის.

შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ დადგენილების ძირეულ პუნქტში ნათქვამია: „ამოცანები, რომლებიც პარტიის XXV ყრილობამ დასახა იდეოლოგიური მუშაობის დარგში, მოითხოვენ, რომ მეტი ყურადღება დაეთმოს პროფესიულ და იდეურ აღზრდას“.

რადგან ახალგაზრდა შემოქმედის სწავლებასა და ჩამოყალიბებაზე ყურადღება უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული ჩვენების გამოშუაგებასთან ერთად, ალბათ, უპირველესია, უმთავრესი მნიშვნელობა მისი მოფლმხედველობის ჩამოყალიბებას ენიჭება. ხელოვნებაში ერთადერთი, რაც შეიძლება ასწავლო, ეს არის ფიქრი, დამოუკიდებელი ფიქრი. პედაგოგის დახმარებით ახალგაზრდა უნდა აყალიბებდეს მოფლმხედველობას და ეს მხოლოდ კითხვითა და სწავლით არ სდება. ადამიანის მოფლმხედველობას ძირითადი თვითცხოვრება აყალიბებს.

მოფლმხედველობა განყენებული თეორიული ფრანა რომელიცაა. შემოქმედის, მხატვრის თვისი აზრს, წარმოდგენას ცხოვრებაზე, ადამიანზე არასოდეს უნდა უფრანად არ აწვდის მაყურებელს (ეს, რასაკვირველია, მალა ხელოვნებას ეხება). ხელოვნის მოფლმხედველობის გამტარებელი და მატარებელი ადამიანია. ჩვენ პიროვნების საშუალებით ვა-

ტარებთ ამა თუ იმ აზრს მასზე. ამიტომ ჩვენი მოფლმხედველობა ყოველთვის უნდა ემთხვეოდეს ჩვენი წარმოდგენის ცოცხალ პროტოტიპს და თუკი ასეთი პროტოტიპი არ არსებობს ცხოვრებაში, ანდა ვერ არის შესტად ნაპოვნი, ჩვენი მოფლმხედველობაც მოკლებულია სიმართლესა და დამატარებლობას, ე. ი. ის ყალიბა. ამიტომ თვით ცხოვრება ის ლკა-მუსის ქალაღი, რომელიც ერთის მხრივ აყალიბებს ჩვენი მოფლმხედველობას, მეორე მხრივ კი ამოწმებს კიდევ მის სიმართლეს.

ჩემი საუბარი განყენებული რომ არ იყოს, მინდა რამდენიმე ფილმი მოვიყვანო მაგალითად, რომლებიც დღეს უკვე ცნობილ ქართველ ოსტატებს ეკუთვნით. მინდა გავისხენოგ. შენგელიას „ალავერდობა“, ო. ისელიანის „გიორგობისთვე“ და „იყო შაში მგლობელი“, მ. კობახიძის „ქორწილი“. „გიორგობისთვე“, ო. ისელიანის პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი, „ალავერდობა“ და „ქორწილი“ კი რეჟისორთა დებიუტებია კინოში. თოხივე ფილმში ნათლად ჩანს ამ მხატვართა მოფლმხედველობა. გაისხენეთ რა მწვავედ გრძობს გ. შენგელიას გმირი „ალავერდობაში“ ინერტულობას, რომელმაც მოიცვა საზოგადოება. როგორ გუბდება მის არსებაში პროტესტიც ამ ინერტულობის, მდორე ინერციისადმი და როგორ გაიბრძობებს იგი, იქნებ უშედეგად და დაშურადღეც ე, მაგრამ, მაინც გაიბრძობებს. გაისხენეთ ოსელიანის გმირი „გიორგობისთვეში“, როგორ ეთიკასა და ზნეობას უპირისპირებს იგი უკვე ჩამოყალიბებულ და ყოველდღიურბად ქველ უპატიობობას. რა ზუსტად იგრძნეს შემოქმედებმა ის ძირეული დინებები, სულ რამდენიმე წლის შემდეგ მთელი საქართველო რომ შეაწუხა, ხილო პარტიამ უკომპრომიზო ბრძოლა გამოუცხადა. ამ ფილმებით გ. შენგელიამ და ო. ისელიანმა ნათლად გამაჩვენავეს საქუთარი მოფლმხედველობა, მწვავე კლასობრივი შეურბელობა, თავიანთი მოქალაქეობრივი მრწამაი.

მ. კობახიძის „ქორწილი“ კი ისე პოეტურად არის დახატული ახალგაზრდის ოცნებები და მისწრაფებები, ისე ყოველნულად და ამავე დროს, ზოგადად გადაწყვიტა რეჟისორმა ეს პრობლემა, ისეთი გეგმობითა და ყმაწვილური იუმორით არის გაკეთებული ფილმი, რომ ჩემთვის სიტბაუკის, ოპტიმიზმის კინაღდ რჩება დღემდე.

მე შევეცადე ძალიან მოკლედ, მაგრამ მაინც გამეშიფრა ის ძირეული მოთხოვნა, რომელსაც ხალხი უყენებს შემოქმედს. ახალგაზრდა იქნება ის, თუ ხანდაზმული, მას მინიშნობობს არა აქვს. ვფიქრობ, ახალგაზრდათა ნაშუაგვრების ანალიზი მოვეცემს საშუალებას გავარკვიოთ როგორ, რომელი ხელოვნის შემოქმედებებში ვლინდება ნათლად, ინდივიდუალურად, ღრმად და ფართო მასშტაბით ყველა ის თვისება, რაზეც ზემოთ გვერნდა საუბარი.

სანამ ანალიზზე გადავიდოდეთ, საჭიროა დავაღინოთ თუ რას ინიშნავს ცნება ახალგაზრდა შემოქმედის. ასაკობრივი მართების დადგენა ამ შემთხვევაში სწორი არ იქნებოდა. ასეთ დროს ჩვენ, ალბათ, იმ მასალით უნდა ვინებდმდგანელოთ, რითაც ახალგაზრდა კავი ხელოვნებაში მოდის, რამდენად გამოსატბავს იგი საკუთარი თაობის ფიქრს. რასაკვირველია,

ახალგაზრდობად მივიჩნევთ იმათაც, ვინც ჯერ კიდევ სწავლობს, ანდა თავის პირველ ფილმზე მუშაობს სტუდიაში. ამიტომ ჩვენ არ შემიფარვლავთ ასაკით და გადავწყვიტეთ ვილაპარაკოთ მათზე, ვინც, ჩვენი აზრით, ყველაზე მეტად უნდა ატარებდნენ ხელოვნებაში ახალგაზრდულ ტენდენციებს. ესენი არიან თეატრალური ინსტიტუტის კინოფაკულტეტის სტუდენტები, რომლებმაც უკვე შექმნეს თავიანთი პირველი საუკუნო ფილმები, ე. ი. ისინი, ვინც კინოში 70-იანი წლების შუახანს მოვიდნენ, აგრეთვე თაობა, რომელმაც კინოში 60-იანი წლების ბოლოს და 70-იანის დასაწყისში შემოაბიჯა და დღეს თავისი ძირითადი სათქმელი თქვა პირველ სრულმეტრაჟიან ფილმებში.

დღეს იმდენი ახალგაზრდა მუშაობს ქართულ კინოში, რომ, ბუნებრივია, ყველა მათგანზე ცალ-ცალკე ვერ ვისაუბრებ. ამიტომ შევეცდები შევხვო მხოლოდ ძირითად ტენდენციებს, მიმდინარეობებს, რომლებიც ამჟამად არსებობს ახალგაზრდულ ქართულ კინოში.

პირველ რიგში სტუდენტურ ფილმებზე მინდა მოვასხენით. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საჩრეისორო ფაკულტეტზე მოსწავლე ყველა ახალგაზრდას დღეს ფილმის გადაღების საშუალება აქვს. რეჟისორების პირველი მიღება დღეს მეოთხე კურსზე გადადის და ყველა მათგანმა უკვე გადაიღო ფილმი, ზოგიერთმა ორი, რამდენიმე მათგანი კი უკვე მესამე ფილმის გადაღებას იწყებს წარმოებაში.

სტუდიაში შექმნილ ფილმებზე, ვფიქრობ, ცალკეა საჭირო შეხება. თობხა სტუდენტმა: გ. დადიანმა, ნ. თიაქაძემ, რ. ლორთქიფანიძემ და მ. თავაძემ კინოსტუდია „ქართულ-ფილმი“ გადაიღეს საკურსო ფილმები. მე არ შეუდგენია მათ განხილვას. ამ შემთხვევაში მხოლოდ ის მაინტერესებს, რა მრწამსს, რა სურვილს ამოძრავებდათ ფილმის დამდგმელებს.

ნ. თიაქაძის სურვილი ეკრანზე ქართული ზღაპარი განხორციელებინა მიუხედავად იმისა, საინტერესო იქნებოდა, თუკი რეჟისორი შესძლებდა აეცოლებინა უკვე არსებული სტერეოტიპი, რომელიც განსაკუთრებით აპარკრთულ თოჯინურ ფილმებში ჩამოყალიბდა. ამას ისიც ემატება, რომ ფილმი პროფესიულად სუსტადაა შესრულებული.

ვერც გ. დადიანის „ფლიტაში“ ვხედავ ხელოვანის თვით-მეყოფადობას. ვფიქრობ რომ დადიანზე იმოქმედა იმ პერიოდში ქართულ კინოში კომუნდური ტენდენცია გატაცებამ, რამაც ყველაზე ნათელი გამოხატულება მოკლე კინოკომედიებში პიკა, გაერთიანება „ეკრანის“ შეკვეთით რომ იქნებოდა.

რამ გამოიწვია ის, რომ ახალგაზრდობის, რომლებსაც სიახელე უნდა მოეტანათ, უინტერესო, უკვე ცნობილი ხერხებით გადაღებულ ფილმებით წარსდგნენ მაყურებლის წინაშე. ჩემი ღრმა რწმუნით ეს იმიტომ მოხდა, რომ ამ ეტაპზე (მეორე, მესამე კურსზე) ახალგაზრდისთვის ნაადრევია პროფესიულ სტუდიაში, თანაც გაერთიანება „ეკრანის“ დაკვეთით მუშაობა, ვიმეორებ, და აკვეთით. დაკვეთა ხომ სტუდენტისათვის საერთოდ შეუსაბამო ფორმაა. სტუდენტები ჩაყენებული იყვნენ მძიმე საწარმოო მდგომარეობაში. გარდა ამისა, გაერთიანება „ეკრანის“ ხომ გარკვეული სურვილები, ჩარ-

ჩობები და გემოვნებაც აქვს ჩამოყალიბებული და ყველაფერმა ამან, ცხადყო, გაურთულა შრომა ახალგაზრდებს.

რასაკერველია, დიდი ცდუნებაა სტუდენტისა და მისი პედაგოგისათვის კინოსტუდია „ქართულ ფილმი“ სურათის გადაღება, მაგრამ იქნებ ამ ეტაპზე სასწავლო სტუდიაში ჯობდეს მუშაობა. ჯობს მოუხმავი ფილმი გამოვიდეს, მაგრამ ინდივიდუალური, იყოს ნაკლებად პროფესიული, ოდნურ საკუთარ ხედვას და მისწრაფობას ამჟღავნებდეს, ჯობს სტუდენტმა საკუთარი ჭკუითა და გამომდილებით განახორციელოს ჩანაფიქრი პედაგოგის დახმარებით. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმ პერიოდში სასწავლო სტუდია ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფებოდა და არ შეეძლო ყველა სტუდენტური ფილმის გადაღების უზრუნველყოფა. კინოსტუდია „ქართული-ფილმი“ ხელმძღვანელობამ ითავა ეს საქმე რაც უღელავ მისახალმებელია, მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში სასწავლო პროცესზე გვაქვს საუბარი.

მ. თავაძის დოკუმენტურ ფილმში „ოკაენა“ თითქოს ყველაზე უფრო ნათლად ჩანს პროფესიონალიზმი. აქ თითქოს ყველაფერი რიგზეა. ფილმი მოგვითხრობს ინსტიტუტის შესახებ, რომელშიაც ეწვევიან სერიოზულ და სასარგებლო კვლევას. მაგრამ აქვე იხადება კითხვა: რამ აიძულა, რატომ მოუღდა რეჟისორს თავის პირველ ნაშუაგურში მოიხირო პიროვნულად, აღდგენის ბარემ იმ საქმიანობის შესახებ, რომელიც, არა მგონია, მისთვის ახლობელი და ძვირფასი იყოს. ყოველ შემთხვევაში, სურათი ასეთ მათხვედრეობას ტოვებს. საბოლოო ჯამში ხომ წყადაპირული ფილმი გამოვიდა, ისეთი, რომლის მსგავსიც მრავალჯერ გვიჩანას და რომლის მსგავსიც მრავალჯერ გადაულაიათ მსოფლიოს ყველა ქვეყნის სტუდენტს.

მინდა შეგვხსნა იმ ნაშუაგურებსაც, რომლებიც სასწავლო სტუდიაშია გადაღებული.

საინტერესოდ არის ჩაფიქრებული გ. ჩოხელის ფილმი „ადგილის დედა“. იგრძნობა ახალგაზრდის ჭკმშიარტი უწილი, ჩანს მისი ნიჭიერება, თავისებური პოეტური ხედვა. მასალის შესანიშნავი ცოდნა.

სამწუხაროდ, ნაშუაგურმა, რომელიც ლიტერატურულად საინტერესო იყო, ჩემი აზრით, ეკრანზე გადატანისას, მგერი რამ დაკარგა. კინო ერთდროულად მრავალ კომპონენტის შემცველი ხელოვნებაა და რეჟისორი ყველა ამ კომპონენტს უნდა ფლობდეს. გარდა ამისა, რეჟისორს უაღრესად გამსჭვილულებული უნდა ჰქონდეს სიმაართის შეგრძნება. არ შეიძლება სიყალბის დამშვება არცერთ კომპონენტში, გ. ჩოხელმა კი კარგი ჩანაფიქრის ხორცმუსხმისას შეცდომა დაუშვა.

ფილმი, რომელიც უსიტყვოდაც ნათელი უნდა ყოფილიყო (საჭირო იყო სახეები, მოქმედებით მხარეზე გაიხსნებინა მტერი ყურადღება), მან გაახმოვანა, ვითომ შენაგანი ხმით გაუკეთა ფილმი კომენტარი. ფილმის გმირის მოქმედება, ქცევა სასველით დამაჯერებელია (როლს თიელი, სოფელი ქალი ასრულებს), მაგრამ ამ გმირის ახმოვნებს თიელიცლი, ძალიან კარგი, მაგრამ ამ გმირისათვის სრულიად შეუფერებული მსახიობი. ამის გამო ფილმმა დაკარგა დამაჯერებლობა. გ. ჩოხელმა — ნიჭიერმა, პერსპექტიულმა ახალგაზრდამ

ჯერ უნდა ისწავლოს. გული არ უნდა გაიტეხოთ. ჩვენ დიდი ყურადღებით ვაღწევთ თვალს მის ზრდას და ვფიქრობთ, რომ სულ მოკლე ხანში, მან უკვე პროფესიულად მომძლავრებული უნდა გადაიღოს ფილმი.

ბ. ხონელიძის „პატარა მეგობრები“ უპრეტენზიო საკითხს ეხება. ფილმი ქარმონიული, შვრული, ერთიანი ნაწარმოებია. წილს ეს ფილმი სტუდენტთა ნაშრომებებს შორის საუკეთესოდ იქნა აღიარებული.

ძალიან პრობლემატურ, მწვავე, პუბლიცისტურ ნაწარმოებად მიმაჩნია ი. კვაჭავასი დოკუმენტური ფილმი „არქიტექტორები“. სურათი არ არის სრულყოფილი, ხშირად სატელევიზიო გადაცემას მოგვაგონებს და არა ფილმს, მაგრამ ძალიან ნათლად ჩანს ავტორის მრწამსი, გულის ტკივილი და ზოგიერთ შემთხვევაში ეს გულისტკივილი მწვავე პროტესტად იქცევა, რაც ადეკვატურ ემოციურ სახეს პოულობს მსატრელ გადაწყვეტაშიც. მაგალითად, ფილმში ქართული არქიტექტურის შესანიშნავ ძეგლებს რეფერად მისდევს ხმა: „...ხელი მომჭრეს, რატომ კარგი ავიკაი...“, შემდეგ იგივე ფრაზა დღევანდელი თბილისის მახინჯად ნაშენ მასივებს მიჰყვება. მშენი-ჭი პოლიმიკური მსატრელი სახეა შექმნილი.

ჭიაურელი თავის ფილმში „კვირადღე“ ენდობა იმას, რაც თვით მას ხიბლავს ცხოვრებაში, უჩვენებს ევრანზე იმ გმირებს, ვინც ცხოვრობს საყვარელია მისთვის, იყენებს მხოლოდ ყოველდღიურ, ჩვეულებრივ სიტუაციებს და, ვფიქრობ, მის ნაშრომებში არის მარცვლი იმ თაობის ცხოვრების სინამდვილისა, რომელსაც თვით ეს ახალგაზრდა კუყურობს. ფილმში თითქოს ეპირიკულია, გაუხარებლად, მაგრამ მისი აზრს მიტოვებ წვილში იმ კინეკრეტიული სიმართლისა, რომელიც ასე თუ ისე ამოქმედებს თქვენს-ჩვიდმეტი წლის ახალგაზრდას. ორი გმირის ქუჩაში ყოფილს უკან სულ იგრძობა, რომ ეს უსაქმრობა მხოლოდ გარეგნული გამოსატყულებაა, რომ ამ ადამიანთა არსებაში ყალიბდება ზნეობა, რომელიც, ალბათ, მომავალში გამოვლინდება.

რაც შეეხება რეჟისორთა მეორე ჯგუფს, მათი სასწავლო პროგრამა განსხვავებულია იყო დაგვიწილი. ამ ჯგუფის სტუდენტთა უმრავლესობა პრაქტიკის გადიოდა მათი პედაგოგის თ. აბულაძის ფილმის გადაღებისას. ვფიქრობ, ეს ძალიან სასარგებლოა და მოკლე მომავალში ალბათ მათ ფილმებსაც ვისაუბრობთ.

აქვე იხსენებ ადვინიში, რომ ამ ჯგუფის სტუდენტის, თ. ბაბულაშვილის ფილმმა, რომელიც მან მეორე კურსზე გადაიღო, საკავშირო პრიზი დაიმსახურა, როგორც საუკეთესო სტუდენტთა ნაშრომებებს შორის.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე მინდა დავასკვნა, რომ სასწავლო პროცესის დარღვევა და სტუდენტის ნაადრევად გაშვება წარმოებაში მავნებ მოქმედებს მათს შემოქმედებით ზრდაზე. ახალგაზრდებს უმეტეს შემთხვევაში ჯერ ძალიან მოკრძალებულად, მორიდებულად, ფრთხილად, გაუბრადავად ამტკიცებენ თავის მოქალაქეობრივ მრწამსს. პედაგოგები სწორედ ამ მხარეზე მუშაობას უნდა უპირობებენ მეტ დროს. შედარებით ადრეულ ეტაპზე (მეორე-მესამე

კურსზე) სტუდენტებმა სამუშაო სჯობის სასწავლო სტუდიაში გააკეთონ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე ათი წელია, რაც არსებობს ხელოვნების ფაკულტეტი, რომელიც ახლა, ამ დაღვინების შემდეგ, გადაიტაცა სასოფლოებრივ მეცნიერებათა მეორად ფაკულტეტად, სადაც უნივერსიტეტის და სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები სწავლობენ. ფაკულტეტის მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტებს აიმაღლონ კულტურული დონე, შეეფასონ ხელოვნებას, კერძოდ, კინოხელოვნებასაც. აქ არის კინორეჟისურის, კინოთეორეტიკის, კინორეჟისურის განყოფილებები. კინოგანყოფილების ბევრი კურსდამთავრებული ამჟამად სხვადასხვა შემოქმედებით ორგანიზაციაში ეწევა ნაყოფიერ საქმიანობას. ზოგიერთი მათგანი აგრძელებს სწავლას სპეციალურ უმაღლეს კინო-სასწავლებლებში, ზოგიერთმა კი უკვე აღიარებულ მოიპოვა (გრაფიკა, პედაგოგია, ბიზნის რაჭველიშვილი, ლალი მამასახლისი და სხვ.).

უკანასკნელ წლებში (დაახლოებით ხუთი-შვიდი წელი), ქართული კინო ძალიან ინტენსიურად იცხება ახალგაზრდა შემოქმედებითი კადრებით. ბევრმა მათგანმა რამდენიმე მოკლე ფილმი გადაიღო, ზოგიერთი თავის პირველ სრულმეტრაჟიან ფილმს იღებს. ხუთი-ათი წელიც არსებობდა, რომლის განმავლობაშიც ახალგაზრდამ, ასე თუ ისე, უნდა გამტკიცდეს თავისი მიდრეკილება, უნდა გაიხსნას როგორც ხელოვანი. საინტერესოა, რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს, ასე ვთქვათ, ახალგაზრდულ კინოში.

უკვე არაერთხელ აღინიშნა, რომ ბოლო წლებში ქართული კინოს ერთ-ერთ წამყვან ენარად კომედია გამოიკვეთა. კომედიის ერთგვარი მოჭარბება არ არის არც ურყოფითი და არც საკუთო ეროვნული. სხვა საქმეა, თუ რა მიმართულებას იძებს ეს ტენდენცია და რა ღირსების შედეგს გვაძლევს. ცხოვრებისეული მოვლენების, ხასიათების, დამოკიდებულების სიცოცხლით შეფასება, რასაკვირველია, ქართული ბუნების ერთ-ერთი თავისებურებაა. ამიტომაც შეეისხობოდა კომედია ასე ბუნებრივად ქართულ კინოხელოვნებას. კომედია უადრესად აქტიური ენარია, საოცრად ქმედითი მსატრელი საშუალებაა. გასაკვირო არ არის, რომ კინემატოგრაფისტების ახალგაზრდა თაობა ცდილობს გააგრძელოს ეს ხასიათი. ნაშრომებში, ხშირად შეიმჩნევა უკვე ნაპოვნის, ადრე მიღწეულის გამოყენება, რასაც ზურღობამდე, ანკელოტამდე, შტამპებამდე მივყავართ და მით უფრო საწყენია, როდესაც ამ გზას ახალგაზრდა შემოქმედი ადგას.

უკვე რამდენიმე წელია იქნება ციკლი კომიკური ფილმებისა, რომელთა სცენარის ავტორი რ. ვაბრიაძე გახლავთ. ამ ციკლის რამდენიმე ფილმი რეჟისორმა რ. შარაბიძემ გადაიღო. ფილმები განსაზღვრულია სამი მშვენიერი, კომედიური ნიჭით დაჯილდოებული მსახიობისათვის. თუკი პირველ ფილმში „ნაძღვეა“, ჩემს აზრით, კიდევ იყო მცირე სურვილი ეროვნული თვისებების ძიების ერთ-ერთი გმირის (კახი კაცაძის) ხასიათში მინიჭ (ველათურის რასაკვირველია, კომიკურ ენარში იყო მოქმედი), მომდევნო ფილმებში „სამი მანეთი“, „აკირაძალი“, „თერმომეტრი“ ამ ხა-

სიათებმა საერთოდ დაკარგეს ყოველგვარი მნიშვნელობა, ვინაიდან არც დრამატურგული საფუძველი იძლევა ამის საშუალებას, არც სიტუაცია, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ცუდი ანეკდოტის დონეზეა. საბოლოო ჯამში დარჩა სამი ნიადაგგამოცდილი მსახიობა, რომლებიც უკვე დიმილსაც აღარ იწვევენ.

მე ძალიან მკაცრი ვარ რ. შარაბიძის მიმართ, მაგრამ ვფიქრობ, ახალი ფილმი, რომელსაც რეჟისორი ამჟამად იღებს, მომცემს საშუალებას მომავალში სხვა შეფასება მივცე მის შემოქმედებას.

მოკლემეტრაჟიანი კომედიების ჟანრს შეიძლება მივკუთვნოთ ირაკლი ასათიანის ფილმი „გაუზარებ სითბო“, რომლის სცენარიც დრამატურგმა რ. თაბუკაშვილმა შექმნა.

მოკლემეტრაჟიანი ფილმის სცენარის ავტორსა და რეჟისორს, ცხადია, ვერ მოვხვდეთ ხასიათების სისტემურ გახსნას. ყველაფერი სხარტად მოფიქრებულმა და ასევე ლაკონურად, მაგრამ სახერხულად გახსნილმა სიტუაციამ უნდა მოგვეცეს. ფილმში თითქოს პერსონაჟის ხასიათიც არის, მაგრამ ეს ხასიათი იმდენად საერთოდ კეთილი ქართველი კაცის თავისებურების მატარებელია, რომ საბოლოო ჯამში, მანც სქემ ჩანება და არა ნამდვილი ცხოვრების შეგრძნება. თვით სიტუაცია მოპასიანის მოთხრობიდან არის აღებული, მაგრამ მოთხრობაში ეს სიტუაცია უაღრესად ზუსტად ასახავს იმდროინდელ სოციალურ ურთიერთობებს, მე-19 საუკუნის ფრანგი გლეხის წინიობას და ამიტომ არის, რომ დამბლადაცემული მოზავგლედი კაცის კრუხადქცევა სოციალური ფაქტის მნიშვნელობას იძენს პატარა ნოველაში. ამ ძირეულ საფუძველს გამომოღობი სიტუაცია ქართულ ნიადაგზე ვეღარ დაინერგა. გარდა ამისა, უნდა თქვას, რომ ფილმის მხატვრული მხარე, სწორ შემთხვევაში, დაბალ დონეზეა.

ახალგაზრდა ყოველთვის ირჩევს იმას, რაც შეიძლება მაკალით გახდეს მისი შემოქმედებისთვის. ი. ასათიანი ამ შემთხვევაში, მხოლოდ გარეგნულმა, ჟანრულმა მხარემ გაიტაცა. იგი არ შეცვალა ჩანუდომოდა ქართული იუმორის, ხასიათის ძირს, ხოლო შედაპირულმა, კეთილ თბილ იუმორით მოწოდებულმა სიკეთემ ახალი არაფერი მოგვცა. ესეც გამეორებაა, სტერეოტიპია.

არ იქნებოდა სწორი, რომ ი. ასათიანის შემოქმედებებზე მხოლოდ ერთი ფილმით გვემსახურა. მას უკვე რამდენიმე ფილმი აქვს გადაღებული. მათ შორის გამოყოფდი სატელევიზიო ფილმს „თბილისური ტიპიდები“, რომელშიც გაცილებით მეტად გამოიქვეყნებდა რეჟისორის ნიჭი და ფილმის მხატვრული დირსებაც გაცილებით მაღალი იყო. სატელევიზიო ფილმების ფესტივალზე ამ ნაწარმოებმა პრემიაც მოიპოვა. ვფიქრობ, მას შემდეგ ი. ასათიანმა დაღმა დაიწყო სიარული. რეჟისორი უფრო მკაცრად უნდა მოეკიდოს თავის შემოქმედებას.

ბოლო პერიოდის ქართულ კინოში არ შეინიშნებოდა მისწრაფება კომერციულობისაკენ და ეს მისასაღებელია, მაგრამ კომედიები, რომლებსაც უწეოთ შევხვებ, ზოგიერთ ასპექტში, კომერციული კინოს ნაწარმოებს მოგვაგონებს. ეს, ალბათ, იმიტომ ხდება, რომ კომერციული კინო თავის ძირში ყოველ-

თვის სტერეოტიპულია, აგებულია იმ პრინციპით თუ რას უფრო ესწრება მაყურებლის საერთო მასა.

1976 წელს კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ გამოუშვა სრულმეტრაჟიანი ფილმი „ქალაქი ანარა“. მე ამ ფილმზე მინდა შევანერო ყურადღება, რადგან ის გადაიღო დღევანდელი ქართული კინოს საინტერესო წარმომადგენელმა ი. კვიციანიძემ, ხოლო თვით ფილმი კომედიური ჟანრისაა. ირაკლი კვიციანიძემ ამ შემთხვევაში სიცოცხლის განსხვავებული ფორმა აირჩია. აქ სატირა და ექსცენტრულ-გროტესკული ელემენტები ჭარბობს. ის ფაქტი, რომ აგრომა სიცოცხლის უფრო მძაფრ ფორმას მიმართა, მისასაღებელია. ის აფართობს უკვე თითქოს ინერგიით მიმავალ დღევანდელი ქართული ტრადიციული კომედიის ჟანრის ფარგლებს.

ფილმის თითოეული ეპიზოდი ოსტატურად არის გაკეთებული, მშვენივრად არის მოხაზული გმირთა გროტესკული ხასიათები, თავისებურად გამოვლინდნენ ფილმში ჩვენი ცნობილი მსახიობები. ამ მხრივ ფილმი მაღალი დონისაა, მასში ნიჭიერი შემოქმედის ხელი ჩანს.

როცა ტრადიცია კარგავს თავის აჩუქებით მნიშვნელობას, მაშინ ის უაზრო ხდება. ის შეიძლება ადამიანის საწინააღმდეგო ძალად იქცეს დამიჯვე ადამიანების ბედს მორალეური, წინეთბო რიგი დაღუპვით ემუქტება — ეს აუზუბის ავტორს, მაგრამ ეს აზრი ფილმის მსგელობაში ნელ-ნელა თითქოს კარგავს სიმწვავეს.

მეჩვენება, რომ ფინალისკენ ავტორი ისეთი ენებით აღარ ამღალტებდა თავის დამოკიდებულებას იმ კურიოზული ფაქტის მიმართ, რაც ფილმშია აღწერილი, ხოლო დამოკიდებულების დაკარგვა კი, თავის მხრივ, მოზანდასახულებას აკარგვინებს ფილმს. თუ ავტორს არა აქვს თავისი მორალური დამოკიდებულება იმის მიმართ, რაც ფილმში ხდება, შეიძლება ვერაწუ ასახული ამბები საქართველოს ნამდვილ ყოფად მივიჩნიოთ. ეს კი უკვე სიზარტულედ აღარ იქნება. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მე ახლა, ასე ვთქვათ, ვხსნი ფორმულას, თორემ ფილმში ასე კატეგორიულად არ არის დაკარგული ავტორისეული დამოკიდებულება.

დღევანდელ ქართულ კინოში ახალგაზრდათა ძიებანი სხვადასხვა მხრივ არის მიმართული. მე ვიმორბე, შესაძლებელია ყველა ვერ გახსნო. ზოგიერთის შესახებ კი მოკლედ, გაკვრიტ ვილაპარაკებ. მაგალითად, ლიანა ელიავა, რომელმაც პირველად ფილმი „ზიზანიუმი“ ნათლად გააჟღერა თავისი მიღრმელებანი, შემდეგ თითქოს ერთ ახილეს ტყეპინდა. „ფერმა მთაში“, რომელიც რეჟისორმა რ. ინანიშვილის მოთხრობის მიხედვით გადაიღო, გამიჩნდა მისი შემოქმედების კიდევ ერთი მხარე — სწრაფვა ზუსტი, დღუკ-მენტური სინამდვილისაკენ, მაგრამ აქაც ყველა კომპონენტი (გამხოვანება, კოლორიტი, კლოკავი) არ იყო დამორჩილებული ამ მიზანს. ეს ფილმიც უფრო ჩანახატს, ეტიტებს მოვავიერებს.

ბავშვთა და ყრმათა აუდიტორიისთვის ჩვენთან ძალიან ცოტა რამ კეთდება. პაულე ჩარკვიანიმა შარშან გადაიღო ფილმი-ზღაპარი „ივანიკა და სიმონიკა“. მასვე ეკუთვნის

„უცხო ფინიველი“, რომელიც ასევე ახალგაზრდული აუდიტორიისთვის იყო განსაზღვრული. ორივე კინოსწარმოებში რეჟისორი ცდილობს ლაკონურად გადმოსცეს კეთილისა და ბოროტის, მართლისა და ტყუილის ბრძოლა. ეს განყენებულ იდეები ცოცხალ ადამიანზე გადმოხანისას, ბუნებრივია, უნდა შეთვისოს გმირს, მაგრამ არა პირდაპირ, არამედ მზავალფეროვნად, სხვადასხვა გამობატკლებიანი ცვაისხისს ამ პერსონაჟის ხასიათი. ხასიათი, რასაკვირველია, კონკრეტული უნდა იყოს და არა ზოგადი. სამწუხაროდ, მთავარი გმირის, ივანიკას ხასიათი იმდენად ზოგადია, რომ ვარდისფერ გმირს გვაკონებს (მისუხედავად იმისა, რომ სიტუაციები აძლევენ საშუალებას მრავალფეროვანი იყოს). საბოლოო ჯამში კი იგი უხასიათოდ რჩება. რეჟისორმა ზოგიერთ სხვა სტერეოტიპსაც ვერ აუარა გვერდი. მღვდელი, მოლაღატკ ცლი ამ მხევი ქალი ამ ბოლო ხანებში სულ უფრო და უფრო ხშირად გვხვდებით ქართულ ფილმებში. ეს პერსონაჟები ზღაპრისთვის დამახასიათებელი გმირები არიან, მაგრამ, სამწუხაროდ, ფილმიდან ფილმში ისინი ერთი და იგივე თვისებების მატარებლად გვევლინებიან („შერეკილები“, „ლაზარე“, „ჩირიკი და ჩიკოტელა“, „ნატურის შიკ“).

ამ ბოლო ხანებში ქართულ კინოში თითქმის ნატურის გამყოფებაც დაიწყო. „ვედრებიდან“ მიყოლებული ფილმებში ხშირად გვხვდებით დავით გარეჯის უღბანის ვფიქრობ, ზღაპარი „ივანიკა და სიმონი“ არ მოითხოვდა ამ ნატურის აუცალკებელ გამოყენებას. ზღაპარი რეალობაში დაბადებული იქნებოდა. მძიმე ყოფით, ყოველდღიურობით დაღლილი ადამიანი ოცნებობდა, ზღაპარში მიდიოდა: ძველ, მინერალზე, განმეორებულ სახლში რომ ჩვეულებრივ ხალხიანა, ის თურმე ფრეს, სუფრა კი, დახეული, გაცრეცილი სუფრა პურმაროლსა შლის. ასე რომ, სწორედ ფილმ-ზღაპარში უნდა იყოს ყოფითი კონკრეტულობა და არა წარმოდგენითი ზღაპრულობა. ყოველწინარად მისასაღმებელია, რომ პავლე ჩარკვიანი ფიქრობს ბავშვთა აუდიტორიაზე. ზღაპარზე, მაგრამ, ჩემის აზრით, რეჟისორს ჯერ კიდევ ბევრი არაა აქვს გადასაწყვეტი სურვილის მხატვრულ სახედ გადაქცევის მხრივ.

ყველა კულტურული ერის მესსიერებაშია ჩაბეჭდილი ლეგენდარული გმირები, რომლებიც ატარებენ ერისათვის საოცნებო, სათავყურად თვისებებს და რომელთა ბედი ერის ისტორიულ ეტყვება განახლებებს.

წ. მანაგაძე აი, უკვე მთორე ფილმში სწორედ ასეთ გმირს ხატავს. პირველმა ფილმმა „ამხავი ივანე კოტორაშვილისა“, რეჟისორს წარმატება მოუტანა. სცენარის ავტორებთან ა. ახლადინთან და დ. კავასიშვილთან ერთად კარგად ნაპოვნმა ერის ბედისა და უბედობის, გამარჯვებებისა და მარცხის, დაცემისა და კვლავ აღორძინების პოეტურმა, განზოგადებულმა გადაწყვეტამ, ზუსტად მიგნებულმა და სახიერად გადაწყვეტილმა ნატურამ, რომელიც ნათლად ქმნის აოხრებულნი და კვლავ ფესზე წამოშდარი საქართველოს ხატს და რაც მთავარია, თვით გმირის სახეზე განაპირობებს ფილმის წარმატება. ფილმი ხალხური იუმორით არის გამთარანი, ყოფითობაც ბევრია მასში და, ამავე დროს, განზოგადებული და პოეტური. წ. მანაგაძეს სრულიად ჩამოყალიბებული ნა-

თელი სათქმელი აქვს და ეს სათქმელი დიდი პატივსაცემის ღირსია. იგივე ტენდენციას ავრცელებს რეჟისორი თავის ახალ ფილმ „ამალუბაში“. წარმოების პროცესი დამთავრებულია, მაგრამ ფილმი ჯერ კიდევ მოითხოვს დახვეწას, დასრულებას და ამიტომაც არა მარტო უფლებს ვილაპარაკო მის ღირსება-ნაკლოვანებებზე.

ეროვნული კინოების ძიება ეროვნული ლიტერატურის ათვისებასთან იყო დაკავშირებული. ქართული კლასიკური ლიტერატურის ევრანიზაციას დიდი ტრადიციები აქვს. ყველა თაობისთვის ერთ-ერთ ფუნდამენტს ეროვნული ლიტერატურა წარმოადგენდა და წარმოადგენს. და დღეს მრავალ-ასალგაზრდა კინემატოგრაფისტი კვლავ ეწევაფება ამ უმრეტ წყაროს ვფიქრობ, რომ უმრავლეს შემთხვევაში და ათვისება ტრადიციულ ფორმებს არ სცილდება. ამასი ცუდი არაფერია. რეჟისორებმა ბ. რაჭველიძემოლმა და რ. ჭარალაშვილმა დავით კლდიაშვილისა და ნიკო ლორთქიფანიძის მემკვიდრეობას მიმართეს. თუმცა „ბაკულას ღორებისა“ და „სოფლის ამივისა“ ევრანიზაციები ძალიან ტრადიციულად არის შესრულებული და კლასიკური ლიტერატურის ათვისებაში რეჟისორებს ახალი სიტყვა არ უოტყვამს, მაგრამ მათი შემოქმედებისათვის ეს ფილმები საინტერესო და ვფიქრობ, წინ გადადგმული ნაბიჯია.

ბ. ხოტივარის უკანასკნელი ნამუშევარი „ჩირიკი და ჩიკოტელა“ გიორგი ლეონიძის მოთხრობის ევრანიზაციაა. ამ ხელულის შემოქმედებას ევრანზე ეროვნული ხასიათის ხატვანად, კოლორიტულად გადატანა გამოარჩევს. მას ყოველთვის საკუთარი რიტმი, ტემპი შეაქვს ფილმში, ეს კი იმითაა გამოწვეული, რომ რეჟისორი არასოდეს არ არის გულგრილი ეროვნული ხასიათის იმ მხარეების მიმართ, რაც ზემოთ ვახსენებ. მას უკვარს კოლორიტულ ქართველი რაც, და ამას დაუფარავად ამჟღავნებს. ამ დამოკიდებულებამ რეჟისორის პირველადი ფილმში „დორილის ჩანახატები“ იჩინათაი. თითქმის ყველა ნამუშევარში ყურადღებას იცვენს მახალისე ზუსტი შერჩევა და კარგი ორგანიზაცია, პროფესიული ოსტატობა, იგრძნობა რეჟისორის მსახიობთან მუშაობის უნარი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ჩირიკი და ჩიკოტელა“ ზოგიერთი გმირის ხასიათში შეიმჩნევა ერთგვარი სტერეოტიპულობა. ვფიქრობ, ეს განაპირობა ბოლო ხანებში გ. ლეონიძის შემოქმედებისადმი ინტერესის ზრდა და განვიცოცხ, შესაძლებელია გავდუნე ერთმანეთს. ვფიქრობ, ამ ფილმით ბ. ხოტივარმა კიდევ ერთხელ დამატევა თავისი ნიჭიერება და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, საით მივსვით უფრო.

რეჟისორ ა. რევიიაშვილის ფილმში „მწვენი მდელი“ ტრადიციულობის სრულიად საპირისპირო სწრაფვას გვხვდავთ. რეჟისორი ცდილობს გახსნას მხატვრის სამყარო, გარკვევის როგორ ყალიბდება მხატვარში ის სახე, რაც მის შემოქმედებაში უნდა გამოიხატოს, ე. ი. რეჟისორი ცდილობს შემოქმედებით პროცესის გახსნას მხატვარში სურვილის ჩასახვიდან მის რეალობად ქცევაამდე. იგი მიმართავს ალფორმას, სიმბოლიკას. ხშირად ზუსტი სახეობის სახეობი აქვს ნაპირა, მაგრამ ფილმში ცოცხალ შემოქმედებით პროცესთან კი არა გვაქვს საქმი, არამედ ცივი სიმბოლოების ხედვასთან და ამი-

ტომ მხატვრის ძიება, რომელიც ყველაზე ძვირფასის გათვით-  
ცნობიერებაში და ასახვაში უნდა გამოიხატოს, პრიმიტიულად  
სწორხაზოვნად, ილუსტრაციულად იბადება ფილმში.

ფიქტორი, ეს ფილმი მინც საგარეოშია ა. რეგვიამელი-  
სათვის. გავიყანი მის ახალ სცენარს „ანიტიმო ავერდილი“,  
რომელიც ე. ანგელდიანთან და ზ. კიკნაქსთან ერთად გააკეთა  
რეჟისორმა. ჩემი აზრით, ეს მშვენიერი და მნიშვნელოვანი  
ნაწარმოებია.

ბოლო წლების ქართულ კინოში საკმაოდ დიდი ადგილი  
უჭირავს თანამედროვე თემატიკას. ფილმებს ჩვენს თანამედ-  
როვეზე ახალგაზრდებიც კმნებიან.

ბუნებრივი სურვილია ილაპარაკო იმაზე, რაც შენთვის  
ახლოვლი და გასაგებია, მაის შენი ცხოვრებისეული გამოც-  
დილებაა და სწორედ ამ დროს ველით ხოლმე ახალგაზრდა  
შენიქმნის ნამდვილ, თავისთავად გახსნას. საწუხაროდ,  
ახალგაზრდებმა სწორედ თანამედროვე თემაზე შექმნილ ფილ-  
მებში ვერ დაამტკიცეს თავი სრულად, ორიგინალურად და  
დრამა. მხედველობაში მაქვს ო. გვახალას ფილმი „მეგი-  
დობიანი დღეები“, თ. გომელაურის „კაპიტნები“, გ. ხოჯაეას  
„დილის ნიღოები“. სამივე ფილმს ერთი მისწრაფება აერ-  
თინება ანამეტირებო ადამიანის (ორ ფილმში ახალგაზ-  
რდას) მიერ ზნეობრივი პოზიციის არჩევა ცხოვრებაში. ეს ძა-  
ლიან დამახასიათებელი პრობლემაა მთელი ახალგაზრდული  
საბჭოთა კინოსათვის და საერთოდ ხელოვნებისათვის. ეს იგი-  
ვეა, რაც ცხოვრებაში შემოსული კაცისათვის მსოფლიუმდებ-  
ლობის ჩამოყალიბება ოღონდ ზნეობრივ, ეთიკურ განზომი-  
ლებებში.

შემოქმედი თავისთვის ფუნდამენტს ეძებს და ეს ფიქრი და  
ძიება შემოქმედებით გადმოაქვს. ამიტომ ადუღებთ ახალ-  
გაზრდებს ეს პრობლემა, მაგრამ ერთია, როდესაც ეს საკით-  
ხი მწვავედ გაწუხებს, არ გასვენებს. ამ შემთხვევაში ნაიჭავში  
ხელი-წინაში ასევე მწვავე და დრამა დანცდილია. სწორედ  
ეს ადუღებდა ვერ ვერტყნით თანამედროვე თემაზე შექმნილ  
ფილმებში. სამივე რეჟისორმა გაცილებით საინტერესოდ გა-  
მოამტკიცა თავი სხვა ფილმებზე შეუძაბობისას.

ზემოთ ო. გვახალას ფილმი „მეგიდობიანი დღეები“ კბ-  
სუნე და კრიტიკა მინდა მივყავს, რომ რამდენიმე ხნის  
წინ ვნახე ამ რეჟისორის თანამედროვეობისადმი მიძღვნილი  
კიდევ ერთი ფილმი „დილოვები“ გადაღებული დოკუმენ-  
ტურ სტუდიაში. ფილმმა საინტერესო ნაწარმოების შთა-  
ბეჭდილება დატოვა ჩემზე. გამოცდივის, ინტელიტის მე-  
თოდით რეჟისორმა სცადა მასწავლებლისა და მოსწავლის და-  
მიჯიდებულობის, ნიბოა-უნდობლობის, მოწაფეთა მისწრაფე-  
ბებისა და ოცნებების, სწავლასა და სწავლების პროცესზე  
მათი შეხედულებების გარკვევა. ეს ძალიან მართალი ფილმია,  
რომელიც ნათლად გამომტკიცებდა რეჟისორის მიქალაქიბო-  
ბრიც მწრწამში. ხოლო ფილმის ფინალი, სადაც მოწაფეები და  
მასწავლებლები ერთად შეჯგუფდნენ, ერთ ორგანიზმად ქვე-  
ულნი გზაჯვარედინზე დგანან, დიდ აზრობრივ დატვირთვას  
იძებს. თვით ო. გვახალია დღეს კინოსარეჟისორო ფაკულ-  
ტეტის ერთ-ერთი პედაგოგია და მით უფრო სასიხარულოა

მისგან პრობლემის ასეთი საინტერესო დასმა, ასეთი ყურად-  
ღებით მიდგომა მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთო-  
ბის მიმართ. ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო ერთი  
ძალიან მნიშვნელოვანი მოსაზრება, რომელიც თომას მანს  
ვეუბრები:

Учитель — это олицетворенная совесть ученика,  
подтверждающая его сомнения, объясняющая его  
неудовлетворенность и поощряющая его стремле-  
ние и совершенство.

ალბათ ასეთი დამოკიდებულება გაზრდის დღევანდელი კინო-  
ფაკულტეტის სტუდენტებშიც ნამდვილ შემოქმედ.

თუკი „ქართულ ფილმში“ საკმაოდ ბევრი ახალგაზრდა  
მუშაობს, ამის თქმა არ შეიძლება დოკუმენტური და სამეც-  
ნიერო პოპულარული ფილმების სტუდიაში. ვერ ვტყვივით,  
რომ სტუდის ხელმძღვანელთა უფურადღებო ტვივების ამ  
საკითხს, მაგრამ ჯერჯერობით ახალგაზრდობა ამ სტუდიაში  
ძალიან ცოტაა. იმედია, ეს საკითხი გადაწყდება, როგორც კი  
კინოფაკულტეტი დოკუმენტალისტი რეჟისორების პირველ  
ჯგუფს გამოუშვებს. ახლა კი შესაძლებელია მხოლოდ ორი  
ახალგაზრდა რეჟისორის დასახელება, რომლებმაც ამ ბოლო  
წერიოდში საყურადღებო ნამუშევრები შექმნეს. სამეცნიერო-  
პოპულარულ ჟანრში საინტერესოდ მუშაობს რეჟისორი ი. წი-  
წუაშვილი. აღსანიშნავია მისი ფილმები „მედულერ ქაბი“,  
„საბჭოთა კავშირის მელორიაცა“, დოკუმენტურ ჟანრში  
ყურადღება მიიქცია მ. გავუს ფილმმა „მე — მწვემისი“.  
რეჟისორი დიდი ყურადღებით უკვირდება ახალგაზრდა მწვემ-  
ის ცხოვრებას, შრომას. გულწრფელად, სიმძიმისა და სიარ-  
თულის დაუფარავად ხატავს თავისი გმირის პორტრეტს. აქვე  
უნდა ითქვას, რომ ზოგ შემთხვევაში მას ეფექტური კადრები  
იტყვება და გმირის შინაგანი სამყარო ხშირად მეორე პლან-  
ზე ჩნდება. თითქოს ზუსტი კოლორიტი არ არის ნაპოვნი დიქ-  
ტორის ტექსტისთვის, რომელიც გმირის შინაგანი მონოლოგი-  
ვით არის გადაწყვეტილი. ფილმი საკავშირო პრეკით და  
კრავილ სავსააზროსო ფესტივალის დიპლომით არის და-  
ჯილდოებული.

ზარბან რამდენიმე დებიუტი შედგა ტელეფილმების სტუ-  
დიაშიც. ამათგან გამოყოფიდი გ. ჭანტურიშვილის „მეკანი-  
ზატრეობა“, თ. ჩიხლაძის „ჩემს თანამედროვეს“, გ. ბარნო-  
ვის „მენ-მ პარალელს იქით“ და გ. გაბელას „გადღებულ  
წინ“. უნდა ითქვას, რომ წილს ამ სტუდიაში თავის საკურ-  
სი ნამუშევრებს იღებენ მეოთხე კურსის სარეჟისორო ფაკულ-  
ტეტის სტუდენტები.

მე ჯერჯერობით მხოლოდ რეჟისორთა ნამუშევრებს შევხე.  
სამწუხაროდ, სხვა პროფესიის შემოქმედებით ახალგაზრდე-  
ბით სტუდები გაცილებით უფრო ნაკლებად იყვება. ამ ბო-  
ლი ორი წლის განმავლობაში მხოლოდ ორი საინტერესო სა-  
ოპერატორო დებიუტის მომსწრები თუ გავხდით. მაღალი ოს-  
ტატობა გამოამტკიცეს ოპერატორებმა ნუგზარ ერქომანიშვილ-  
მა და ზაზა გუდავაძემ. ჩემის აზრით, ისინი უკვე თავისი  
საკმის ჩამოყალიბებული ოსტატები არიან.

დადგენილზე შემოქმედებითი ახალგაზრდობია შესახებ

ძალიან დიდ უფლებებს აძლევს ახალგაზრდებს. ის იწვევს მათ, ითხოვს მათგან ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებში წარჩევას. ეს დიდი უფლებაა, მაგრამ აქვე ისინი საკითხი: — ვისა აქვს ამის უფლება. ალბათ იმ შემოქმედს, რომელიც ნათელი იდეურ-პოლიტიკური ორიენტაციის მატარებელია.

1964 წელს ა. ტარკოვსკიმ ერთ-ერთ მოკლე საგაზეთო წერილში ოთხი მოკლემეტრაჟიანი ქართული ფილმი განიხილა, რომლებიც ახალგაზრდებს ეკუთვნოდათ. ამ ოთხ ფილმში, ე. ი. ოთხი ქართული ხელოვანის შემოქმედებაში მან იპოვა ის ძირითადი ტენდენციები, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. ოღონდ მაშინ თუ ოთხი კაცი იყო, ახლა გაიცლებით მეტია. აი, როგორ გაიზარდა ახალგაზრდობა ჩვენს კინოში. საწყენია მხოლოდ ის, რომ თუკი ა. ტარკოვსკისთვის ნათელი იყო ყოველი ამ შემოქმედის მხატვრული მისწრაფება და მოქალაქეობრივი პოზიცია, რადგან ისინი ამას ნათლად გამოხატავდნენ თავის პირველსავე ფილმებში, დღეს ეს ტენდენციები ახალგაზრდათა შემოქმედებაში გაიცლებით უფრო გაუზედავად მტკავენდება (თუ არ ვიგულისხმებთ მცირე გამოწვევას).

წელს საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის კინოფაკულტეტი დაამთავრა კინომოდერნიზაციულმა ჯგუფმა. ესეც დიდად მისალოცე ფაქტია. მე დრამად მჯერა, რომ ქართული კინოს ისტორია ქართველმა კინომოდერნებმა უნდა შექმნან. ახლა ეყრება საფუძველი ჩვენი კინოს პრობლემების სისტემატურ კვლევას, დრამა შესწავლას. კინომოდერნიზაცია გულწრფელად აწარმოონ კვლევა, დააგროვონ მასალა, რათა შექმნას ქართული კინოს ტექნიკური ისტორია. ზნობრივ ჩვენში ფილმებსა შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ამა თუ იმ ფილმზეა ზეგამარჯვებს, ანდა უტყობიანად და რუსეთიდან მოსულ აბოკულარობას ენიჭება. რასაკვირველია, აბოკულარობამ თავისი გარკვეული ადგილი უნდა დაიკვიროს ფილმის შეფასებაში, მაგრამ იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქცეს ფილმის შეფასების ერთადერთ კრიტერიუმად. ასეთ კრიტერიუმად უნდა იქცეს ის თვისებები, რომლებიც ჩამოყალიბებულია სოციალისტურდენდებში ნაწარმოების შესაფასებლად და კიდევ ერთი კრიტერიუმი, რომელსაც ჩვენში რატომღაც უშუალებელიყოფენ — დრო. დრო, რომელიც ყველასა და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს ისტორიაში. ხოლო ეს რომ მიხედვას, საჭიროა შექმნას ქართული კინომოდერნიზის სკოლა.

ერთ-ერთი ყველაზე რთულად გადასაწყვეტი პრობლემა ახალგაზრდა სცენარისტის, დრამატურგის მოსვლა კინოში. ამ მხრივ ქართულმა კინომ გამოსავალს მიაგნო, რადგან სააკავეზირო ინსტიტუტში და უმაღლეს კურსებზე არცთუ ისე ზნობრივ სწავლობენ საქართველოდან წასული ახალგაზრდები. კინოსტუდიაში არსებული სასცენარო სახელისნო, რომელსაც რ. თაბუკაშვილი ხელმძღვანელობს, ძალიან სასარგებლო საქმიანობას ეწევა ამ მხრივ. გამოცდილი დრამატურგების ხელმძღვანელობით ახალგაზრდები ხვეწენ პროფესიონალიზმს. უკვე რამდენიმე საინტერესო სცენარისტის დასახელება შეიძლება. ვფიქრობ დრამა, თავისებურ, ინდივიდუალურ ავტორად, ჩვენს კინოში ვ. გიგაშვილი ჩამოყალიბდა. მი-

სი ახალი სცენარი, „ოლკა ჩიხელი“ ძალიან მნიშვნელოვანი ნაწარმოებია. აქ ცალკეულ კომპონენტებზე არც კი ღირს ლაპარაკი, იმდენად კარგად არის ყველაფერი გაკეთებული და ისეთ მაღალ ზნობას, მოქალაქეობრივ შეურთებლობას ამქვედავენებს ავტორი ფაქტების მიმართ, რომლებიც მას სცენარში აქვს აღწერილი.

მაგრამ საინტერესო ფაქტების მხოლოდ დანახვა და მათი აღწერა ცოტაა. ეს ფაქტები ისე უნდა იყოს დალაგებული და გააზრებული, რომ მათმა შეფარდებათა, შეზღოვებებმა ხარისხობრივად ახალი აზრი მოგვეცეს, ისევე, როგორც ცალკეული განხეული აგურები უბრალოდ აგურებია, ხოლო მათი გააზრებული წყობა შენობას იძლევა. ისევე მინდა დავეზრუნე იმ საკითხებს, რითაც დავიწყე. ეს გასლათ საკითხი მსოფლმხედველობისა და მეთოდის შესახებ. როდესაც დრამა გააზრებულ და მრავალფეროვნად გახსნილ ცხოვრებას კიდევ ნიჭი ემატება, მაშინ საქმე გვაქვს მწვენიერ შენობასთან. ერთგული ხასიათი, ქცევა, ეთიკა, ჰასიათი და ბოლოს ამ ხასიათის სასოფლო მნიშვნელობა. მასშტაბი, — აი, ეს კომპონენტები, რის გარეშეც წარდგინა გვირ. ეს აზრი გინდებდა ვ. გიგაშვილის სცენარის კითხვისას და იგივე აზრი გებადებდა, როდესაც უყურებ შეხანიშნავ ფილმს „თუშ მეტყველას“.

ს. ჩხაიძის ფილმი ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართულ კინოში. მით უფრო სასიხარულოა ის ფაქტი, რომ თვით სოსო ჩხაიძე შეიძლება ქართველ კინემატოგრაფისტთა ახალგაზრდა თაობას მიეკუთვნებოდ. მე ახლა არ დავიწყებ ფილმის განხილვას (მიუხედავად იმისა, რომ უკვე რამოდენიმეჯერ მომიხდა ამ ფილმზე ლაპარაკი). რადგან ორი სიტყვით სათქმელს ვერ ამოწურავ, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ რეჟისორის თვალთახედა უაღრესად ნათელი კლასობრივი თვალთახედაა, არა იმიტომ, რომ ის მწყემსებზე, გლეხებზე იღებს ფილმს არამედ იმიტომ, რომ ის გაულწრფელად, დრამად, სიამაყით გვიხატავს მშრომელი ქართველი კაცის ეთიკას, ზნობას, ე. ი., იმ ძირეული კლასის ეთიკას, რომელსაც შექმნა ჩვენი სახელმწიფო.

ნუ იფიქრებთ, თითქოს მე მხოლოდ ისეთი ფილმების მოძრე ვიყო, როგორც ს. ჩხაიძემ გადაიღო. ქართული კინო სწორედ იმით არის ძლიერი, რომ ის მრავალფეროვნა და მყარად დასა ერთგულ ნიადაგზე, რომ ქართულ კინოში ერთდროულად მუშაობენ ერთმანეთისაგან განსხვავებული შემოქმედნი.



# ახალი კამერული ორკესტრი

ნოდარ მამისაშვილი

ყველა ახალი კოლექტივის დაბადება მოასწავებს შემოქმედებით ასპარეზზე ნიჭიერი მუსიკოსების გამოჩენას, მოასწავებს მუსიკალური ცხოვრების გამდიდრებას რეპერტუარით, საშემსრულებლო ხელოვნების ახალ-ახალი ნიუანსებით... ამიტომ სავსებით ბუნებრივია ის დიდი ინტერესი და სიხარული, რომელიც გამოიწვია ახალმა კამერულმა ორკესტრმა, საქართველოს მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ საზოგადოებასთან რომ ჩამოყალიბდა და შემოქმედებითი ნათლობა მიიღო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის აპრილის პლენუმზე; ორკესტრმა მშვენივრად შეასრულა რევაზ გაბიჩავაძის ახალი კამერული სიმფონია.

6 მაისს კი ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში კამერულმა ორკესტრმა, საქართველოს მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების გუნდთან ერთად, გამართა თავისი პირველი კონცერტი, რომელზედაც აქლერდა ვოკალურ-ინსტრუმენტული მუსიკის შესანიშნავი ქმნილებანი. ხოლო 8 მაისს ორკესტრი დამოუ-

კიდებლად წარსდგა მუსიკალური საზოგადოების წინაშე და წარმატებით შეასრულა ვივალდის, ბახის, ჰენდელის, მოცარტის, შუბერტის საორკესტრო ნაწარმოებები. კლასიკური მუსიკის შედეგები აქლერდნენ დიდი გემოვნებითა და ოსტატობით. ამავე საღამოზე კვლავ ბრწყინვალედ შესრულდა რ. გაბიჩავაძის კამერული სიმფონია. პირადად მე ამ ორკესტრისათვის დაეწერე საორკესტრო პიესა „პოსტ სკრიპტუმი“ და ამასთან დაკავშირებით ვესწრებოდი რეპეტიციებს. გამოცა და გამახარა ახალგაზრდა შემსრულებელთა ერთუზიანობა, საქმისადმი სიყვარულმა, პასუხისმგებლობის მაღალმა გრძნობამ. რეპეტიციის დრო გრძელდებოდა „უსასრულობამდე“, ყოველგვარი ანგარიშის გარეშე, გრძელდებოდა უკიდურეს დაღალამდე, ასეთი თავდადების შედეგად წაიშალა ის აშკარა ნაკლოვანებები, რომლებიც ახასიათებთ ხოლმე ახალბედა ანსამბლებს. ცხადია, კოლექტივის წინაშე მრავალი შემოქმედებითი ამოცანა დგას — დასახვეწია ინტონირება, კლასიკის შესრულების დროს ყოველთვის არ იგრძნობა რიტმული მაკისცემის სტაბი-



საქართველოს მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოებას კამერული ორკესტრი. დირიჟორი შავლე შილაკაძე

ლურობა და სიმკვეთრე... მაგრამ მთავარია ის, რომ დაიბადა პოტენციური და პერსპექტიული კოლექტივი, რომელსაც უკვე განსაზღვრული აქვს თავისი შემოქმედებითი პროფილი. ვფიქრობ, რომ კამერული ორკესტრისა და გუნდის შემოქმედებითი თანაარსებობა სახავს გზას კამერატისაკენ, რომელიც რატომღაც დავიწყებას მიეცა. კამერატა კი ანსამბლური მუსიკირების ერთ-ერთი ყველაზე უძველესი საინტერესო და მრავლისმომცველი ფორმაა. იგი მოწოდებულია შეასრულოს როგორც საორკესტრო, ისე საგუნდო ნაწარმოებები, წარმოსახოს ვოკალურ-ინსტრუმენტული მუსიკის სხვადასხვა ჟანრი, მათ შორის — კამერული ოპერა. კამერატა აცნობს მსმენელებს არა მარტო კლასიკურ მემკვიდრეობას, არამედ თანამედროვე კამერულ მუსიკასაც, რომელმაც ანსამბლური მუსიკირების მრავალი ახალი ფორმა ჩამოაყალიბა. თანამედროვე საკონცერტო ესტრადაზე ვხვდებით კამერატის იმპროვიზებულ ან ფარულ გამოვლინებებს, რაც მის ალთიძინებაზე მეტყველებს. ნ მათის კონცერტიც სწორედ ამ ტენდენციის გამოხატულებას წარმოადგენდა.

კამერული ორკესტრის მსატრული ხელმძღვანელია კომპოზიტორი და დირიჟორი შავლე შილაკაძე, რომელიც ამ კოლექტივის დაარსების ინიციატორია. მანვე შეკრიბა და შეარჩია ამ ახალგაზრდული ორკესტრის წევრები. შ. შილაკაძის სახით ორკესტრს ჰყავს განათლებული დახვეწილი გემოვნების, ნიჭიერი ხელმძღვანელი. დანარჩენი კი, როგორც იტყვიან, დროის საკმეა.

მინდა გულითადი მადლობა გადავუხადო კამერული ორკესტრის დირიჟორსა და მსატრული ხელმძღვანელს შავლე შილაკაძეს, კამერული გუნდის ხელმძღვანელს ი. დადიანს, ახალგაზრდა მომღერლებსა და ინსტრუმენტალისტებს იმ დღე-ღამეში, რომლებსაც მოვხვდებით კონცერტების დროს და გუსურვო მათ მომავალი წარმატებები.





პოვებული გამოცდილება, დაკვირვება. მახვილი თვალი უთუოდ შენიშნავდა თვისებათა სხვაობას, რომლითაც ცოცხლდებოდნენ სცენური ხასიათები (მოტირალი, სულხან-საბა „სიბრძნე-სიცრუისა“, რეჟ. ნ. ხატისკაცი; ლალო, ნ. აზიანი „უკანასკნელი მსაკარადი“, რეჟ. გ. ჟორდანიას; დიტო, თ. იოსელიანი „სანამ ურემი გადაბრუნდება“, რეჟ. მ. თუმანიშვილი; იანე ზუნი, ბ. ბრეტტი „სეჩუნელი კეთილი ადამიანი“, რეჟ. რ. სტურუა).

ამდენად რთულად მიიკვლევდა გზას ბავშვებისთვის, თუმცა წინააღმდეგობა აშკარად არ გამოვლენილა. იგი მისწავლას აგრძელებდა მუშაობას საკუთარ თავზე, სურვილით — დაეძლია მიგნებებში ძველი ნაკლი, რომელიც გააცნობიერა.

ანალიზი მარტო საკუთარ შემოქმედებას როდი მოიცავდა. აქტიური ხასიათით ცდილობდა თეატრში მიმდინარე რთული პროცესების მონაწილე ყოფილიყო. არ დროს ქართული თეატრის უმნიშვნელოვანესი მიღწევები რეჟისორ მიხეილ თუმანიშვილის სახელსა და იმ თაობას უკავშირდება, რომელთა მოღვაწეობამ თვისობრივად ახალ მიმდინარეობას მისცა დასაბამი. მათ გვერდით ყოფნა, შემოქმედებითი პრინციპების თვალსაჩინო თავისებურებათა აღქმა, მჭიდრო თანამშრომლობა ახალგაზრდა რეჟისორებთან (რ. სტურუა, თ. ჩხეიძე), შეუმჩნევლად სახავდა კონტურებს იმ გზისკენ, მსახიობის შეხედულებებს მომავალში, პოზიციად რომ გარდაქმნიდა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ამავე პერიოდში, სერგო ზაქარიაძის მოღვაწეობამ (მოსასხამიანი კაცი, დევი, დენ ფორტი, კრეონტი, ბეკინა სამანიშვილი), რომელიც გ. ხარაბაძემ მსახიობის შემოქმედებისადმი ღრმა პატივისცემის გამო მისაბამ მავალითად მიიჩნია.


როგორც აღვნიშნეთ, ახალგაზრდა მსახიობი ცდილობდა არ გამოჩენილიყო თეატრის სივრცის არცერთი საინტერესო მოვლენა და რადგან იმ პერიოდში ინტენსიურად არ იყო დაკავებული, ესწრებოდა რეპეტიციებს, აფიქსირებდა შემოქმედებით პროცესს, ანალიზებდა ნაწახს. მუშაობის დროს როლებმა, რომლებთანაც მოუსდა შეხვედრა, თავად ააცილეს მსგავსების საფრთხეს. ხასიათის განვითარების ლოგიკის ამოხსნა, მოქმედების მოტივირება, ყოველ ეპიზოდში კონკრეტული ამოცანის განსაზღვრა იყო საფუძველი — შეხვედრის, პროფესიული სრულყოფისათვის. თანდათანობით გამოიკეთა კოლორიტული, სახასიათო გმირთა გაცოცხლების უნარი. „უაღრესად ემოციური“ ნახევარტონებში არ უშუშავია დიდხანს.

და მაინც, სიმშვიდის, თავშეკავების, ფარული გაიძვირობის ზღვარზე წარმოიშვა არჩილ სავანელი (ალ. ჩხაიძე „ხიდი“, რეჟ. მ. თუმანიშვილი), ინტელიგენციის წარმომადგენელი, რეს-



სცენა სპექტაკლიდან „ოლივიოს მეფე“. იოსკატა — ზ. კვერციხელი, თიბიპოსი — გ. ხარაბაძე


სცენა სპექტაკლიდან „ივანე მრისხანენ სიკვდილი“. ივანე — გ. ხარაბაძე





სცენა სპექტაკლიდან „გუშინდელინი“. კიბო — გ. ხარაბაძე

სცენა სპექტაკლიდან „სანამ ურემი გადაბრუნდება“. დიტო — გ. ხარაბაძე, ავაბო — ს. ზაქარაიძე



პექტაბელურობის ის ტიპი, დანაშავეთა ახალი კატეგორია რომ წარმოშვა ცხოვრებაში. ვარგაძე კაცობისა და უსინდისობის ის სინთეზი, შროს-მგურეტელობით რომ იწყობს მომავალს და არ შედის კონფლიქტში საზოგადოების იმ წარმომადგენლებთან, რომელთაც ხელმძღვანელობის სადავეები უპყრიათ ხელთ.

სიმათიური, ნიჭიერი, ზრდილი ახალგაზრდა, ისეთი, რომლით გატაცება ნატო ჩოდრიშვილი-სათვის სრულიად ბუნებრივად უნდა ჩაგვეთვალოს, წარმოსდგებოდა არჩილი. მზრუნველი და თბილი, ყურადღებით ისმენდა რას მოითხოვდა მისგან სიმათის მამიებელი ქალი. თანხმობა, დახმარების აღთქმისას, ყოფნებოდა იმ ასპექტში, ინტუიცია რომ შეიგრძნობს საშისშრობებს. მისი კაბინეტიდან გამოსული, სცენას სტოვებდა იმგვარად, რომ მაყურებელს არავითარი ილუზიები არ ექმნებოდა გადაწყვეტილებაზე, შეიძლება თვით არჩილ სავანელისათვის ბოლომდე გაურკვეველზე — არ დაბრუნდებოდა.

გ. ხარაბაძეს მკვეთრი საშუალებებისათვის არ მიუმართავს არჩილის სამხილებლად. იგი ხასიათის გაორებას მიაწინებდა მაყურებელს ზუსტად და დროულად. მსახიობი შეასანიშნავად იცნობდა სავანელის ბუნებას, თვალსაჩინოდ მოქმენდა მისი დახასიათება ჩოდრიშვილთან საუბრის ფონზე. ამ შემთხვევაში, მსახიობის მიზანს ნიჭიერი და მართალი ადამიანის რეპუტაციით დაჯილდოებულითა „მოულოდნელი“ კომპრომისის არსის გახსნა წარმოადგენდა და არა პირადი დამოკიდებულებისა განასახიერებელ გმირთან.

თანამედროვე თემატიკა, მაყურებელთან წამოჭრილი საუბარი სულიერ ფასეულობათა შენარჩუნებაზე, მტკიცებულ ყოფით პრობლემებზე თეატრის, შემოქმედთა მოთხოვნილებად იქცა. იგი გაგრძელდა სპექტაკლით „მოულოდნელი სტუმარი“, უარყოფითობის ახალი ასპექტით წარმომჩენდა კვლავ გ. ხარაბაძე მოგვევლინა.

არჩილ სავანელთან წამოჭრილი თემის განვითარება იყო გაიოზი, მისი კომპრომისთა ჯამი. ერთ სპექტაკლში ინტელიგენტის დანაშაული, მეორეში დანაშაულის ინტელიგენტად წარმოჩენას ნიღბავდა. გაიოზს თავისებური ლოგოკა გააჩნდა. ჯიუტად იყენებდა ამ ლოგიკით მიღებულ კრიტიკიუმებს ყოველი მოვლენის შეფასებაში. ფულის წყალობით ძლიერი და თავხედი, გზასხნილი ამ სიძლიერით, ადამიანთა სუსტ მხარეთა ამოცნობი და სისუსტეთა გამოყენებით მათზე გაბატონების მსურველი, ერთი შეხედვით, თითქოს არ იყო საშიში და მიუღებელი. თქერატული, საქმიანი ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებდა. მას ყოველი საქციელის ახსნა შეეძლო და აშკარად გამოუვალ ვითარებაში „პირნათლად“ დარჩენაც კი.

პიესაში წამოჭრილი პრობლემა გადაჭრილი იყო გიორგის ხასიათის, მისი ოჯახის ცხოვრების

სახეით და დაპირისპირებით მართლაც მოულოდნელ სტუმართან. გარკვეული იქნა დანაშაულის სათავე — ფაქტის დაგვიანებული გაცნობიერება, დამწვებელი შეცდომა — მოულოდნლობას რომ ვუწოდებთ და თავის არიდება კი ჰქვია, ადამიანური სისუსტე — ბუნებრივობით რომ ვაპარტლებთ და შემდეგ სიცოცხლის ფასად გვიჯდება გამოსწორება.

როგორც აღვნიშნეთ, სპექტაკლშივე იქნა გადაჭრილი პრობლემა, გ. ხარაბაძის შემოქმედებაში კი გაიღო ხიდი ერთი მხატვრული სახიდან მეორეთან, იმ გზაზე, პროფესიულ სიღრმეთა წყდომისაკენ რომ მიჰყავდა მსახიობი. თვატრემა ხმა აიმაღლა ურყყოფით მოვლენებზე ჭარბულ მწერლობასთან ერთად. მხატვრულ ხარისხში აქ წარმოდგა პირველად მსახიობის შემოქმედებითი ცხოვრების ერთი ნაწილი, კონკრეტული ბიჭის მრავალფეროვანი და განვითარებადი, პერსპექტიული გააზრებით.

ამ პერიოდისათვის თანდათანობით გამოიკვეთა თანამებობობა, რომელმაც ერთმანეთთან დააკავშირა შემოქმედთა გარკვეული ჯგუფები, ერთნი რ. სტურუას, ხოლო მეორენი თ. ჩხეიძის ხელმძღვანელობით. მუშაობამ, ძიებამ საინტერესო აღმოჩენებისაკენ წარამართა საკუთარი ხელწერისა და გარკვეული პოზიციის ახალგაზრდა რეჟისორები.

გ. ხარაბაძისა და თ. ჩხეიძის შემოქმედებითი თანამებობობა ეროვნული დრამატურგიის განხორციელების საფუძველზე აღმოცენდა. მსახიობი ამ შემთხვევაშივე, უპირველესად, ურყყოფით გამართა როლებზე იქნა მიწვეული (შ. დადიანი — „გუშინდელი“, ჯიბო. თ. ჭილაძე — „მოულოდნელი სტუმარი“, გაიოზი). აქტუალური პრობლემატისადმი ერთგულებამ, თანამედროვეობის წარმოსახვის მხატვრული პოზიციის გარკვეულობამ, განაპირობა შემდეგი არჩევანი — ს. დვორცკის „უცხო კაცის“ განხორციელება (რეჟ. თ. ჩხეიძე). მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული დრამატურგია არ ეღო საფუძვლად სპექტაკლს, მაინც ზუსტად უკასხუხა მოვლენებს საქართველოს ყოველდღიურ ცხოვრებას რომ წარმართავდა.

უკომპრომისო პიროვნება, მოაზროვნე, მიზანდასახული, ნიჭიერი ხელმძღვანელი, უფლებამოსილი ამ თვისებებით, ხელმძღვანელობდეს და წარმართავდეს სხვათა ცხოვრებას, აი, ის გმირი, მაყურებლისათვის მოულოდნელად რომ წარმოსდგა გ. ხარაბაძე.

პარადოქსული ხასიათი სპექტაკლის შესატყვისად გააზრებული, გრაფიკისათვის დამახასიათებელი გამომსახველობითი საშუალებებით იქნა წარმოსახული. სცენური სიცოცხლის კანონზომიერებათა დაცვამ, მსახიობი დაუმორჩილა დრამატურგის მიერ შემთავაზებულ პირობას. სპექტაკლში, პიესის შესატყვისად, მიზნის ერთგულებას, აიამეს ხმარდებოდა ჩემოვინის თიელი ადა-

მიანური შესაძლებლობანი, დარღვევებსა და უკასხისმგებლობას შეგუებული ადამიანების ფსიქიკასთან ბრძოლას.

რთული იყო ჩემოვინ-გ. ხარაბაძის სცენური სიცოცხლე, რამდენადაც პიესიდან გამომდინარე სწორმართვნება და კატეგორიულობა სჭარბობდა ხასიათში; ამავე დროს, მსახიობი იმდენად ძლიერი და დამაჯერებელი იყო ახალგაზრდა ხელმძღვანელის თვისებების წარმოჩენისას, რომ მაყურებელმა ადვილად ამოხსნა ასეთ ინდივიტთან ურთიერთობის საინტერესო და მრავალმხრივი ღირსებები.

გ. ხარაბაძე სცენაზე დამარწმუნებელი, მართალი და ამ სიმატლის ერთგულების ფასის მცოდნე იყო. გმირთან ერთიანობის ისეთ დონეზე, როდესაც პერსონაჟი საზოგადოებრივ მოვლენად გარდაქმნილი აგრძელებს თანამედროვეობაში სიცოცხლეს.

ამიტომ გაიკვლია გზა ხალხისაკენ, აუცილებლობის შეგნებით, გულახდილი კაცის მიმოლოცვა, მოვლენის ხარისხის შესატყვისად მიმართულმა ზუსტი ინტონაციით, მისამართით. მოხდა ბედნიერი შემთხვევა — თვატრემ დროულად უკასხუხა ცხოვრების მიერ დასმულ საკითხებს, მხატვრულმა მოვლენამ, გზა უჩვენა, შესთავაზა მაყურებელს გარკვეული ხასიათის პრობლემათა გადაჭრისათვის.

მრავალათასიანმა მუშათა არმიამ, ფართო საზოგადოებრიობამ, ამ სახესთან შეხვედრით გამოწვეული მღელვარება, სპექტაკლის განხილვებში გამოხატა.

პრესა მრავალი წერილითა და რეცენზიით გამოემართა სპექტაკლს. აღტაცებულ რეცენზიეთა შორის, პირველად თეატრმცოდნე ნ. არველაძის წერილით შეგუსადა გ. ხარაბაძის ეს როლი ანალიტიკურად, იმ მზრუნველი მომთხოვნელობით, როდესაც აღნიშნული იმდენად და განჭვრეტელი ხასიათის სრულყოფის მეტი შესაძლებლობა. ყოველ შემთხვევაში, ანალოზი, მკაცრი კრიტიკურებით წარმოდგენილი მსახიობის აღიარებასა და მისი მომავლის იმდენად ხედვას ნიშნავდა ჭარბულ სცენაზე. სხვა რეცენზენტებთან კი ჩემოვინის შეფასებისას პირველად დაიბნადა გ. ხარაბაძის სცენური მომხიბველობის აღნიშვნის სურვილიც.

დადებით გმირთან შეხვედრა გამარჯვებით დასრულდა. ათი წლის შემდეგ თორის ხასიათთან შედგა გადაახილი, ოცი როლის შემდეგ დამაჯერებელი განაცხადი ოსტატობაზე თემის ახლებური დასაწყისით.

ნუთუ მხოლოდ ახალი თემა იქცა მსახიობის წარმატების მიზეზად, იქნებ მთავარი როლი? მაგრამ დადებითი გმირით დაიწყო მისი შემოქმედება, მოგვიანებით, რთული დატვირთვის მი-

ტარებელი იყო იანგ ზუნი სპექტაკლიდან „სე-  
ჩუაშელი კეთილი ადამიანი“. ჩემოვმა მოიკვა  
ყველა ის მიღწევა, რომელიც ადრე, ცალკეულ  
როლებში იჩნდა თავს. გ. ხარაბაძე ყოველთვის  
ცილილობდა გარკვეული ამოცანით, მიზნით წა-  
რემართა ხასიათი. რამდენადაც უფრო ხშირად,  
ერთი ან ორი სცენით (ზოგჯერ მეტად მნიშვნე-  
ლოვანით სპექტაკლისათვის) იყო შემოფარგულე-  
ლი, მცირე სცენურ დროში გარკვეულ თვისებებს  
ექვემდებარებოდა ის სათქმელი, რომელიც მსა-  
ხიობს მოჰქონდა ამა თუ იმ მსახტრულ სახეში.  
ეპიზოდი დიდი თუ მცირე, კონკრეტული ამო-  
ცანით აიარალებდა. ჩემოვის განსახიერებისას  
მსახტრული სახის სიცოცხლის უწყვეტი სურათი  
უნდა წარმოედგინა. ყოველი ეპიზოდი, გმირის  
ინტენსიური და არაერთხასოვანი პრობლემებით  
აღსავსე სიცოცხლის ნაწილად უნდა ქცეულიყო.  
გ. ხარაბაძემ ბუნებრივად, ემოციურად გადალა-  
ხა ეს სიართულე. გარდა აღნიშნულისა, მსახიობს  
ამ როლში არ ამოუწირავს შესაძლებლობათა  
მიღები არსენალი, გამოვლენი თვისებათა მიღ-  
მა იგრძნობოდა გმირის პერსპექტიული ხედვის  
და წარმოჩენის უნარი.

ახალგაზრდა მსახიობის აღიარება საქართვე-  
ლოს თეატრალური საზოგადოების მიერ, წლის  
საუკეთესოდ განსახიერებული როლისათვის, პრე-  
მიის გადაცემით დადასტურდა.

ამ დღიდან სხვაგვარად შეფასდა მისი შესაძ-  
ლებლობანი. ექსპერიმენტებსა უპირველესად ის-  
ისტორიულ პერსონაჟთა, კლასიკურ სახეთა გან-  
ხორციელებაზე გადაინაცვლეს გარკვეული ინ-  
ტერვალით ურთიერთშორის. ამ პერიოდში შე-  
იქმნა ოქტავიოს კეისრის (შექსპირი „იულიუს  
კეისარი“, რეჟ. მ. თუმანიშვილი), ტარასი ხა-  
ზარაძის (კ. ლორთქიფანიძე „კოლხეთის ცის-  
კარი“, რეჟ. ლ. მირცხულავა), მეფე იოანეს

(ა. ტოლსტოი „მეფე ივანე მირსხანის სიკვდი-  
ლი“, რეჟ. ლ. მირცხულავა) მსახტრული სახეები,  
ცალკეულ სცენებში ტონალური ნიუანსების სწო-  
რი გააზრებით, მთლიანობაში არსებითი სიხ-  
ლის გარეშე.

გარკვეული თვალსაზრისით, საინტერესო იყო  
გ. ხარაბაძის როლი სპექტაკლიდან „სიტუაცია“  
(დრამატურგი ვ. როზოვი, რეჟ. თ. ჩხეიძე).  
კვლევი უკომპრომისო გმირი, ჩვენი თანამედრო-  
ვე, საწარმოო ურთიერთობათა ფონზე მორალურ-  
ეთიკური პრობლემების ანალიზი, მიზეზთა გამო-  
კვლევა — გაუმბედავ, პასიურ ადამიანად რომ  
გარდაქმნის ნიჭიერ ინდივიდს.

გ. ხარაბაძემ — ანტონ კოპალინი მთავარი ფუნ-  
ქციის მატარებელი არ ყოფილა სპექტაკლში.  
ეს ნამუშევარი ყურადღებას იპყრობდა განსხვავ-  
ებული თვისებების წარმოჩენით, მკაცვ ატმოს-  
ფეროში მცხოვრებ გმირს, ადრე განსახიერე-  
ბულ ჩემოვს რომ არ ამგავსებდა. თუმცა სპექ-  
ტაკლის დაწყებისას იბადებოდა ეჭვი, ხომ არ  
მოხდებოდა მსახიობის ექსპლოატაცია, ახლა უკე-  
ვი თანამედროვე, დაღვთი გმირთა გაცაცხლემ-  
ვისას, რომელნიც არა განსახიერებელი საშუა-  
ლებებით, არამედ სცენური ბედიტ იქნებოდნენ  
მსგავსნი მსახიობის ბიოგრაფიაში. ობიექტურო-  
ბისათვის უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გ. ხარა-  
ბაძე ცილილობდა შეენარჩუნებინა უბრალოება  
ახსიათისათვის, მაგრამ თვით პიესა ართულდება  
სპექტაკლში დაეკუმბულ მსახიობთა მისწრაფე-  
ბას დამაჯერებლობისაკენ.

პაუზის შემდეგ, გ. ხარაბაძის შემოქმედებითი  
ღიააზონის ზრდა კვლავ დადასტურდა. რთულ  
ვითარებათა გადაჭრის შედეგად დაიწყო მუშაობა  
თ. ჩხეიძემ სპექტაკლზე „ოიდიპოსი“, რომელიც  
მეტების თეატრ-სტუდიის სცენაზე იქნა წარ-  
მოდგენილი. სიურპრიზად გახშირდა ახალგაზრ-  
და მსახიობის შეხვედრა სოფოკლეს ტრაგედია-  
თან. თავიდანვე თან გაჰყვა ამ ცნობას ზოგში  
უარყოფა, ზოგში დაეჭვება, ზოგში ინტერესი.

სპექტაკლი პირველსაფუძელისაგან განსხვავე-  
ბული აღმოჩნდა უპირველესად ჟანრობრივად.  
ადაპტაციამ შესცვალა წარმოსახული მოვლენე-  
ბის მასშტაბები. საკამათოდ იქცა რეჟისორის  
ანტერპრეტაცია ინტიმურ-ფსიქოლოგიური წი-  
ალვლებით შემოფარგული, რომელიც განსა-  
კუთრებით ფინალურ ეპიზოდში აღმოჩნდა  
მიუღებელი. და მაინც, სპექტაკლის სტილისტუ-  
რი ეკლექტიზმის მიუხედავად, რეჟისორის ღირ-  
სებად უნდა ჩაითვალოს ზ. კვერენჩილაძისა  
და გ. ხარაბაძის სცენური სიცოცხლის რთული,  
ფერადოვანი და ღრმად ემოციური პარტიტუ-  
რა. იშვიათი მოვლენაა, როდესაც ოიდიპოსის  
როლის განსახიერებისას ასაკობრივად პიესაში  
მოცემული პირობაა დაცული.

გ. ხარაბაძე გულისხმიერი პარტნიორია. მით  
უფრო, როდესაც სწამს გვერდით მყოფი ადა-  
მიანის ნიჭის, ღირსების. მოქმედების ისეთი-

სცენა სპექტაკლიდან „უცხო კაცი“  
ჩემოვი — გ. ხარაბაძე



გად წარმართვის ბუნებრივად რომ გამოავლენს მისი გვირის სიცოცხლეს. იგი, მხოლოდ სვენი-სათვის დამასასიათებელი, ცოცხალ ურთიერთობაა, ფსიქოლოგიური სვლების ერთგულია. საკუთარი ამოცანით დატვირთულს არ ღალატობს უნარი სხვისი მოქმედების ფიზიკური ხედვის, რადგან მასთან ურთიერთობაში ძერწავს სასიათს. სწორედ ასე ერთგობის იოკასტეს გამოჩენიდან მისი თიდიბოსი.

კრებრტის განდევნის შემდეგ, გაღიზიანებული თიდიბოსი ცდილობს გაერკვეს მომხმად ფაქტში. ღირსებით და სითბოთი სავსე, სიმშვიდეს იკავს მეუღლესთან ბჭობისა. ავანსცენაზე წამოწოლილი იხსენებს მივლენებს. იოკასტე, მეფის თავთან მუხლომორგაკლი, მის ზეაწვდილ ხელს მსუბუქად ეალერება, ანდობს გულში ჩამარხულ ტკივილს. მეფის აღმოსავლურად აიოლებს თითქოს მოგონებას. თიდიბოსის ხელს ცრემლი ეცემა და თუმცა ისეგ მშვიდად აგრძელებს საუბარს, მაინც გტყობა, რომ ცრემლმა ხელი დაუწვა.

მრავალ აზხში მივლინება სათქმელი, მინიმუმებული მთავარი ამოცანის ფონად. სჩანს, ახალგაზრდა მეფე, რაოდენ კრძალით ეპყრობა მეუღლეს, რომ სახელმწიფოს მართვისას მის აზრსაც იხმენს. ასსუსეს ყოველთვის — დედოფალს შეეზიარა მმართველობაში, რომ მოსულია სხვა კვირიდან, თუმც ხალხის რჩეულია. მოწიწებით აკისმის მეფე ლაიბის სახელი. დედოფალი, გაუცხოებული და დიდებული, მასზე უფროსი, სჩანს, რომ მისთვის სასურველია. გამოცდილებით, სირთულეებით განსხვავებული ორი სიცოცხლე შეერთდა ბედად. ყოველი მათგანი ატარებს ერთგულებას ტკივილისადმი, რაც განუცდია და გულწრფელად სურს არ აქციოს ტანჯვად მეორის დღევანდლობა. ზ. კვერენჩილაძის და გ. ხარაბაძის გმირთა ურთიერთობა ფაქიზად არის წარმორჩენილი, ინარჩუნებს სისუფთავეს, მსახიობთა პოზიცივა ჰუმანურია.

სათეატრო ხელოვნების კანონებზე აღმცენებულმა ურთიერთობაშია ზუსტმა ანალიზმა, იოკასტეს და თიდიბოსის სახეებით ამაღლებულ ადამიანთა ერთ, მთლიან სიცოცხლედ გადაშალა. მსახიობთა დუეტი, არსებითად პირველი შემოქმედებითი შეხვედრა, პროფესიონალიზმის თვალსაჩინო მაკალითი აღმოჩნდა. პარტიციპატა მისწრაფება, ამოუსნათ გმირთა გრძნობათა ბუნება სპექტაკლში ასახული რეალობის შესატყვივად, თანმივრებების სრულყოფილი გამოვლენის ნიმუშად იქცა. იოკასტეს სახე კი მეორადი ფუნქციიდან, ქართულ სცენაზე, პირველად გადაიზარდა გმირის ხარისხში ზ. კვერენჩილაძის გააზრებით.

შეუპოვარი, დაჭტებული თიდიბოსი, დაუნდობელი ტკივილით, მიზანდასახული მისწრაფის ტემპარატებისაკენ და მის კარიბჭესთან უკვრანდ გაზრებას — მასთან ერთად მეორე სიცოც-

ხლეუ დაიღუპა. მხოლოდ დრამატისმიით აღსავსე დიალოგის სწორი წარმართვით ხდება მაყურებელი მოწმე, როგორ ეშვება ანტრესოლიდან გულწასული დედოფალი, წინ გადახრილი და ულონო რაიმეს შეხვედრისა.

გ. ხარაბაძე-თიდიბოსი ჯიუტი, ნებიერი და მძინეწავრა. იმეფათადა აქცენტირებული გმირის სიბრძნე — ურჩხულის დამარტება და ტახტის მოპოვება. ძირითად კონფლიქტში ჩაიერგულს, ეს მოტივი იმდენად აღარ ანტერესებს...

ახალგაზრდა თიდიბოსი ყველა ერთნაირად როლი მიიღო, მაგრამ სპექტაკლის მსგელობის დროს შთამბეჭდავი ზემოქმედებისაკენ თავის დაღწევა უდავოდ განმეღდა.

„განაცხადი ოსტატობაზე“, ასეთი რურბიკით გამოეზიარა პრესა ამ მოვლენას.

შეგინწავთ კიდევ ერთ ნიუანსს. უცნაურია, მაგრამ სწორედ თიდიბოსზე მეზობისას გამოელონდა გ. ხარაბაძის უნარი მხატვრული სახის ლირიული, თბილი ტონებით წარმოსახვისა, რაც თვით მსახიობს, საკუთარი ბუნებისათვის უცხოდ მიარნდა. თუ ჩემოვთან მაყურებელს აკლდა ამ თვისების გაეღვება სასიათის გახსნიას, თიდიბოსში ეს მივინება დაიბადა თავისთავად, ორგანულად.

ერთი წელი გვაშორებს სოფოკლეს ტრაგედიის პრემიერას, რამოდენიმე თეატრალური სუზინი — ჩემოვს. გაიშვიათდა მსახიობთან შეხვედრის შესაძლებლობა, მაგრამ ეს სულაც არ ნიწავს ექსპერიმენტებზე, ძიებაზე უარის თქმას. ამას ადასტურებს ანტონიოსი (შექპირი „ანტონიოს და კლეოპატრა“, დადგმა ს. სუმბათილისა), ტრადიციულ შეხედულებათა გაბედული გადაფასება და რღვევა კლასიკურ სახეთა ინტერპრეტაციისას.

სწორედ ამიტომ, გ. ხარაბაძის ყოველი ნაბიჯი ხელოვნებაში ბრძოლას წაავას. ანალიზის შედეგად აირჩია გზა, რომელიც საკუთარი პოზიციის, ინტერესების წარმოსაჩინად უკეთესად ეხსება. გამოცდილების ზრდა სასარგებლოდ მიარჩია ძლიერი სასიათების, რთული ფსიქოლოგიური სიდრემების ამოხსნიას. ასეთ შემთხვევაში მოპოვებული წარმატება სხვა ხარისხს იტენს და მარცხიც მეტა სარგებლობით განიხილება. შეცდომებისაკენ ჯერ კიდევ არ არის დასლვეული. იგი მუშაობს საკუთარ თავზე, შეჩერება ვერ წარმოუდგენია, რადგან მისთვის ეს შემოქმედებითი სიკვდილი უტოლდება. ნათელი სათქმელი, ზუსტი ინტონაცია საშუალებას აძლევს დახვეწის მეტყველება, მისიანჯოს ქართული პოეზიის კითხვა.

სანტრესო შემოქმედებითი ბიოგრაფიის მქონე მსახიობს, რომელმაც ოცდაათამდე მცირე თუ დიდი როლი განასახერა, თეატრალური ხელოვნების წინააღმდეგობებით აღსავსე დიდა გზა აქვს გასავლელი.





ბოლნისის სიონის აფსიდის გრიანი წარწერა

## ასომთავრულის გეომეტრიული სტრუქტურა\*

თამაზ ჩხენკელი



1

ართული ასომთავრული ანბანის გრაფიკული სტრუქტურის გამოკვლევისა და დადგენისათვის უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება იმის გარკვევას, — აქვს თუ არა ასომთავრულის თვითეულ ასოს და, შესაბამისად, ყველა ასოს ერთობლივ, რაიმე საერთო ეტალონი, ამოსავალი გეომეტრიული თარგი, რომლის ფონზე და რომლის გათვალისწინებითაც შესაძლებელი იქნებოდა ერთმანეთისთვის შეგვეპირისპირებინა ასოებისა და მათი შემადგენელი ნაწილების გრაფიკული ნახაზი.

საკითხის ამგვარად დასმის საშუალებას გვაძლევს, საერთოდ, ასომთავრულ ანუ კაპიტალურ დამწერლობათა გრაფიკის გეომეტრიული ბუნება, კერძოდ კი — ქართული ასომთავრული ანბანის „სიმეტრიისადმი დიდი მიდრეკილება“<sup>1</sup> ამ ასოებისათვის დამახასიათებელი „ელემენტთა“ შესაბამის კანონზომიერება და ნატიფი პროპორციულობა<sup>2</sup> („სიმეტრია წარმოიშობა პროპორციიდან, — გვეუბნება ვიტრუვიუსი, — ხოლო პროპორცია განსხვავებული შემადგენელი ნაწილების მთელთან თანაზომიერებაა“)<sup>3</sup>.

ჯერ კიდევ ამ 50 წლის წინათ აღნიშნა ივ. ჯავახიშვილმა: „ასომთავრული დამწერლობის ასოები ყოველთვის ორ ხაზს შუა არის ხოლმე მოქცეული და მათი სიგრძე (ე. ი. სიმაღლე, თ. ჩ.) მუდამ ერთნაირია“<sup>4</sup>.

ქართული ეპიგრაფიკის შიშველში<sup>5</sup> ძეგლის — ბოლნისის სიონის წარწერების შესახებ ამავე ამბობდა ლ. მუსხელიშვილი: ეს ასოები მოქცეულია „სწორხაზოვნად“

\* საკითხის დასმის წესით

ჩარჩმნი<sup>8</sup> პალეოგრაფი ელ. მაჭავარიანი წერს: „ორხაზოვან ბაღში ჩაწერილი მონუმენტური, მასიური, მშვიდი ასოების თანაბარი რიტმული განლაგება უწყვეტ ორნამენტულ ზოლებად იკითხებაო“.<sup>7</sup>

მაშასადამე, ქართული ასომთავრულის ყველა ასოს ერთნაირი სიმაღლე აქვს, რაც კაპიტალურ ანუ მთავრულ დამწერლობათა დამახასიათებელი ნიშანია საერთოდ. და აქ ბუნებრივად უნდა დასმულიყო კითხვა: როგორიღა მათი სიგანე? არის თუ არა რაიმე გეომეტრიული თანაზომიერება ასოების სიმაღლესა და სიგანეს შორის, და თუ არის, რა ხასიათისა იგი?

1970 წ. გამოქვეყნებული „ქართული ხელნაწერების“ წინასიტყვაობაში ელ. მაჭავარიანი წერს: „ეტრატზე შესრულებული ასომთავრული ასოები ეპიგრაფიკული წარწერების მკაცრ, გამოკვეთილ ასოებთან შედარებით უფრო თავისუფლო მოხაზულობისაა“<sup>8</sup>, და მანც, მიუხედავად ამისა, „ასოთა გრაფიკულ არქიტექტიკაში შემდეგი კანონზომიერება შეინიშნება: ასოთა მოხაზულობა თითქოს ჩაწერილია შხმულამ ჩარჩმში, რომელიც მპლარატს წარმოადგენს“... «Некоторые же буквы вписываются в половину квадрата»<sup>9</sup>.

მაშასადამე, ქართული ასომთავრულისთვის ნიშანდობლივია კვადრატის თარგი, რომელიც განსაზღვრავს ამ ასოების სიმაღლესაც და სიგანესაც. ერთ შემთხვევაში, ასოების სიმაღლე და სიგანე ერთნაირია, მეორე შემთხვევაში, ისინი მხოლოდ ვერტიკალურ ნახევრადკვადრატს იკავებენ და, შესაბამისად, მათი სიგანე ორჯერ ნაკლებია მათსავე სიმაღლეზე.

აქ ყველაფერი ცხადი და ნათელია, და ვიდრე სიტყვას გაავარტყვებდეთ ქართული ასომთავრულისთვის ნიშანდობლივ ამ საეტალოო კვადრატზე. ორიოდ სიტყვა უნდა ვთქვათ, საზოგადოდ, ასომთავრულ ანუ კაპიტალურ დამწერლობაზე.

მე. წ. I და აბ. წ. V საუკუნეებს შორის, რომის იმპერიაში გავრცელებულ მთავრულ წარწერებს ეწოდებოდა *Capitales quadrata seu monumentalis*, ე. ი. კვადრატული მთავრული ანუ მონუმენტური<sup>9</sup>. მთავრული ანუ კაპიტალურის განსაზღვრება როგორც კვადრატულისა პირველად დამოწმებულია პეტრონიუსის (გარს. 66 წ.) „სატირიკონში“<sup>10</sup>. სადაც მოხსენიებულია *quadrata littera* — კვადრატული ასო...


იგი კავახიშვილი წერს: „ტერმინი *litterae capitales* ან *quadratae* შეიძლება იყოს პირველად ლათინურ პალეოგრაფიაში, შემდეგ სხვა ერთა დამწერლობათა-მყოფლობაზე შეითვისეს, მაგ. ბერძნულში... ქართულად ამგვარი დამწერლობის აღსანიშნავად და შესატყვის ტერმინად „სწომპარული“ იხმარებოდა“<sup>10</sup>.

კლასიკური ხანის ლათინურ დამწერლობას კვადრატული ეწოდებოდა იმის გამო, რომ მისი ასოები მპლარატში გამოიყვანებოდა. ეს იყო სადა- მკაცრი და დიდებული, გეომეტრიული პროპორციულობით აღბეჭდილი დამწერლობა, რომელიც მოეყვანებოთ, ქრისტიანული ევროპის ახალმა ერებმა შეითვისეს...


„თითოეული ლათინური ასოსთვის გააკეთე წესიერი კვადრატი, რომელშიც ის იხაზება“, — ასეთ რჩევას აძლევს ალბერტ დიურერი იმათ, ვისაც წარწერები გამოჰყავთ „ქვის მალაქ კედლებზე“<sup>11</sup>. დიურერი ოსტატებს სთავაზობს ვერტიკალური (A-B) და პორიზონტალური (C-D) მედიანებით ოთხ ტოლ ნაწილად გაყოფილ კვადრატს, რაშიც იგი სანიშნოდ ხაზავს ბერძნულ-ლათინურ A-ს (იხ სურ. 1).

რატომ უნდა ჩაიხაზოს ასო კვადრატში? იმიტომ, რომ ის „სწორად“<sup>12</sup> იყოს გამოყვანილი, — გვეუბნება დიურერი. მაგრამ რას ნიშნავს ასეთ შემთხვევაში ასოს კვადრატში ჩახაზვა, ანუ ასოს სწორად გამოყვანა? როგორც ჩანს იმას, რომ თითოეული ლათინური ასოს მოხაზულობა, ყველა შემადგენელი ელემენტითურთ კვადრატში გეომეტრიულ პანორმას შესაბამისად უნდა ჩაიხაზოს, ე. ი. უნდა ჩაიხაზოს ფარგლითა და სახაზავით!

შეგვძლით ამ თვალსაზრისით ლათინური ანბანის პირველ ასოს. ამ ასოს გეომეტრიული ნახაზი წარმოადგენს სამკუთხედის ფერდებს, რომლებიც კვადრატის ზედა კათეტისა და ვერტიკალური მედიანას გადაკვეთის წერტილიდან (A) ორმხრივი სიმეტრიით ემუდბა კვადრატის ქვემო კუთხეებისაკენ. თითოეული ეს ფერდი წარმოადგენს ვერტიკალურად გაჭრილ კვადრატს, ე. ი. ორი ვერტიკალური ნახევრადკვადრატის დიაგონალებს. ეს უკანასკნელი ორ-ორ ტოლ ნაწილად მყოფენ ნახევარკვადრატებში გამავალ პორიზონტალურ მედიანას (C-D), რის გამოც დიაგონალურ ფერდებს შუა მოქცეული მედიანას ნაწილი (E-F) და ფერდებს გარეთ დარჩენილი ნა-



სურ. 1




სურ 1ბ

წილების (C-E და I'-D), ჯამი ერთმანეთის ტოლია. ასე რომ A-ს ფერდების დამაკვირვებელი ხაზი მედიანას ნახევარია. აღსანიშნავია, რომ A-ს ვერტიკალური ფერდები ქმნის ლათინური „მის“ სტრუქტურას, რაც ინგრედიენტის სახით შედის „მისი“ კონფიგურაციაში (იხ. სურ. 1ა).

ამრიგად, ბერძნულ-ლათინური აღფაბეცების პირველივე ასო ამქვანებს პროპორციას და სიმეტრიის გეომეტრიულ პრინციპს. იგი იმდენადვე ასო, რამდენადვე პირწმინდად ბერძნულში ფიგურაა.

რას წარმოადგენს ლათინური „ოი“ და „ლი“ (და ამდენად, ბერძნულიც, რადგან ეს ასოები, თუმცა არა მარტო ესენი, ორივე ამ ანბანში ერთნაირი ფონეტიკური მნი-



სურ. 2

შესწლობისა და მოხაზულობისა არიან)?


„ოი“ და „ლი“ ბერძნულ-ლათინური კლასიკური ანბანების ფუნდამენტური ასოები (სურ. 2), „ოი“ — უმარტივესი ასოა ანბანისა. იგი კვადრატის ორ ტოლ ნაწილად გამოყოფ მედიანას (A-B) წარმოადგენს, რომელიც სხვა სწორხაზოვანი და არა მარტო სწორხაზოვანი გრაფემების უძირითადესი ინგრედიენტია (მაგ. ბერძნულია და ქართულში). ხოლო „ლი“ — კვადრატში ჩახაზული „სრულყოფილი წერტილი“ (1529 წ. გამოცემულ წიგნში „აკვაილებული მდელი“, ჟოფრუა ტორის უწერია: განაყოფიერების ოთგვართა განხასიახიერებელი ამ ორი ასოსაგან, რომელთაც ჭალღმერთი იმ მღვრველითა, წარმოიშვა ახბახის ყველა დანარჩენი ასო).<sup>13</sup>

უაღრესად საყურადღებოა ლათინური ანბანის „ღმს“ და „შს“ კონფიგურაცია. (სურ. 3). მკვაფის მოხაზულობის ასოები არ გააჩნია ბერძნულს. „ღმს“ და „შს“ ნახევარწრიული გრაფემებია, — ორივე გრაფემაში მონაწილეობს სრულკვადრატოვანი ხახვიარწრე, პირველში — ვერტიკალურად დაყენებული შარჯვენა ნახევარწრე (A-B), ხოლო მეორეში — ჰორიზონტალურად დაყენებული ქვემო ნახევარწრე (C-D).


ამ ორ გრაფემას, ამავე დროს, გეშტალტურად აერთიანებს „შს“ კამაროვანი თანდალა-ვერტიკალური ფიგურა, რომელიც „ღმს“ სტრუქტურაში ჰორიზონტალურია ე. ი. 90°-ით მარცხნივ მიორუნებულია და კვადრატის მარცხენა კაუტით არის დასრულებული.

მე-2 წყვილულში ლათინური გრაფემა „მის“ (იგივე ბერძნული „მისი“) უაღრესი თვალსაჩინოებით წარმოსახავს კვადრატში ჩახაზულ დიაგონალს. რა აკვირვებებს მას ლათინურ „მისთანა“? ის, რომ „მის“ წრიული კიდურები სწორედ ამ ნაკულისხმევე, თუმცა უჩინარ დიაგონალზეა დასვენებული. ამდენად, „მის“ კვადრატში ჩახაზული წრეხაზის 3/4-ს წარმოადგენს, რაკი დიაგონალები ოთხ ტოლფერდა სამკუთხედად მყოფს კვადრატს.

კვადრატში მარცხენა ზემო კუთხიდან ჩამოხაზული დიაგონალის ქვემო ნახევარს (1/2) მოიცავს „მისი“ ირიბხაზოვანი ელემენტი, და ამავე დიაგონალის მეოთხედს



სურ. 3





(1/4) „მს“ წრეხაზის გადაკვეთი ირიბახაზიანი კუდი (მე-3 წყვილული);  
 „მლს“ კონფიგურაცია ორი დაწერილობით წარმოვადგინეთ, ვინაიდან მუცხველი  
 ბელა ზუსტად განისაზღვროს კვადრატში მისი ღერძის მდებარეობა, რომელიც შევ-  
 ვიძლია დავხაზოთ, როგორც მარცხენა კათეტი (მაშინ მისი „ფუხი“ კვადრატის ქვედა  
 კათეტი იქნება) და როგორც მდინაა (მაშინ მისი „ფუხი“ ნახევარკათეტის ტოლი  
 იქნება). ამ აზრით, „მლ“ გრაფიკა მოძრავია; საეტალონო კვადრატის მიხედვით, მას  
 ორგვარი მოხაზულობა გააჩნია.

და ბოლოს, განვიხილოთ „მპ“ — „ამ“ — „მრ“-ის გრაფიკა (პირველი ორი ლა-  
 თინური ასოს კონფიგურაცია იგივეა, რაც ბერძნული „მძტა“ და „რძი“). აქ, უპირვე-  
 ლეს ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ, რომ მათი მქონისამკვლავლად მქონისამკვლავლად  
 იწოდება ოთხჯერ შემცირებული მასშტაბით „მლს“ კონფიგურაციას. მაგამი თუ ვერ-  
 ტკალურ მდინაას გამოყოფთ გრაფემების მთლიანი მოხაზულობიდან, როგორც  
 მასშტაბის სიმპტომის მრავალ შტაბის მშრის, მაშინ შემოსაწვრივი მეთოდ-  
 კვადრატული ელემენტები 90°-ით მარცხნივ შებრუნებული კამაროვანი „მ“-ს სახით  
 გამოიყოფა (იხ. სურ. 4)....

ამრიგად, ლათინური ანბანის გრაფიკაში ვაქვს შემთხვევა, როცა მეოთხედკვად-  
 რატული მოდიფიკაციით გამოირეული სრულკვადრატოვანი გრაფემა, თავისი საწყისი  
 მდებარეობით ან სხვა მდებარეობით, ელემენტის სახით შედის სხვა გრაფემების კონ-  
 ფიგურაციაში. ეს განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია.

საინფორმაციო მოყვანილი ლათინური გრაფემები, როგორც ვნახეთ, გეომეტრიულ  
 კანონთა შესაბამისად იხაზება კვადრატში და ამ აზრით, გარკვეულ გეომეტრიულ ფი-  
 გურებს წარმოადგენენ. კვადრატის თარგი მათთვის არამცთუ უჩვეულის არაფერის  
 შეიცავს, როგორც უძველესი ტრადიციით ნაკარნახევი დიურერის შემოთმთყვანის  
 რჩევის მაგალითიდანაც ჩანს, არამედ იგი თავად ამ ანბანის სახელწოდების  
 Capiteles quadrata-ს საფუძველს წარმოადგენს.


\*\*\*

კვადრატს, როგორც ასოთა გრაფიკული სისტემისათვის ამოსავალი მქონებრ-  
 ლნი მტლწინს, ასევე და უწინარეს ყოვლისა, დამახასიათებელია ბერძნული ალფაბეტი-  
 სათვის (უკვე ის გარეშობა, რომ კლასიკური ხანის ლათინურ და ბერძნულ ანბანებს  
 სურათით მოხაზულობას ათზე მეტი ასო გააჩნიათ, ცხადყოფს ამას). გარდტაჟუნის  
 აზრით, როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს, „უფრო უწყიალია ზედმეტი ბერძნული  
 პალეოგრაფიისათვის ვიდრე პირველი ტერმინი“<sup>14</sup> ე. ი. ვიდრე „კაპიტალური“ ანუ  
 „კვადრატული“. გარდტაჟუნისევე აზრით, გამომგვემს კვადრატოვანი თვის რეცენ-  
 ზაში, თვით პერვანტეჟ ნაწიერი ასოც კი... «приближается к энциклопедиче-  
 скому. Буквы не выходят из границ квадрата или круга»<sup>15</sup>.

ბერძნული კლასიკური ანბანის ასოთა კვადრატულობის დამამკვიცებელი არგუ-  
 მენტი უკვე არისტოტელესთან გვხვდება. „მეტაფიზიკის“ პირველ წიგნში, მეოთხე  
 თავის ბოლოს ნათქვამია: „ლევკიჟე და დემოკრიტე გემეტრიკებენ, რომ ატომების  
 განსხვავება მიზეზი ყველაფრისა. ხოლო ეს განსხვავება მათი ჩვენებით სანია: მოხა-  
 ზულობა, რიგი და მდებარეობა. რადგან არსებული, ამომენ ისინი, განსხვავდება მხო-  
 ლოდ „დანაკობით“, „განლაგებით“ და „ბრუნებით“. ამოთან „დანაკობა“ — მოხაზუ-  
 ლობია, „განლაგება“ — რიგი, „ბრუნება“ — მდებარეობა. სახელდობრ: A განსხვავდ-  
 ბა N-ისაგან მოხაზულობით, A N განსხვავდება NA-ისაგან რიგით, ხოლო Z  
 განსხვავდება N-ისაგან მდებარეობით“<sup>16</sup> (ურთადება მიჯაჭვით: 24 ასოსაგან  
 შემდგარი კლასიკური ბერძნული ანბანის ორ-ორი თორმეტეულის, ან პირველი და  
 მესამე ექვსეულის მეოთხური ასოებია A და N).

აქ უნდა მოვიშველიოთ ა. ფ. ლოსევის განმარტება: „ატომები დემოკრიტესთან  
 მიაზრებულია, როგორც ასოები“... „იგი ატომებს იაზრებს, როგორც სს/სსანრი ხატის  
 მქონე პატარა შიშვინებს... მეტიც, ანტიკურობაში ჩვენ თითქმის ყოველ ნაიხვევ ვაწ-  
 ყდებით სს/სსმ ნსბასმად გაგებულ ელემენტებს (ხაზი ავტორისაა). თავად სახელი  
 „ელემენტი“ — „სტიოხეინი“ — ნიშნავს ასოს“... „ამრიგად, ატომის არსება არისტო-  
 ტელეს აზრით, სხვა არაფერია, თუ არ გეომეტრიული სხეული, ან გეომეტრიული ფიგურ-  
 რა“...<sup>17</sup> და მაშასადამე ასოც გეომეტრიულ ფიგურას წარმოადგენს.

არისტოტელეს შემოთმთყვანელი ციტატაში ლაპარაკია „ატომის რიცხვული  
 სტრუქტურის“ სამ მდგომარეობაზე, რომელთაგან ამჯერად პირველი და მესამე გვანინ-  
 ტერესებს: A და N ერთმანეთისაგან განსხვავდებიან აღნაკობით, ე. ი. გეომეტრიული



სურ. 4

სურ. 5




სტრუქტურით, რაც აშკარად, ხოლო Z და N განსხვავებებიან ბრუნვით ანუ მდებარეობით...

მართლაც, საკმარისია მარცხნით (ან მარჯვნივ, სულერთია) 90°-ით მოვაბრუნოთ „მბს“, რომ იგი იქვევა გრაფემად „ნაშ“, და პირიქით, მოვაბრუნოთ „ნაშ“ და მივიღებთ გრაფემა „მბსს“ (იხ. სურ. 5). ასე რომ, მათი გრაფიკულ-გეომეტრიული ნახაზი იდენტურია. მათ მხოლოდ კმარატში მდებარეობა განასხვავებს ერთმანეთისაგან (ჩვენ შენდევ საგანგებოდ ვილაპარაკებთ ბრუნვითი სიმეტრიით დაკავშირებულ ასეთა კონფიგურაციებზე).

პირწმინდა გეომეტრიულ ფიგურებს წარმოადგენენ სხვა გრაფემებიც: დააკვირდეთ ამ ასოებს: „ღმლტა“ კვადრატში ჩახაზული ტოლფერდა (და არა ტოლფერდა) სამკუთხედა. მისი ფერდები ზემო კათეტის შუა წერტილიდან ორზონტივ სიმეტრით განივად ეშვება და ქვემო კათეტს ეყრდნობა. „ღმლტას“ ფერდები ვერტიკალურ ნახევარკვადრატებში ჩახაზული დიაგონალებია, რომლებიც „ალშსს“ და „ლამშსს“ სტრუქტურის კორპუსებს წარმოადგენს (სურ. 6).

„პი“ — ტოლფერდა მართკუთხედის, ე. ი. კვადრატის განმასახიერებელი გრაფემაა. მას მხოლოდ ქვედა კათეტის საზი აკლია, რომ სრული კვადრატი იყოს. „ტაშ“ — კვადრატის ზედა კათეტისა და ვერტიკალური მედიანის ნახაზისაგან შედგება, რომელთა ტოლობა ცხადია.

სურ. 6




„ში“ — სხვა არაფერია, თუ არა დიამეტრით შუაგაყოფილი წრესაზი. ამავე დროს, შევვიღოთ ვიგულისხმით, რომ „შის“ კონფიგურაციაში გაერთიანებულია ბერძნული ალფაბეტის ორი ძირითადი გრაფემა — „ო“ და „ი“.

კვადრატა და ნახევარკვადრატშია ჩახაზული ბერძნული კლასიკური ანბანის ყველა გრაფემა უკლებლივ, და ჩახაზულია გეომეტრიულ კანონთა შესაბამისად. მოფიყვანოთ კიდევ რამდენიმე ნიმუში (იხ. სურ. 7)...

„ალშსს“ ფერდები, როგორც ზემოთაც ითქვა, „ღმლტას“ და „ლამშსს“ ასეთივე ფერდების იდენტურია. „ალშსს“ კონფიგურაციაში ამ ფერდებს აერთიანებს პორიზონტალური მედიანის შუა ნაწილი, რომელიც მედიანასა და მახასადავ, კათეტის ნახევარია.

რა აქვთ საერთო პირველ სვეტში გაერთიანებულ გრაფემებს: „ალშსს“, „მისს“ და „მბსს“? პორიზონტალური მედიანის ის შუა ნაწილი, რომელიც „ალშსს“ სტრუქტურაში ფერდების დამაკავშირებელია. „მბსს“ წრიულ გრაფემასთან დაკავ-

სურ. 7



შირებით შეიძლება ითქვას, რომ ეს ნაწილი, რაკი ის დიამეტრის ნახევარია, ფრადეა სის ტლია. ამრიგად, თუ „ფი“ — წრესის დამმტრის თანაზომიერებს ჰაინაზოფოფს, „მმბა“ — წრესის რადიუსის თანაზომიერებას გვიცხადებს.

მეორე და მესამე სვეტში გაერთიანებულ გრაფემებს ერთმანეთისადაც სწორხაზო-მნება და ირმბსწონმნება განასხვავებს. ეს უკანასკნელი გულისხმობს მეოთხეკვადრატულ დიაგონალებს, რაც სავსებით აშკარაა და დამტკიცებას არ საჭიროებს. აქვე უნდა შევნიშოთ, რომ „სიმბსა“ (შუა გრაფემა) მარჩბიდიაციონალური ელემენტი, რომელიც განსხვავებული მდებარეობით მფორდება „პპპსა“ და „მფნიმწონსა“ კონფიგურაციოში, მეოთხეკვადრატული დიაგონალების მეშვეობით ჩახაზული იმ ორჯერ მცირე კვადრატის მარჯვენა ნახევარია, რომელზეც სორატულ მსჯელობა პლატონის „მეონ-მეი“<sup>18</sup> თუ მვენ ამ სორატისკულ კვადრატში, რომელშიც მასზე ორჯერ მცირე კვადრატის გამოიყენება, სრულკვადრატოვან დიაგონალებს გავავლებთ, მივიღებთ ბერძნული კლასიკური ანბანის ყველა სწორხაზოვანი ასოსა და სრულ და მეოთხეკვადრატული დიაგონალებით კონსტრუირებული ასოების ინსარი.ნტალ სმმსს, ინვარიანტულ ცხურს, რომლის გეომეტრიული წიადიდანაც იხადებიან განსხვავებული ვარიაციები ად-ზექდილი, მაგრამ გრაფიკულად ერთმანეთის მონათესავე სწორხაზოვან და ირბისხოვან ასოთა კონფიგურაციები (იხ. სურ. 8).



სურ. 8

სავანგებოდ უნდა აღინიშნოს ერთი ვარემოებაც: „ალშსს“ სტრუქტურაში პორი-ზონტალური მდინაით გამოყოფილი მცირე სამკუთხედი მეოთხეკვადრატული მოდიფიკაციით იმპორებს „დშტსსა“ და მისი შემადგენელი „ლამბსსა“ კონფიგურაციას. ამში თვალსაზრის დავწმუნდებით, თუ კვადრატში ერთად ჩავხაზავთ „ალშსს“ კონფიგურაციის საწყის და ვერტიკალური ინვარიანტი თავდაყირა დაყვერბულ ფიგურებს (იხ. სურ. 9). ამ ნახაზში ცხადად იკვეთება „დშტსსა“ (და ამიტომ მისი შემადგენელი „ლამბსა“) ოთხი მეოთხეკვადრატული მოდიფიკაცია. მასასადაც, აქაც ისევე, როგორც ლათინურ ანბანში, მეოთხეკვადრატული მოდიფიკაციით გამოირბული სრულკვადრატოვანი გრაფემა ელემენტის სახით შედის სხვა გრაფემის კონფიგურაციოში. ამავე დროს, ეს ნახაზი რამდენიმე ბერძნული გრაფემის ინვარიანტულ ცხურს წარმოადგენს.


\*\*\*

ასეთია, ერთი თვალის გადავლებით, კლასიკური ბერძნულ-ლათინური ანბანების გეომეტრიული სტრუქტურა, და ამაში არაფერია უჩვეულო. ანტიკური ესთეტიკა თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია ამ ბმომბტრისმში, რომელიც ერთნაირი სიმბაფრით მფლავნდება როგორც ბერძნულ არტიქტურაში, ქანდაკებასა და ფერწერაში, ასევე ასოთა კონფიგურაციოში. „პრაპმმბტრი ნშ მმმბა პა“ — ეწერა პლატონის აკადემიის კარიბჭეზე. და ეს ფორმულა ტოტალურად კორიკავა ბერძნული ხელოვნებისა და აზროვნების ყველა სფეროს.<sup>19</sup> ბერძნული გენიის დამასაზრებაა არა მარტო ვოკალიზაცია ანბანისა და ამდნად, მისთვის პირწმინდად ანბანური სახის მინიჭება, არამედ ანბანისათვის ბმომბტრისში სტრუქტურის მინიჭებაც, რითაც ბერძნებმა ფეულ მსოფლიოში სრულიად უნიკალური — მონუმენტური ტიპის დამწერლობა შექმნეს ასოტიკური თვალსაზრისით ბერძნულ კლასიკურ ანბანს არაფერი საერთო აღარა ექვს თავის გენეტიკურ პირველსახესთან — ფინიკურ ანბანთან...

ასოთა გეომეტრიული სტრუქტურა. მათი კვადრატში გამოყენა თანაზრად დამახასიათებელია კლასიკური ბერძნული და ლათინური ანბანებისათვის. აღინიშნავია, რომ ჯერ კიდევ ძვ. წ. III-II ს-ში, ებრავლებმა ასოთა სიგრძე-სიგანის დასახლფრავად გამოიყენეს ეს კვადრატული თარიგი. რის გამოც მათ ანბანს „მმბაში კმპტრ-ტლი“ დაერქვა.<sup>20</sup> მაგრამ ბერძნულ-ლათინური ანბანებისაგან განსხვავებით ებრავული კვადრატული დამწერლობის ასოთა კონფიგურაციას არ გააჩნია გეომეტრიული სტრუქტურა.

ასომთავრული (კაპიტალური) დამწერლობა, არსებითად, ნიშნავს ასოთა აღნაგობის ბმომბტრისში ბუნებას, იმას რომ ეს ასოები გეომეტრიულ კანონთა შესაბამისად, და ამიტომ გარკვეული გეომეტრიული კონფიგურაციის მქონე ერთეულებად იხაზება სეტალონო კვადრატში.

მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, თითქმის რეალურად არსებულ წარწერებში ასოები ინვარიანტული ზედმიწევილობით (სტემატური სიზუსტით) ავლენდნენ თავიანთ გეომეტრიულ პირველსახეს. მონუმენტური წარწერების მშმმბტრისმბა რბმში, როგორც მოსალდნელი იყო, სრულკვადრატოვან ასოებს რამდენადმე დამწერლობის, ხოლო




სურ. 9



ნახევარკვადრატულებს ზაზურათომბის ტანდემში აქვთ, თუმცა ისინი თვით უკვე არსებობენ შემთხვევებში არ კარგვენ თავიანთი გეომეტრიული სტრუქტურის პირველადსახეს. მათში ყოველთვის გამოიყენება არამბინის ბანდსაზურმელი ინტრისი.

2



სურ. 10

ქართული ასომთავრული დამწერლობა ბერძნული და ლათინური კაპიტალური დამწერლობის ანალოგიურად, ასოთა ამოსავალ გეომეტრიულ თარვად, — როგორც პალეოგრაფი ელ. მაჭავარიანი აღნიშნავს, — კვადრატს იყენებს, რის გამოც მოულოდნელი არ უნდა იყოს ისიც, თუ შემოსხმებული ანბანების ასოთა კონფიგურაციასა და მათი ელემენტების ურთიერთკომბინირებაში სპირტო ბანდსაზურმეობას შევნიშნავთ. გავანალიზოთ ამ საეტიკლონო კვადრატის შემთხვევაში ქართული ასომთავრულის გრაფიკები და ვნახოთ, ერთის მხრივ, რამდენად მართებულია ეს დაკვირვება, ხოლო მეორეს მხრივ, რა შესაძლებლობებს გვაძლევს იგი ასოებისა და მათი შემადგენელი ნაწილების შეპირისპირებისათვის.

უკვე დიურერის მიერ შემოთავაზებული ვერტიკალურ-ჰორიზონტალური მედიანებით: გადაკვეთილი კვადრატია, თუ მას შემოვაცლით ამ კვადრატის კარკასს, გვიცხადებს ქართული ასომთავრულის „მანსა“, — ტოლმკავება ჯვარს, რომლის უმარტრევი და უშეგნიერება კონფიგურაცია არცერთ მონუმენტურ (კაპიტალურ) ანბანში არ არის დადსტრუქტურული.


მედიანებით გადაკვეთილ ამ კვადრატში, ანუ ოთხ ტოლ მეოთხედკვადრატად გაყოფილი კვადრატის ცხაურში უმტკივნეულოდ იხაზება ქართული ასომთავრული სწორხაზოვანი გრაფიკები (სურ. 10). რაა საერთო მათთვის? ვერტიკალური ღერძი და მასთან შერწყმული მეოთხედკვადრატული ელემენტები, რომლებიც „სიმადლოთ ამ ღერძის ნახევარია“. <sup>21</sup> ეს მეოთხედკვადრატული ელემენტები მეოთხედი კვადრატის კათეტბს წარმოადგენენ და გეომეტრიული ოდენობით ამიტომ არიან ღერძის სიმაღლის ნახევარი.

ჩვენ განვხვდებით დაგალავთ ეს გრაფიკები ისეთი თანმიმდევრობით, რომ გამოჩინილიყოს ბიშპიტრისულ მემბრანტა მატბმის ბრალსაცხი: „ინი“ შედგება ღერძისა და ერთი მეოთხედკვადრატული კათეტისაგან, „ნი“ — ორი, „ბანი“ სამი და „მინი“ ოთხი მეოთხედკვადრატული კათეტისაგან, რომლებიც ღერძს ორსავე მხარეს ემატებიან. თანისთავად ეს გრადცია ამ ასოების გეომეტრიული გაანარჩების მაუწყებელია. წმინდა გეომეტრიული თვალსაზრისით, მსალოდნელი იყო „მინის“ ასეთი (იხ. სურ. 11) კონფიგურაცია. და ჩვენ შემდეგ ვილაპარაკებთ იმაზე, თუ რატომ არ დაიხაზა „მინის“ ამგვარად. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ანბანში რიგით მე-9 ადგილზე შედარნი „მინის“ კონფიგურაცია ნ მეოთხედკვადრატული კათეტისაგან შედგება.

„ხნის“ კონფიგურაცია შუაზე ვერტიკალურად გაჭრილ სვასტიკას წარმოადგენს. საკმარისია მარცხნივ 180°-ით შეგატრიალოთ „ხნის“ კონფიგურაცია, რომ მივიღებთ სვასტიკის მეორე ნახევარს (სურ. 12) აღსანიშნავია, რომ „ბან-მნ-მინ“-ისათვის ნიმანდობლივი ბერძნული მეოთხედკვადრატული „მის“ ანალოგიური ელემენტი, რაც „ლასისა“ და „პასმისის“ საერთოა, „ხნის“ სტრუქტურაშიც ცნაურდება, ოღონდ სხვა მედიანებით.

\*\*\*

წიულ ასოებს შორის, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ასომთავრულის მე-9 გრაფიკა „მანსა“ (სურ. 13), რომლის უკველი გეომეტრიული მოხაზულობა ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილმა შენიშნა: „ქართული ასომთავრული „მანსა“ ასწვრივ ორად გაჭრილი წრის მარცხნითს ნახევარს წარმოადგენს, რომელსაც მარჯვნიდან შუაში პატარა მარჯვნივთვე წარზიდული ხაზი აჭკს“. <sup>22</sup> აქ რომ „მანსის“ გრაფიკაში აპკარად საჩინოდება დიამეტრით შუაგაყოფილი წრეხაზის მარცხენა ნახევარი, რომელსაც პორიზონტალურად მიმართული რადიუსი ამთავრებს. რაღმისი, რადგან თუ „მანსის“ კორპუსის რკალი ნახევარწრეა, მისი ღერძი აუცილებლად დიამეტრის იქნება, ხოლო „წარზიდულმა ხაზმა“ იმის გამო, რომ „შუიდან“ გამოდის, სრული წრეხაზის მეორე ნახევრის რკალს უნდა უწიოს. ივ. ჯავახიშვილს ასეც აჭკს ნახაზში წარმოდგენილი „მანსის“ კონფიგურაცია. „მანსის“ ის ასო, რომელიც თვალსაჩინოდ გვიცხადებს წრეხაზის, მისი დიამეტრისა და რადიუსის მოხაზულობასა და ურთიერთანახაზობების (გაჯახებით ბერძნული „მი“ და „მმბა“, რომელთა კონფიგურაციაში, პირველთა — წრეხაზისა და დიამეტრის, ხოლო მეორესთან — წრეხაზისა და რადიუსის თანახმიერება ცნაურდება).




სურ. 11




სურ. 12





სურ. 13



სურ. 14



სურ. 15




სურ. 16

როგორ ჩაისახება კვადრატში ასომთავრულის პირველი გრაფემა — „ანი“? „ანი“ თავსარქმული — კვადრატის სრული ზედა კათეტი, მისი რვა კვადრატული კათეტი ამთავრებს. ასეა ეს ასო დაწერილი უძველეს ეპიგრაფიკულ ძეგლებში. აქ, ისევე როგორც „მანი“ შემთხვევაში, რამე იჭვი გამოირიხებულია (სურ. 14). აღსანიშნავია, რომ „ანი“ და „მანი“ გეომეტრიული ელემენტების ოდენობა იდენტურია: „ანი“ ნახევარწრე უდრის „მანი“სას, „ანი“ თავსარქმული კათეტი გეომეტრიული ოდენობით „მანი“ დიამეტრის ანუ ვერტიკალური ღერძას ტოლია, ხოლო „ანი“ ნახევარწრის დამამთავრებელი მეოთხედკვადრატული კათეტი უდრის „მანი“ს რადიუსს, რომელიც იგივე მეოთხედკვადრატული კათეტი (სხვათა შორის, ანაწიში პირველ და მეცხრე ადგილზე მსხდარი ამ ორი ასოს დაკავშირებით, რაც მათი რიგითი რიცხვების შეჯამებისას 10-ს მოგვცემს, ვიდრე ქართულ სიტყვას — „აი“). გეომეტრიულად ასე წაიკითხება „ანი“ სტრუქტურა, მაგრამ ზემოაღნიშნულ მისი ხატი წაიკითხება „ლანი“ს და „პარნი“ს ანალოგიურ კამაროვან ფორმად, რომელთაგან მას მხოლოდ მდებარეობა განასხვავებს (სურ. 15). „ლანი“ს და „პარნი“ს (ამ უკანასკნელის კვადრატთან გასული შვერილის გარეშე) ურთიერთსიმეტრიული, სრულკვადრატოვანი ასოებია, მიუხედავად იმისა, რომ მათი რეალურად არსებული კონფიგურაცია ეპიგრაფიკულ წარწერებში, როგორც მოსალოდნელი იყო, კვადრატის სქემაზე რამდენადმე ვიწროა. მაშ, რამე იტყვიან მათ სრულკვადრატოვნებას? ის, რომ ზემოაღნიშნულ მათი სხვანაირად დაწერა შეუძლებელია, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, „ლანი“ს კონფიგურაცია ვერტიკალურ ნახევარკვადრატში უნდა ჩაიწეროს, რაც გამოირიხებულია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამგვარი კონფიგურაციის ასოები ქართული ასომთავრული ანბანის გრაფიკული სისტემის თვალსაზრისით უკანონო და გაუმართლებელია.

აღსანიშნავია, რომ აქაც, „ანი“ს და „პარნი“ს კონფიგურაციების გეომეტრიული ოდენობა იდენტურია: კამაროვანი კორპუსი პლუს მეოთხედკვადრატული კათეტი (თუ რატომ არის „პარნი“ს მეოთხედკვადრატული ელემენტი საეტალონო კვადრატის გარეთ, ამაზე შემდეგ, საგანგებოდ ვილაპარაკებთ).

„პარნი“ს დაკავშირებით უნდა ვახსენოთ „პარნი“ს, რომლის კვადრატის ზემო ნახევარში დამხული პორციონტალური თაღია ნახევარწრე ღერძის ქვემო ნახევარზე დაყრდნობილი (სურ. 16).

ვევს დია ნახევარწრე, ოდონდ 180°-ით მობრუნებული და ქვემო ნახევარკვადრატში მოთავსებული, უნდა იყოს ბოლნისის სარკმლის ჯგირანი წარწერის „ნარ“-ების შემადგენელი ელემენტი. საქმე ისაა, რომ ეს „ნარ“-ები ნახევარკვადრატულ სქემაზე აშკარად განიერი, მაგრამ სრულკვადრატოვან სქემაზე ოდნავ ვიწროა, ასე რომ სრული უფლებით შეგვიძლია დავწერთ იგი სრულკვადრატოვან კონფიგურაციად და მაშინ „ნარნი“ს ნახევარწრე გეომეტრიულად „პარნი“ს ნახევარწრის ანალოგიურად იქნება. ე. ი. სრულკვადრატოვანი ნახევარწრე იქნება, ისეთი, როგორც, საერთოდ, ახასიათებთ სრულკვადრატოვან წრიულ ასოებს — „ანი“ს და „მანი“ს. ეს არც უნდა ყფიყფი მოულოდნელი: „ნარნი“ს კონფიგურაცია ორგანულ კავშირშია „ანი“ს კონფიგურაციასთან (გეომეტრიული ოდენობით ასეთი „ნარნი“ მხოლოდ მეოთხედკვადრატული კათეტიტ დაუმატება „ანი“ს კონფიგურაციას), რაც — თუ უ უაღრესად მნიშვნელოვან გარემოებას გავივალაწინებთ, რომ „ანი“ს და „ნი“-ს შვერთებით ეკიბთ ანბანის პირველი გრაფემის სახელს, რომელიც შემდეგ თორმეტი გრაფემის სახელდ-



სურ. 17

ბაში მეორდება, — გრაფიკული თვალსაზრისითაც სასურველი და გამართლებული უნდა ყოფილიყო. ყველა უმონანახებები გრაფიკისათვის ხიშნადობლივია ღმკ. ხანძარსა პარწრმ („სახსსს“ გამკლებით, რომლის ნახევარწრე დიამეტრით არის დასაქრული), რაც მათს კონფიგურაციაში სხვადასხვა მდებარეობით არის კონსტრუირებული.

კამარფიხის სტრუქტურის შქონე „ანსსს“, „ანსსს“ და „პარსს“ კონტექსტში „ღმ-ანსს“ ორმოგვიანი სიძეტრითი აღბეჭდილი კონფიგურაცია წარმოგვიდგება, როგორც პრ-მხმისაშლი წარმბ, არა მარტო იმტომ, რომ იგი „მღმარს“ ფიგურა (ნახევარკათე-ტების სვეტებზე დაყრდნობილი ნახევარწრიული კამართი), არამედ იმტომაც, რომ მისი გეომეტრიული სტრუქტურა აღბეჭდილია სრულყოფილი სისადავითა და კარმო-ნიული ერთიანობით.

„ღანსს“ ეს კონფიგურაცია მეოთხედკვადრატული მოდიფიკაციით მეორდება ნახე-ვარკვადრატული „ნათოსს“ გრაფიკაში (სურ. 17). ასეთი „ნათოსს“ ბოლნურ წარწრეი-შიც გვხვდება და მისი მსმხმბრსაშლი მასწინმრმბ ისევე უშკველია, როგორც სრულ-კვადრატოვანი „ნარსსს“...

„ღანსს“ კონფიგურაციის ეგვეფ მეოთხედკვადრატული მოდიფიკაცია, ოღონდ, 90°-ით მარჯვნივ ამ მარცხნივ შეორუნებულთ, არის საფუძველი „ღანსს“ ტიპის გრა-ფემებისა ასომთავრულ ანბანში (იხ. სურ. 18)...

ამ ასოების კარკასი სწორხაზოვანი გოაფემების ანალოგურია: შედგება ღერძისა და მასთან შერწყმული ზეოთხედკვადრატული კათეტებისაგან. „მანსსს“ კარკასი „ინსსს“ ტოლი და აბალოგურია, ხოლო „თასსს“ და „თარსსს“ სწორხაზოვანი, ურთი-ერთანალოგურის კარკასი 180°-ით მობრუნებული იმავე „ინსსს“ კონფიგურაციის წარ-მოადგებს. რაც შეეხება კამარწმბან მეოთხედკვადრატულ ელემენტს, რომელიც სწორ-ხაზოვან კარკასთან ერთად ამ ასოების მშობლად მარ ხატსა ქმნის, ისინი ზემო და ქვემო, მარცხენა და მარჯვენა მეოთხედკვადრატებშია ჩახაზული. მხოლოდ „უშსს“ კამაროვანი ელემენტია მათგან განსხვავებული. იგი მარცხენა ვერტიკალური ნახევარკვადრატის შუა ხაწილს იკავებს და ამას განსაკუთრებული აზრი აქვს.

უშოთი ვასხვებ „მანსსს“ სწორხაზოვანი კარკასი, რომელიც „ინსსს“ კონფიგურა-ციას იმორებს. მაგრამ თუ „შანსსს“ კონფიგურაციისაგან ღერძს გამოვყოფთ, მასში ამ ასოს დამაგვირგვინებელი ელემენტი „ანსსს“ მეოთხედკვადრატული მოდიფიკაციის სა-ხით გამოიყოფა, და ამასაც, როგორც შემდეგ დავიხაზავთ, თავისი განსაკუთრებული აზრი აქვს.

ამრიგად, „ღანსსს“ ტიპის გრაფემების ძირითადი განმასხვავებელი კამაროვანი ელემენტი „ღანსსს“ მეოთხედკვადრატულ პორიზონტალურ მოდიფიკაციის წარმოად-გებს და ორგანულ კავშირშია სრულკვადრატოვანი „ან-ღან-პარსსს“ კამაროვან გრა-ფემებთან.

\*\*\*


დავებრუნდეთ მრგლოვან ასოებს: „წრიული მოხაზულობის ასოების სიმაღლე თითქმის დიამეტრის ტოლია“, <sup>23</sup> — აღნიშნავს ელ. მაჭავარიანი, რომელსაც სანიშნუ-ლიად დასახელებული აქვს „ან-ინ-ამ-ანსსს“. რატომ — „თიშიშისს“? თუ ასო წრიუ-ლია, მისი სიმაღლეცა და სივანეც აუშმიღმლაღ დიამეტრის ტოლი იქნება, და მათა-ს-ღამე, დასახელებული ასოების სიმაღლე (და სივანეც) არ შეიძლება დიამეტრის ტოლი არ იყოს.

ამეგრად, ყურადღება გვიანდა გაავახვილოთ „ამ-ანსსს“ გეომეტრიულ სტრუქ-ტურაზე. ამ ორი გრაფემის წრიული კორპუსი მარცხნივ და მარჯვნივ პიოტასხნილ და ანტომე პორიზონტალურად ორიენტირებულ წრეს წარმოადგენს. მათი გეომეტრიული ნახაზი ოდნებურს. განსხვავდებიან ისინი მხოლოდ მდებარეობით: 180°-ია შებრუნე-ბული (სულერთია, მარცხნივ თუ მარჯვნივ) ერთ-ერთი გრაფემა მეორის კონფიგურა-ციას განსახიერებს ისევე, როგორც „ღან-პარსსს“ კვადრატში ჩახაზული ვერტიკალუ-რად ორიენტირებული კორპუსები.

საკითხავია, რა გეომეტრიული ოდენობით არის „აეცანის“ წრიული კორპუსი პირვანსნილი? არის თუ არა რაიმე მშრმმტრისული მრსმშსულითა თავად ანბანში, რომელიც ნათელყოფდა ამას? არის ეს არის „ღანსსს“, რომლის ნაგულისხმევი დიაო-ნალუბზე დასაყენებული „ამ-ანსსს“ წრიული კორპუსების კიდურები, რის გამოც ისინი წრის 3/4-ს წარმოადგენენ (სურ. 19)...


ამრიგად, „ამ-ანსსს“ ურთიერთანალოგიურ წრიულ კორპუსებს სასულერავს „ღანსსს“ კონფიგურაციის ნაგულისხმევი დიაგონალები. ეს სამი გრაფემა გეომეტრიუ-

სურ. 18





ლედ მითიანი სტრუქტურის შემადგენელი ნაწილებია: „ჯანის“ სტატიკურად მდგრად კონფიგურაცია განსაზღვრავს ბრუნვითი სიმბოლოთა დაკავშირებულ „ამ-მანის“ კონფიგურაციას, რომელთა ნახაზი იდენტურია. იდენტური უნდა ყოფილიყო ამ კორპუსების დიაგონალებზე დამამარტებელი ხაზოვანი მონაკვეთებიც, მაგრამ თუ „ამს“ კონფიგურაციაში ადვილად მისახვედრია ახრილი ხაზოვანი მონაკვეთის „ჯანის“ ნაგულისხმევი დიაგონალის გამოჩინებულ ნაწილთან თანამთხვევა, „მანის“ კონფიგურაციაში ეს, ამ შემთხვევაში, დახრილი ხაზოვანი მონაკვეთი არამცთუ დიაგონალს არ ემთხვევა, არამედ მის პერპენდიკულარულად არის მიმართული. ასე რომ, აშკარად



სურ. 19


ცნაურდება მეტისმეტად თვალსაჩინო გეომეტრიული სქემიდან მკვეთრი, მიმდრეკილი წინასწარბანზრახული გადახვევა.

ამ ფაქტს ახსნა სჭირდება. მაგრამ ამის გარეშეც ცხადი უნდა იყოს „ამ-მანის“ უთუო გეომეტრიული კავშირი „ჯანის“ დიაგონალურ კონფიგურაციასთან, რომლის ერთადერთობა ამ ორი წრიული გრაფემით არის გასამებული.

\*\*\*




ქართული ასომთავრული ანბანის 7 გრაფემის — ერთი მხრივ, „ზმნ-პან-ლას-შინისა“ და მეორეს მხრივ, „რამ-სან-ჰარის“ კონფიგურაციები ტიპოლოგიურად ერთმანეთთან არის დაკავშირებული.

პირველი ოთხი გრაფემისათვის ნიშანდობლივია მეოთხედკვადრატული წრე, რაც სრულკვადრატოვანი „ონის“ წრიული კორპუსის მეოთხედკვადრატულ მოდუფიკაციას




სურ. 20


წარმოადგენს, ეს სრულიად აშკარა და ცხადია (სურ. 20). ამ გრაფემების სწორხაზოვანი კარკასი მარტივია: „ზმნისა“ და „ლასის“ კარკასი „ონისა“ და „შინის“ კონფიგურაციას იმეორებს იმ კორექტივით, რომ მათი ღერძი მედიანას  $3/4$ -ია. „პანის“ სწორხაზოვანი კარკასი  $3/4$ -ად და  $1/4$ -ად გაყოფილი ღერძია, ხოლო „შინისა“ რაც მისი კონფიგურაციის ორ მეოთხედკვადრატულ წრეს ურთიერთთან აკავშირებს, ღერძის შუა ნახევარს —  $1/2$ -ს წარმოადგენს. აქაც ბმობრტოვულ ბრალატისთანავე გვაქვს საქმე.



სურ. 21



სურ. 22



სურ. 23

„რამ-სან-პარისა“ შესახებ კი შემდეგი უნდა ითქვას: ივ. ჯავახიშვილის უაღრესად უსუსტი დაკვირვებით გრაფემა „რამს“ ღერძს „ბოლო მარცხნივ აქვს ზემოთაქვ ნახევარწრისაგან მობრალი ბუნის (ე. ი. ღერძის, თ. ჩ.) შუა წმრტილის სიბადიანს“. <sup>24</sup> ხოლო ამ წერტილადღე: ე. ი. მეოთხედკვადრატული წრის პირიზონტალურ მდინიანს-თან შეხების წერტილამდე მისული წრიული რკალი მეოთხედკვადრატული სრული წრის 3/4-ს წარმოადგენს (სურ. 21). ასეა „რამსა“ და „სანისა“ კონფიგურაციების ურთხვედღეობა გამოყვანილი ბოლისისა და მცხეთის ჯერის წარწერებში (თუგეა არაე-ბობოს განსხვავებული მოხაზულობაც). მასასადამე, „რამ-სანისა“ ვერტიკალურ ღერძთან შერწყმული ელემენტები, უნდა გავიმოვოთო, მეოთხედკვადრატული წრის 3/4-ს წარ-მოადგენს და გეომეტრიული ოდენობით ორბანსულ კავშირშია „ამ-სანისა“ კონფიგურა-ციების წრულ კორპუსთან. ამ კონტექტში აღსანიშნავია ისიც, რომ „რამ-სანისა“ არა მარტო წრიული ელემენტებია მეოთხედკვადრატული წრის 3/4, არამედ მათი ღერ-ძიც სრული ღერძის 3/4-ს წარმოადგენს.

„პარისა“ კონფიგურაციაში მეოთხედკვადრატული მოდიფიკაციით არის შერწყ-მული „ამ-სანისა“ კორპუსები, ოღონდ იმ განსხვავებით რომ ისინი 45°-ით არიან შებ-რუნებულნი. „პარისა“ ისეთივე მრბოლი გეომეტრიული სტრუქტურაა, როგორც „მინისა“, რომლის კონფიგურაციაში მეოთხედკვადრატული მოდიფიკაციით მეორდება „მინისა“ მრბოლი კორპუსი — სრულყოფილი წრე.

აღსანიშნავია, რომ ზემოთაზნისლული შვიდი გრაფემის ინვარიანტული სქემა, რომელიც შედინებით თხად გაყოფილ კვადრატებში ჩახაზული მეოთხედკვადრატუ-ლი წრეებით კონსტრუირდება (სურ. 22), ინვარიანტული სქემაა აგრეთვე „პინისა“ ტი-პის გრაფემებისათვისაც.

ამრიგად, „პინისა“ ტიპის გრაფემების მეოთხედკვადრატული ელემენტი, რომე-ლიც ნახევარწრისაგან არის კონსტრუირებული, ნახევარწრიული სრულკვადრატოვანი „მინისა“ ფორმას იმეორებს. „რამ-სან-პარისა“ მეოთხედკვადრატული ელემენტები „ამ-სანისა“ კორპუსების 3/4 წრისაგან კონსტრუირებულ მეოთხედკვადრატულ მოდი-ფიკაციებს იმეორებენ, ხოლო „ზნ-პან-ლას-მინისა“ მეოთხედკვადრატული წრეები „მინისა“ და „მინისა“ სრულ წრეებს. მასასადამე, ყველა ამ ასოს მეოთხედკვადრატუ-ლი ელემენტი, რომელიც მათი გემეტალტური ხატის უმთავრესი შემადგენელი ნაწილია, კონსტრუირებულია 1/2, 3/4 და სრული მეოთხედკვადრატული წრისაგან, რაც ასევე ნიშანდობლივია სრულკვადრატოვანი გრაფემების სტრუქტურაშიც, და რამაც, ზემოთ ზავე ნახსენები, გეომეტრიული ელემენტთა მატების მარბასში ვლინდება.

„ზნ-პან-ლას-მინისა“ კონფიგურაციის ღერძის ხაზისაგან დამოუკიდებლად გან-ხილვისას, თუ ყურადღებას მხოლოდ მათ მეოთხედკვადრატულ მოხაზულობაზე ვთვალ-სახილვებო, აღმოჩნდება, რომ ისინი მეოთხედკვადრატული მოდიფიკაციით, ოღონდ სხვადსხვა მდებარეობით, იმეორებენ „მინისა“ სრულ კონფიგურაციას, საიდნაც, სხვა-თა შორის, იმ დასკვნის გამოტანაც შეიძლება, რომ „მინისა“ კული, რომელიც ბოლნურ წარწერებში ოდნავ მორკალულია, თავის პირვანდელ გეომეტრიულ სქემაში სწორი უნდა ყოფილიყო. უთუოდ ამასვე გვიმტკიცებს ის გარემოებაც, რომ მეოთხედკვადრა-ტული კათეტის ტოლი ეს კული ფორმითაც და მდებარეობითაც იმ მეოთხედკვადრატუ-ლი შვერილების იდენტურია, რაც სწორხაზოვან „მ-ბ-ტ-ს-სა“ და წრიულ „ა“-შიც დასტურდება.

რატომ მოირკალა „მინისა“ ეს კული (იხ. სურ. 23)? საქმე იხაა, რომ ეს კული „მინისა“ კორპუსის ნახევარწრეთა შერის (B) წერტი-ლში კი არ უკავშირდება წრეხაზს, არამედ რამდენადმე მარჯვნივ და ამიტომ კვდა კათეტის ხაზისაგან რამდენადმე ზევით, რის გამოც იგი ჯერ ჩადის კვდა კათეტის ხაზამდე, ხოლო შემდეგ, სიმეტრიის შესანარჩუნებლად, კვდაც იმ წერტილის სიბოლ-ღეზევა ახრილი, სადაც წრიულ კორპუსს უკავშირდებოდა (ამიტომ გადის იგი კვდარა-ტის ფარგლებიდან, თუმცა კი ინარჩუნებს მეოთხედკვადრატულ კათეტთან ტოლობას). წრეხაზს კორპუსი კი, ჩემი აზრით, ეს კული ცოტათი მარჯვნივ იმითმე უკავშირდებ-ბა, რომ კვაც დაწრისას არ წარმოქმნილიყო წრეხაზთან დაკავშირების წერტილში მსხვილად ამოკვეთილი ხაზების შედეგდებული ლაქა... თუმცა შესაძლებელია აქ სულ სხვა გეომეტრიული მექანიზმი მოქმედებდეს...

„მინისა“ და „მინისა“ ანბანური სახელდებით დაკავშირებული წყვილულია ისევე, როგორც „მ-ზნ-მინისა“ და „ძილ-წილისა“, ყოველ შემთხვევაში, ანალოგიური სახელი არც-ერთ სხვა გრაფემას არა აქვს და ეს გასათვალისწინებელია. აღსანიშნავია ისიც, რომ „მინისა“ რიგითი სათვალავის მე-4 ადგილზე ზის, ხოლო „მინისა“ მე-16-ეზე, რაც 4-ის



კვადრატს წარმოადგენს. ეს ორი გრაფემა დაკავშირებულია კიდევ იმით, რომ ორივეს წარული კონფიგურაცია აქვს. „ღონის“ კორპუსიც წრეს წარმოადგენს, მაგრამ მნიშვნელოვანია, როგორია ეს წრე — მთლიანკვადრატულია თუ არა, ე. ი. საეტალონო კვადრატს ავსებს იგი თუ არა!

ე. ჯავახიშვილის დაკვირვებით, „ღონის“ ბოლნურ წარწერებში აყელი ძლივს ან სრულებით არ უჩანას<sup>25</sup>. და მართლაც, „ღონის“ წრე ბოლნურ წარწერებში ოდნავ მომკრია, „ონისს“ თუ „ონისს“ წრეზე მაგრამ იმდენად არა, რომ იგი წრის რომელიმე სხვა სახეობას მივაკუთვნოთ. „ღონის“ წრის ერთგვარი დამკრობა, რაკი ის თავსარქმული კათეტის მსხვილად ამოკვეთილი ხაზის ქვეშ არის მოქცეული, — შესაძლებელია, გამოწვეული ყოფილიყო ასოთა ატეხვაზე გამოყვანის სასოციალური საკვირვო, ქვაზე ამოკვეთის იმ ცოცხალი პრაქტიკით, რომლისთვის საერთოდაც ნიშნად-დობლივია „აარორგანული“ გეომეტრიული სქემიდან ერთგვარი ვადანობა, ესეიტყვი, მრავალფეროვნებისაკენ უნებური სწრაფვა და სხვ. გეომეტრიული სქემის (არქტივის) თვალსაზრისით ეი „ღონის“ წრე, რაღა თქმა უნდა, სრულკვადრატოვანი წრეა და ამაში არაფერია მოულოდნელი; პირიქით, ასეთი წრე გეომეტრიული სქემის კანონზომიერ გამოვლენაზე მიგანიშნებს, და აი, რატომ:

„ან-თან-ღონის“ კვადრატში აყვანილ თანმიმდევრულ მენტ რიცხვებზე სხედან ( $1^2=1$ ;  $3^2=9$ ;  $5^2=25$ ) და ამავე დროს, ერთი სახელებით არიან გაერთიანებულნი. „ღონის“ და ონის“ კვადრატში აყვანილ თანმიმდევრულ ლუწ რიცხვებზე სხედან, და ამრიგად, ვიდრე ხუთი თანმიმდევრული რიცხვის მხოლოდ ორივეს, რომლებიც ანაბათი თვითონ რიცხვებზე დამკრებას გეომეტრიული სტრუქტურითაც ამართლებენ და ადასტურებენ. (სურ. 24)...





ეს ის რიცხვებია, რომლებიც — თვეტეტის თქმით, — რამიე რიცხვის კვადრატში წარმოიქმნება და რომელთაც კვადრატის ფიგურასთან მსგავსების გამო ტოლმმრ-ღას და ონსაშუამდგომარს უწოდებენ. <sup>26</sup> პლატონის მოძღვრების თანახმად, სრულყოფის მიღწევა შეიძლება მხოლოდ „ტოლგვერდა“ „კვადრატული“ კარმონის განზორციელებით<sup>27</sup>.

ამ გრაფემების ინვარიანტულ სქემას მედიანებით გადაკვეთილ ცხარში ჩახაზული სრულკვადრატოვანი წრე ქმნის (სურ. 25)... დააკვირდეთ, აქაც — „ღონის“ კუდი სრულ გეომეტრიულ კარმონის ამყარებს, „ღონის“ თავსარქმული კათეტის მარჯვენა ნახევართან და „ონისს“ შიშვლად დარჩენილ რადიუსთან, ვითარცა პარალელურ ელემენტებთან.

მაგრამ არის ერთი სერიოზული გარემოება, რაც „ღონის“ წრის სრულკვადრატოვან ფიგურად მიჩნევის ეწინააღმდეგება. მცხეთის ჯვრისა და პალესტინის წარწერებში მკვეთრად გამოხატული ყელიანი „ღონის“ გვხვდება. შეიძლება ამ „ყელის“ გარენა ქრანოლოგიური ხასიათის ფრისცვალებისთვის „დაგვერალბინა“, რომ ასეთნაირი „ღონის“ კონფიგურაცია არ ამჟღავნებდეს თავის თავში დასრულებული სტრუქტურის პარმონიულ ერთიანობას. განსაკუთრებულ გეომეტრიულ ხატოვნებასა და ესეიტყვი ბრწყინვალეობას, რასაც დამწერლობის გინდა მშობლიური შორმირამისს, განდა მრმდროული პონსტრუქტურის პრიმატული მნიშვნელობა ენიჭებოდა.


აქანს უნდა დავუბატოთ ისიც, რომ მცირე ანუ ყელიანი „ღონის“ კვადრატში გეომეტრიულ კანონთა შესაბამისად იხსება, რაც მის კანონიერ გრაფემად მიჩნევის საფუძვლად ვეალებს, და ისიც, რომ მასთან არის გეომეტრიული სტრუქტურით დაკავშირებული ასო „მარისი“ კონფიგურაცია...

რა გეომეტრიულ საფუძველზე შეიძლება ჩაიხაზოს საეტალონო კვადრატში ყელიანი „ღონის“ წრე, რომელიც სრულკვადრატოვან წრეზე აშკარად მცირე, მაგრამ მითხევეკვადრატულ წრეზე ასევე აშკარად დიდია? უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ანაზში „ღონის“ რიგითი რიცხვი, როგორც უკვე ვაჩვენეთ, „კვადრატული“ ან „ტოლმმრდა“ პარმონის შემადგენელი ნაწილია, რის გამოც სავარაუდებელია, რომ მას რამეზარი კავშირი ქონდეს ამ რიცხვულ ცნებებთან. და აქ, ბერძნული „მშობლივი“ ტოლფერდა სამკუთხედის მქონე კონფიგურაციის ანალოგიით, ჩვენ ყურადღება გავამახვილებთ ტოლმმრდა სამკუთხედზე, რომელიც საეტალონო კვადრატის ქვედა კათეტზე დამყარებით იხსება მედიანებით გადაკვეთილ კვადრატში. კვადრატში ჩახაზული სწორედ ამ ტოლგვერდა სამკუთხედის მედიანაზე, რომელიც კვადრატის მედიანას არასრულ მონაკვეთს წარმოადგენს, მოიძებნება შუა წერტილი, საიდანაც მცირე „ღონის“ წრე იხსება (იხ. სურ. 26).




სურ. 24

სურ. 25





ამრიგად, თუ სრულკვადრატოვანი „ღონის“ წრესხის მოცულობა ტოლგვერდოვან ოთხკუთხედით, ე. ი. კვადრატით არის ბრმან დასაზღვრული, მცირე „ღონის“ წრეს ხაზის მოცულობა იმავე კვადრატში ჩახაზული ტოლგვერდა სამკუთხედით შიშნმან დასაზღვრება (ეს სამკუთხედი ანტიკურობაში „ღმინიშრბულ სამშმშმდა“ იწოდებოდა).



მცირე „ღონის“ ყელი კვადრატული მედიანას იმ ნაწილს მოიცავს, რომელიც ხსენებული სამკუთხედით დასაზღვრული წრის გარეთ რჩება, ხოლო თავსარქმული ხაზი კვადრატის ზედა კათედის შუა ნაწილს, ე. ი. მეთოხედკვადრატული კათედის ტოლ მოსაკეთის მოიცავს. ამნარიადვე მოიხაზება „შარის“ წრც, რომელსაც კვადრატის ზედა კათედზე დაკიდებული ტოლშმრდა სამშმშმდი განსაზღვრავს. აღანიშნავია, რომ „შარის“ წრე თითქმის ისწრაფის შთანთქას კვადრატის მედიანა და იგი თავის დიამეტრად აქციოს...



კიდევ ერთ ურთიერთდაკავშირებულ წყვილულზე უნდა ვილაპარაკოთ. ეს არის „ჩანის“ და „ძილი“, რომელთა გრაფიკული მსგავსება და ურთიერთკავშირი იმათივე იქნა შემჩნიული. იგ. ჯავახიშვილი წერს: „თავივი გარეგნობით „ძილი“ ასომთავრულ „მანის“ მოიგავს და იქნებ ამ უკანასკნელისგან მშმნიშრი ბანსხმამში იქნა გამოყვანილი“<sup>28</sup>. ამასვე იმეორებს კ. კეკელიძე: „ძ“ წარმომადგარია ქართული „მ“-ისაგან<sup>29</sup>...



გრაფიკული მსგავსება ამ ორ გრაფემს შორის, როგორც ვხედავთ, თავიდანვე იქნა აღნიშნული, მაგრამ რა ხასიათისაა ეს მსგავსება, აღნიშნული არა ყოფილა. საეტალონო კვადრატში ჩახაზვისას თვალსაჩინო ხდება, რომ ეს ორი გრაფემა იდენტური გეომეტრიული მოხაზულობისაა, რომ მათი კონფიგურაცია მხოლოდ მდებარეობითა და ინფერისი განსხვავდება ერთმანეთისაგან. საკმარისია „მანი“ 90°-ში შეგზარუნოთ მარცხნივ, რომ მივიღოთ „ძილი“ ჰორიზონტალური ინვერსია. მოგხსნათ ინვერსია, — ე. ი. მარცხნიდან მარჯვნივ გადავბრუნოთ ასეთიარი „მანი“ და მივიღებთ „ძილს“. უფრო მარტივად: „მანის“ დიაგონალურ ინვერსიას წარმოადგენს „ძილი“ (სურ. 27).

სურ. 26


გეომეტრიულად ერთმანეთის იდენტური „მან-ძილი“ მუცელი მეთოხედკვადრატული წრის 3/4-ს წარმოადგენს. ასეთიარი წრით კონსტრუირებისას არიან ეს გრაფემბი ერთმანეთის იდენტური. მაგრამ თუ ჩვენ „მანს“ და ამიტომ „ძილს“ მეთოხედკვადრატული „ღანისებური“ მუცლით დავხაზავთ, მაშინ ისინი დაპირაგვენ გეომეტრიულ იდენტურობას და „მანის“ ტიპის გრაფემების ჯგუფში მოხვდებიან. უძველეს ეპიგრაფიკულ წარწერებში კი „მანი“ სწორედ ასეთიარი — „ღანისებური“, კამაროვანი მუცლით არის ამოკვეთილი, და ამიტომ სრული ღერძით არის კონსტრუირებული.

მაშასადამე, ერთის მხრივ, ჩვენ გვაქვს „მან-ძილის“ გეომეტრიულად ურთიერთდენტური კონფიგურაცია, რომელიც თითქმის მათს ასეთიარი სტრუქტურას ანიჭებს მეტ დამაჯერებლობას, ხოლო, მეორეს მხრივ, ეპიგრაფიკულ წარწერებში დადასტურებულია „მანის“ სრულღერძოვანი კონფიგურაცია. ეს ღერძი კი კვადრატული სიმეტრიის უძლიერესი ღერძია და მისი იგნორირება დაუშვებელია.





ამრიგად, ასომთავრული ანბანის გრაფიკულ-გეომეტრიული სტრუქტურის თვალსაზრისით, ამ გრაფემების (ისევე, როგორც ორივე „ღონის“ და ორივე „ნანის“) კონფიგურაციებს გამართლება აქვს და ამიტომ მარტოოდენ მშომბრნიშლი სხანათის სრმშმშმშიშიში რომელიმე ჯუფით სტრუქტურის უპირატესობა ვერ დამტკიცდება.

სურ. 27

და ბოლოს, ასომთავრულის უკანასკნელი გრაფემის „ჰმს“ შესახებ. ეს ასო, ზემო ნახევარკვადრატში ჩახაზული ელემენტით, როგორც აღნიშნული გვაქვს, „მან-მან-ლას“ გრაფემებს უკავშირდება. მარჯვნივ ვერტიკალურ ნახევარკვადრატში ჩახაზული კორპუსით კი ეს გრაფემა „სანის“ კონფიგურაციას ემთხვევა იმ განსხვავებით, რომ მისი მეთოხედკვადრატული კამაროვანი ელემენტი „სანის“ შესაბამის ელემენტის მსგავსად წრის 3/4-ად ვერ მოიკალება. რატომ? იმიტომ, რომ „მოკალეული“ „ჰმს“ კონფიგურაციას ძნელადაა თუ გაეარჩეთ „ლასისაგან“, ხოლო ასეთ მსგავსებას ეწილება ყველა ანბანი, რომლის ვიზუალური აღქმის პრინციპი მრმნიან ბრამიშულ სისტემაში ასრულო მგაწომ ბანსხმამშის ეყარება.



საქმე ისაა, რომ ბოლნერ დავით ეპისტოპოსის ვერაი წარწერაში ორჯერ განმეორებულ ერთსა და იმავე სიტყვაში („ჰმს“) ორი სხვადასხვა დაწერილობით გვხვდება „სანი“; ერთის მხრივ, „რამ-სან-ჰარის“ სქემაში გაერთიანებული, ხოლო, მეორეს მხრივ, „ჰმს“ კორპუსის იდენტური „სანი“. ეს უკანასკნელი კი „ჰმს“ სტრუქტურის



წეზღვენილი ნაწილია. თავად „პპ“ ორგანულად არის დაკავშირებული გრაფიკულ სტრუქტურასთან, რასაც შემდეგი ვარგებობაც ადასტურებს: ანანის პირველ, მეორე, მესამე და მეექვსე ექვსეულების უკანასკნელი გრაფემები, ე. ი. მე-6, მე-12, 30-ე და 35-ე ასო ქართული ასომთავრულის ნიშანდობლივ კონსტრუქციას ქმნის, — მათთვის დამახასიათებელია ერთგვაროვანი, ბერძნული მეთოდდკვადრატული „პპის“ ანალოგიური ელემენტი; მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ „პპის“ კონფიგურაცია ანანის ხუთ თანმიმდევრულ კვადრატულ რიგებზე დამატებული წრიული და ნახევარწრიული გრაფემის გეომეტრიული სქემიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ იგი შე-ნ კვადრატულ რიგებზე — 36-ზე უის...

რა დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ განხილული მასალის ანალიზიდან? 30-ზე მეტი ასოს საეტალონო კვადრატით „შემოწმება“ გვარწმუნებს ელ. მაჭავარიანის მიერ გამოთქმული დებულების ჭეშმარიტებაში: სსრფშ ჩაწარმისა ურინარ ჩარჩოში, რომელშიც კვადრატსა და ნახევარკვადრატს წარმოადგენს... თავის მხრივ, ეს კვადრატითა თხტლ ნაწილად არის გაყოფილი და, როგორც ვაჩვენეთ, მათში გამოიყვანება ასოთა მეოთხედკვადრატული ელემენტები. განხილული გრაფემებიდან მხოლოდ ორის — „მან-წილის“ კონფიგურაციების თითო, გრაფიკულად ნაკლებმნიშვნელოვანი ელემენტია საკუთო: „მანის“ დიაგონალის საპირისპიროდ მიმართული ხაზი და „წილის“ შუაგალი. რაც — თუცა კი მოითხოვს ახსნას, — მაგრამ ვერ შეარყევს იმ დებულების საფუძვლიანობას, რომ ასოს გეომეტრიული აღნაგობა აქვს.

უმთავრესია ის, რომ ასომთავრული ანანების ასოთა გრაფიკული სტრუქტურა კვადრატითა მარშში გამოიყვანილი და მათი კონფიგურაცია ბოშმტრისულ ბანრში მსხანამისაღ არის აგებული. მეტიც, — ქართული ასომთავრული ანანის თვითველი გრაფემის გეომეტრიულ სტრუქტურას, ბერძნული ანანის ასოთა მსგავსად, ბანსაწილ-ბოშას კვადრატის ინვარიანტული სქემები, საიდანაც იხადებიან ბოშმტრისულ მრმ-ბარშმწანი, მაგრამ ბრაწიწიწი წირიწიწი ბანსმამბული ასოები. ამ არრით, ასომთავრულის გრაფიკული სტრუქტურა პირწმინდად გეომეტრიულია და „უდავოდ გარკვეულ განვარიშებასა და პრინციპზეა დამყარებული“ 30...

ორიოდ სიტყვა ამ ინვარიანტული სქემების შესახებ:

შლოვერდა მარაკუთხედიდან ანუ კვადრატისაგან არცერთი ქართული ასო არ გამოიყვანება (კვადრატის სამი ტოლი გვერდის განმსახიერებელია ბერძნული „პპ“, რიბლის სახელი სრულად გამოხატავს კვადრატის ფიგურას, რაყი ბერძნული „ოიტა“ გეომეტრიული ოდნობით კათეტის ტოლია). მხოლოდ კვადრატში ჩასაწული სხვადასხვა გეომეტრიული ელემენტები და ფიგურები ქმნიან საეტალონო კვადრატის იმ ცსაქრს (ინვარიანტულ სქემას), საიდანაც იხადებიან ასომთავრულის გრაფემები.

წერტკალური და პორიონტალური მენიანებით ვადაკვეთილ კვადრატის ცსაუ-რში, როგორც ვთქვით, უმტკიენეულოდ იხაზება ასომთავრულის სწორხაზოვანი ასოები, ხოლო თავად ეს ჯვარედინი ქმნის ქართული „მანის“ კონფიგურაციას (სურ. 29).

კვადრატში ჩასაწული წრე ინვარიანტული სქემა ასომთავრულის ხუთი უმნიშვნელოვანესი მრგოლიანი გრაფემისა: „ღონ-ონ“, „ან-ღან-პარისა“, ამ უკანასკნელის კვადრატს გარე გასული შვერილის გარეშე.

ამ ორი ინვარიანტული სქემის შერწყმით ვიღებთ ცსაურს, რამიც სწორხაზოვანი და პაწახსენებულ მრგოლოვან გრაფემებს გარდა კიდევ ერთი გრაფემა — „მანის“ ჩა-ხაზება (და ჩიხაზებოდა სრულკვადრატოვანი „შარისა“). ამ ცსაურის სტრუქტურა გვძლევს პირველი ხუთი თანმიმდევრული რიგების კვადრატებზე დამატებული გრაფემების კონფიგურაციებს (კვადრატებზე შვერილის მქონე „პარისა“ გარეშე).

ეს ცსაური ბუნებრივად მდიდრდება ერთმანეთისაღმი შურგმეცეული „ნარ-კარის“ ზეით და ქვემო ნახევარწრეებით. ეს ცსაური აშკარად გამოხატულ ორნამენტულ შიშპრს წარმოადგენს. თუკი მას დიაგონალური „ღან-ამ-მანის“ ინვარიანტულ სქემასაც შევერწყავთ, მივიღებთ ყველა ზეითი ჩამოთვლილი გრაფემების ინვარიანტულ სქემას, ბრწწინაწულ ორნამენტულ ცსაურს (სურ. 30), რომელიც ასომთავრულის ყველა სწორ და ირიბხაზოვანი, აგრეთვე ყველა სრულწრიული ასოს დედამსდე (სიბეტერიის დასაცავად, ამ ცსაურს დავუმატებ ასოთა გრაფიკაში გამოყენებულ, ბუნტკირული ხაზით აღნიშნული ორი ვერტიკალური ნახევარწრე, რომლებიც „პარისა“ 90°-ოვანი ბრუნვით მიიღება).

ანრივად, ასომთავრულის ყველა გრაფემა (მცირე „ღონისა“ და „შარისა“ გარდა) ორ ინვარიანტულ სქემაზე დაიყვანება: მდიანებითა და მეოთხედკვადრატული წრე-



ბით კონსტრუირებულ ცხაურსა და „ორნამენტულ მხარსზე“, რომელთა შერწყმაც შეიძლება და, შეუძლებელი არ არის.






რა ფუნქცია აკისრიათ ამ ცხაურებს?

ერთის მხრივ, ისინი ქნიან ასეთა მკაცრად უნიფიცირებულ გეომეტრიულ სქემებს, რომლებიც მანსაზღვრავს ასეთა ამა თუ იმ მონლიტმარქისს. ამავე დროს, შერეული სახის ცხაურები, რომლებიც თავისთავად დამუშავდებულ მოდელებს წარმოადგენენ, ერთმანეთთან სპერმომეზონ ასეთა ამა თუ იმ ჯგუფს ან მთელ კონლიტერატებს და მით ასეთა გეომეტრიული სტრუქტურის მართიან სისტემას ქნიან.


შეორეს მხრივ, ამ ინვარიანტული სქემების ან ცხაურების მიზანია კონსოლოგიური „მოცვეთისაგან“ დაიცვან ასეთა კონფიგურაციის გრაფიკულად მერყევი ელემენტები, გეომეტრიული არქტიპის მანსაზღვრებლი ინვარიანტის გავლენაში იყოლოთ ისინი და, ამგვარად, შეინარუნონ ასეთა მოხაზულობის პირველადი სტრუქტურა.

მითითებული ლიტერატურა

1 ივ. ჩავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 215.  
 2 ელ. მაკავარიანი, ქართული ხელნაწერები (წინასიტყვა), გვ. 14  
 3 Герман Венья, Симметрия, М., 1968, стр. 35.  
 4 ივ. ჩავახიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 106  
 5 ავ. შანიძე, ბოლნისის წარწერები, „ნობათი“ № 1, 1975, გვ. 28.  
 6 ლ. მუხტელიშვილი, ბოლნისი, ენიქის მოამბე, III, 1938, გვ. 326.  
 7 ელ. მაკავარიანი, დასახ. წიგნი, გვ. 8.  
 8 იქვე, გვ. 27.  
 9 БСЭ, 1937, т. 31; БСЭ, 1953, т. 20 (Капитальное письмо).  
 10 ივ. ჩავახიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 120  
 11 Мастера искусства об искусстве, М., 1966, т. 2, гв. 329.  
 12 იქვე  
 13 В. И. Мильдон, Кадм и гармония. «Вопросы философии», № 7, 1972, стр. 140.  
 14 ივ. ჩავახიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 120  
 15 Евг. Кагаров. Отдельные оттиски из «Записей Императорского Харьковского Университета» за 1913, стр. 9.  
 16 Аристотель, т. 1, М., 1976, стр. 75.  
 17 А. Ф. Лосев, История античной эстетики, М., 1963, стр. 473, 469, 462.  
 18 პლატონი, იონი, დიდი ჰიპია, მეზნონი (ძველი ბერძენულიდან თარგმნა ბანანა ბრეგვაძემ), 1974, გვ. 137-143  
 19 А. Ф. Лосев, დასახ. წიგნი, გვ. 512.  
 20 В. А. Истрия, Возникновение и развитие письма, М., 1965, стр. 312.  
 21 ელ. მაკავარიანი, დასახ. წიგნი, გვ. 14.  
 22 ივ. ჩავახიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 209  
 23 ელ. მაკავარიანი, დასახ. წიგნი, გვ. 14  
 24 ივ. ჩავახიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 216  
 25 იქვე, გვ. 208  
 26 Платон, Тетет (пер. В. Серезникого), М., 1936, стр. 22.  
 27 Платон, т. 3, М., 1971, შენიშვნები, გვ. 638.  
 28 ივ. ჩავახიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 230  
 29 ჯ. კეკელიძე, ქართული კულტურის ორი დღესასწაული, „მნათობი“, № 5-6, 1929, გვ. 166 (სქოლიო).  
 30 ელ. მაკავარიანი, დასახ. წიგნი, გვ. 14



სურ. 29



სურ. 30

როდამკვიდრება: წინამდებარე წერილი ეყრდნობა ხელნაწერთა მოცოდნების კანდიდატის ელენე მაკავარიანის შრომის „ქართული ხელნაწერები“ (გამომცემლობა „ხელოვნება“, 1970 წ.) შიგნითად დებულებებს, რომლებიც შეცნობა განავითარა ხელნაწერთა ინსტიტუტში ელენე ჩავახიშვილის დახადების 100 წლისთავსადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე წაკითხულ მოხსენებაში: „ქართული ანბანის გრაფიკული სტრუქტურის შესწავლისათვის“ (1978 წ.). ელენე მაკავარიანის შრომის ცალკე წიგნად ბეჭდვას საქართველოს წიგნის მოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოება.

გაითვალისწინა რა შეითვისებულა დიდი ინტერესი აღნიშნული საკითხისადმი, რედაქციამ საქართველოს სსრ უფროსის ერთ-ერთ მომდევნო ნომერში გამოაქვეყნოს ელენე მაკავარიანის განმარტებითი ხასიათის სტატია ქართული ანბანის გრაფიკული სტრუქტურასა და წარმომავლობის პრობლემაზე.

# ქართული ტაძრის გარე სახის ერთი თავისებურებისათვის

ლიმიტრი თუმანიშვილი

შსს სასაგანგებო-საშენობლო სამსახურის ქართული სურათმოდერნის მრავალრიცხოვან ნაწარმოებთან საყოველ-  
თაოდ ცნობილი და აღიარებული უფრო მეტად  
ის ძეგლებია, რომელნიც „აყვავების“ ორ პერი-  
ოდს — VI—VII სასაგანგებო-საშენობლო კლასიკურსა და  
XI—XIII სასაგანგებო-საშენობლო სტილს,  
მიეკუთვნებიან. ეს გასაგებია — დიდი მხა-  
ტრული ღირსება, შინაგანი სისასის განცდა,  
რაც ახლავს გარკვეული კანონზომიერების სრუ-  
ლად გამოვლენას, ბევრ მათგანთან დაკავშირე-  
ბული ისტორიული თუ ლეგენდარული გადმო-  
ცემები და ასოციაციები — თუნდაც მცხეთის  
ტაძრები, ათას რასმე რომ გვახსენებენ, — ბოლოს,  
მეტ-ნაკლებად მიხერხებული მისადაგომები, —  
ყოველივე ეს განაპირობებს მათდამი გამორჩე-  
ულ დამოკიდებულებას. მაგრამ ისტორიულადაც  
და მხატვრულადაც არანაკლებ მიმოიღველია ხე-  
ობებსა და ტერმებში ჩაკარგული, ზოგ შემთხვე-  
ვაში ისტორიული ბედუკვამართების გამო ჩვენ-  
თვის აწ მიუწვდომელი, „გარდამავალი ხანის“,  
VIII-X სს. ძეგლები. ძვირად თუ იქნება რაიმე  
იმაზე საინტერესო, თვალს გაადგინო, თუ როგორ  
იცვლის სახეს ხელოვნების განვითარების ერთ  
ფეხურზე შემუშავებული ელემენტი, როგორ  
იცვლება მისი ადგილი და წვლილი სურათმოდ-  
ერნული ნაწარმოების მთლიანობაში; დააკვირ-  
დე, თუ როგორ ენაცვლება მას, უკვე დრომოჭ-  
მულსა და ზედმეტს სხვა, ახლად წარმოქმნილი  
და თავდაც იწყებს ვარიანობას, გარდაქმნას ოს-  
ტატთა ხელში; და მაშინაც, როდესაც ერთი რი-  
მელიმე კონსტრუქციული თუ დეკორატიული

ფორმა კარგავს ძველებურ აზრს, ეს უბრალოდ  
აზრისაგან დაცლა კი არ არის, როგორც დაცე-  
მის, განვითარების შეფერხების პერიოდში,  
არამედ ახალი მთელისაგან მისი შეწყნარება,  
მასში შეზრდა შემოქმედებითი აქტის შედეგად.  
ბუნებრივია, რომ ახლის ჩამოყალიბების პრო-  
ცესი არაჩვეულებრივად მრავალფეროვან სურათს  
იძლევა, ყოველი, ევოლუციურად სასებით კა-  
ნონზომიერი ძეგლიც, რამდენადმე ექსპერიმენ-  
ტული ხასიათისაა, ყველაში ძიებაა აღმგებლი;  
გარკვეული აზრით, გარდამავალი ხანის ხელო-  
ვნება უფრო „ბაროკულია“<sup>1</sup> მომწიფებული ცხო-  
ველხატული სტილის ხელოვნებაზე, ამ სიტყვის  
თავდაპირველი, — უჩვეულოს, უცნაურის, —  
მნიშვნელობით. ამ დროს გაცილებით მეტია მო-  
ულოდნელი გადაწყვეტა, ვიდრე წინამავალსა თუ  
მომდევნო ხანებში და თავისებური მომხიბვლე-  
ლობა ამ ექსპერიმენტულობასა თუ ექსცენტრიუ-  
ლობასაც აქვს. ხოლო იმის საბუთად, რომ ამ,  
ისტორიულად დაუსრულებელ ხელოვნებას მხატ-  
ვრულად სრულყოფილი არა ერთი და ორი ძვე-  
ლი მოუცია, ვანჩაძინის ყველაწმინდისა და თა-  
ვისი არსებით ჯერ კიდევ „გარდამავალი“ კუმუ-  
რლოს ტაძრის დასახელებაც ვმარა.

რა თქმა უნდა, გაცხოველებული ძიებისას მო-  
სალოდნელია ისეთი გადაწყვეტა, რომელიც ის-  
ტორიულად უპირსპექტიუო გამოდგება. ამათგან  
ზოგი გამოწაკლისად რჩება მათში სორცმცხსმუ-  
ლი კონცეფციის თავის თვითვე ამოწურვის გა-  
მო (მაგ., იგივე ვანჩაძინის ყველაწმინდა), მაგ-  
რამ გვგვადება ისეთი მოტივებიც, რომელნიც, ერ-



წრომის ტაძარი. VII ს. აღმოსავლეთის ფასადი

თი შეხედვით, თანამედროვეთ უნდა მოეწონებინათ და აეთვისებინათ კიდევ. ამ უკანასკნელთა გაქრობა, საფიქრებელია, ქმნადი სტილის თავისებურებას, მის ფსიქოლოგიურ სახელებს უნდა მიგვანიშნებდეს და, ამდენად, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს მათზე დაკვირვება და ახსნის (თუნდაც ცალმხრივი ან სულაც მცდარი) ცდაც.

იმ გადაწყვეტათა რიცხვს, რომელთაც შემდგომი განვითარება აღარ ეუქრათ, მივკუთვნება ტბეთის ცნობილი ტაძრის სამხრეთის ფასადის კომპოზიციაც: <sup>2</sup> აქ სამი მრავალსაფეხურიანი თაღისაგან შემდგარი თაღნარის თავზე, თაღის წვერის ოდნავ მარჯვნივ, შედარებით მცირე ზომის ორი მრგვალი სარკმლით ფლანკირებული ნიშა ამოღებული და მასში ქანდაკება დგას. უკანასკნელს ნ. მარი შემდეგნაირად აღწერს:

«В камне со сводчатой нишей, обрамленной колонками, высечена фигура святого (с ореолом) в священническом облачении с чем-то (церковь? Евангелие?) в левой руке; правую он поддерживает этот предмет или указывает на него; рука прилегает к груди»<sup>3</sup>.

ნ. მარის სიტყვებში, სამწუხაროდ, ვერ ამოიკითხავ ვერც ქანდაკების სიუჟეტს, ვერც რასმე მისი მხატვრული თვისებების შესახებ, მაინცდამაინც ბევრს არც ა. პავლინოვისეული ნახაზი და ნ. მარისა და ნ. დ. მ. ტიერების გადღებული ფოტოსურათები იძლევა. მათ მიხედვით იმის თქმა თუ შეიძლება, რომ ქანდაკება ტბეთის ტაძრის რიგისა უნდა იყოს, ოღონდ მის შიგნით მო-

თავსებული, ანოტ კუხის სკულპტურული გამოსახულება! — სხეულის ბლოკური მოცულობა მასზე დაშრეული ხელითა და ორ მოცულობად დიფერენცირებული თავით, — შესაძლოა, აქაც დოღბანდი იყოს გამოყოფილი. მაგრამ ამჟამად ეს ცნობებიც კმარა, რადგან მსჯელობის საგანი იქნება არა ქანდაკება თავისთავად, არამედ ნიშაში მდგარი ქანდაკება, როგორც საფასადო დეკორის ნაწილი. ტბეთის ტაძრის შემკულობის ეს მოტივი ქართულ ხელოვნებაში უნიკალური თუ არა, იშვიათი მაინც ჩანს. მართალია, მისი ისტორიის გარკვეულ მოსაკვეთზე ქართული ხუროთმოძღვრება იცნობს როგორც საფასადო ნიშნებს, ასევე გარე კედლების ქანდაკებით მორთვასაც, მაგრამ ნიშის მოწყობა საგანგებოდ ქანდაკებისათვის თითქმის უმაგალითო შემთხვევაა, — ქანდაკებაში ჩვეულებრივ — მაგალითად, დოლისყანასა, ოშკასა თუ ნიკორწმინდაში, — კედლის სიბრტყეზეა მოთავსებული.

მაგრამ თუკი X ს.-სა და მთლიანად ქართულ ხუროთმოძღვრებაში ტბეთის ხუროთმოძღვრის მიერ ფასადის ასე გაფორმება უცნაური ჩანს, თუ გავთვალისწინებთ ძველი ქართული ქანდაკების განვითარების იმდროინდელ მიმართულებას: გაცილებით უცნაურად ის მოგვეჩვენება, რომ მისმა იდეამ თანადროულ ხელოვნებაში გამოსხურება ვერ ჰპოვა და სამუდამო გამოიწილდა დარჩა. ცნობილია, რომ X ს.-ის სკულპტურაში ვლინდება პლასტიკური მოცულობის გამოკვეთის მისწრაფება, — იგი საუკეთესოდ ჩანს ტბეთისავე ქანდაკებებში, — და მოსალოდნელია, რომ ფა-

საღვრე განაწილებისას მას მოეთხოვა თავისუფალი სივრცის მონაკვეთი, უფრო მეტად სახარბიელო მოცულობის მოსამზადებლად, ვიდრე კედლის გულეი ზედაპირი. ამას თითქოს ხროთ-მოძღვრების იმპაინდელი მსატრული პრინციპებიც უწყობს ხელს, — ფასადები პლასტიკურად ნაწვერდება, ადრეულ ძეგლსა სადა გარე სახე ადგილის უთმობს მოძრავი ზედაპირების შექმნილ სურათს, კედლის სიბრტყიდან ამოზიდულია არა მარტო (როგორც ეს კლასიკურ ხანაში ხდებოდა) თავსართების სადა პროფილები, არამედ მრავალრიცხოვანი ნახევარსფერული, დეკორატიული, — ხშირად მრავალსფერულიანი — თაღები, ტალღოვანი კვეთის საპირფები. ერთი შეხედვით, არაფერი უშლის ხელს იმას, რომ ქართულმა ხუროთმოძღვრებამაც იმდაგვარი სახეებით არაბტექტონიკური ფასადები შექმნას, როგორც მონათესავე მსატრულ ზედაფეხ დაფუძნულმა XVII ს. იტალიურმა არქიტექტურამ. აქ კედლის გარე სიბრტყე, შეიძლება ითქვას, გაუქმებულია ათასგვარი შეზენქეთა და შეტყვებით, <sup>5</sup> — გავისხნოთი თუნდაც ფრანესკო ბორომინის სან-კარლო რომში, — ხოლო ასეთ, თითქოს გამოჩანდაკებულ, ფასადების შექმნის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად ნიშაც არის ხოლმე გამოყენებული. მაგრამ რეალურად ჩვენს საწინამდებლო რასემ ეხებათ — ქართული ოსტატები ვრდიდებიან ნიშების თუ არა, საუკუნოვლის მხარეს გამოყენებას და ნაქანდაკევი ტიტორნი, წმინდანები, ანგელოზები და ა. შ. კვლავ კედელზე არიან შევიდულნი.


იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქართველი ხუროთმოძღვარნი, რომელთათვის ნაგებობის გარე სახის შექმნის ძირითადი ელემენტია „უზნარმაზარი მთლიანი გლუვი ზედაპირის მქონე“ კედელია, ვერ ელენიან კედლის ზედაპირს, ვერ იმეტებენ მას. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ერთ-ერთი ყველაზე „გახსნილი“ ქართული საფასადო კომპოზიცია — სამთავროს ტაძრის სამხრეთის ფასადის ზედა ნაწილი. მის შუაგულში ორლილგე-შემოყოლებულ ფართო საპირფში ჩასმული ორმაგი სარკმელია მოთავსებული, აქეთ-იქით კი — სივანის დაახლოებით ნახევრის ტოლი ორი ნიშა. სამთავრს შემოყვება ორმაგი ლილგეებით შექმნილი და ორმაგსავე ნახევარსფერებზე დაყრდნობილი დეკორატიული თაღები, რომელთაგან შუა სიმაღლით სჭარბობს ორ დანარჩენს. სარკმლებიანი ცენტრალური არე დაზღაბებულია მის ზეგით მდებარე ფრონტონის სიბრტყესთან შედარებით, რომლიდანაც თაღნარია ამოზიდული; თანაც თაღების ქვემოთა და ნახევარსფერების ორივე მხარეს დარჩენილია ფრონტონის სიბრტყესთან გათანაბრებული კედლის მონაკვეთები. ჩაწეულ შუა არეზე კიდევ ერთი ცალი ლილგით შემოწერილი და შესაბამისად ერთ ნახევარსფერულზე შედგმული დეკორატიული თაღია მოცემული,

რომელიც იმეორებს ძირითადი თაღის მოხაზულობას. ასეთივე თაღები დაუყვება ნიშების ნახევარწრიულ დაგვირგნინებასაც. თაღებსა და სარკმლებს შორის დარჩენილი ოლე სამი მედალიონითაა შევსებული. ცენტრალური, ორმაგლილგეშემოღებულ განიერ საპირფში ჩადგმული, სარკმელთა საპირფების თაღოვან დაბოლოებებს შუაა მოქცეული. მისი ჩარისი გარე ლილგედან გამოედინება ორი, ორმაგი ლილგით შედგენილი ყულფი, რომლებშიც შეცურებულია სხვა ორი მედალიონი. ამდენად, შუა მონაკვეთის კომპოზიცია ეხმიანება მთლიანად ფასადისას — შუა მედალიონი სიმეტრიის ღერძისა და ამდლებული ცენტრის დანიშნულებას ასრულებს, როგორც გვერდის მედალიონებისა, ასევე სარკმლების მიმართაც და ამგვარად აქ მეორდება ფასადის ძირითადი სამი ელემენტის განაწილებით მოცემული რიტმი, სამწვერი მალღი შუა ნაწილი. ფასადის ეს ლილგითა კიდევ ერთხელ ედერს ნიშებში — მათ შიდა ზედაპირზე „შიდა“ თაღების ნახევარსფერებიდან განტოცილი ლილგები კვლავ სამ დეკორატიულ თაღს შემოწერენ, რომელთაგან შუა უფრო მაღალია. მთელი ეს კომპოზიცია, თანაც მშვენიერი, ძარღვიანი ჩუქურთმით დაფარული (სარკმელთა და მედალიონების საპირფები, ლილგებისა და ნახევარსფერების ბაზის—კაპიტელები, გრეხილი და „ფიფთები“), სიბრტყეთა დაპირისპირებაზე აგებული, რაც, თავის მხრივ, შუქ-ჩრდილის მრავალფეროვან ეფექტებს იძლევა — ჩრდილი ხან კონტრასტულ ლაქადაა ჩადგრილი განათებული, ე. ი. ამოზიდული ადგილის გვერდით, ხანაც თანდათან ეფინება ფორმას, — ფასადის ეს ნაწილი ოქრომქანდაკებლის ნახედავით კიაფობს მცის შუქზე.

სამთავროს სამხრეთის ფასადის დამუშავება თითქოს გადაჭრით უნდა უარყოფდეს ზემოთქმულ მოსაზრებას ძველ ქართულ ხუროთმოძღვრებაში კედლის ზედაპირის მიმართ სიფრთხილის შესახებ. მართლაც, მშენებელმა სიბრტყეთა შემდეგი მონაცვლეობა მოგვცა: ფრონტონის სიბრტყე მასზე დადებული თაღნარით; „შიდა“ თაღებით აღნიშნული დადაბლებული სარკმლებიანი არე და ნიშების წინა პირი; ამ სიბრტყეზე ჯერ ძლიერ ამოზიდული და შემდეგ კედელში ჩაღრმავებული სარკმლებისა და შუა მედალიონის საპირფები. — მედალიონის საპირფ კედელში ჩატარებულ თასს წააგავს, რომელშიც თვით იგი ძირის დანიშნულებას ასრულებს, და ბოლოს, კიდევ უფრო ღრმად შეჭრილი ნიშები. მთელი ამ სისტემის მათრავანიზედ ელემენტს წარმოადგენს უშუალოდ ფრონტონის სიბრტყეზე დადებული თაღნარი. მაგრამ, ამასთანავე, თაღნარი, მის თაღებს ქვეშა და ნახევარსფერების ორივე მხარეს დარჩენილი ფრონტონის სიბრტყის ზოლები და „შიდა თაღები“ ცალკეულ, სხვადა-


სხვა დონეზე განთავსებულ ფორმებად კი არ აღიქმებიან, არამედ ერთ საფეხუროვან ფორმად. ასეთ შთაბეჭდილებას განაპირობებს ის, რომ ყველა ლილვი-ნახევარსვეტი ერთნაირია — ეფეთებიანი გრებილი, — და ყველა ელემენტი, კედლის თავისუფალი მონაკვეთების ჩათვლით, ერთ დონეზე განლაგებული კაპიტელები აქვს, რომელნიც მათ ერთ კონად კრავენ. რადგან ამ საფეხუროვანი ფორმის ერთ-ერთი ელემენტი არის თავად ძირითადი სიბრტყეც, იგი მთლიანად მასთან მიმართებაში მყოფად, მისგან ერთგვარად დამოკიდებულად შეიგრძნობა. ამ ფორმის, ფასადის რიტმულ ფორმულას, მისი მეოხებით კი, ცხადია, ძირითადად სიბრტყესაც, უკავშირდება შემკულობის ყველა სხვა ელემენტი: სარკმელთა საპირეები და მედალიონების მიმარჩობა შიდა თაღის სიბრტყეში ხდება და როგორც მათი „ფონის“ ჩაღრმავება, ასევე მოცულობათა ჩაწევა-ამოწევა ამ სიბრტყის მიმართ ხდება, თითქოს თვით სიბრტყე დაბლდება და მაღლდება. ნიშების შიდა კედელზე შემოვლებული თაღების მეშვეობით უკავშირდება საფეხუროვან თაღნარს ნიშებიც, — თაღები გამოედინებიან შიდა თაღის ერთ ნახევარსვეტს და უერთდებიან მეორეს. ნიშის ზედაპირიც თითქოს ერთ-ერთ მათგანთან იწყებს მომრგვალებას და, შემოწურს რა ნახევარწრეს, კვლავ მეორეს უერთდება. კომპოზიციის სიბრტყეზე წაკითხვისასვე გვიბიძგებს მისი განმეორებადი რიტმით განსტევაღაც, რაც გვარანახობს მის ერთიანი ზედაპირის დანაწევრებად აღქმას.

ამრიგად, უსაფუძვლო არ უნდა იყოს იმის მტკიცება, რომ, მიუხედავად მთელი პლასტიკური მრავალგვაროვნებისა, სამთავროს სამხრეთის ფასადის კომპოზიცია არ კარავს კავშირს კედლის სწორ ზედაპირთან, იგი რჩება მისთვის ათვისის წერტილად. აქ, ასე ვთქვათ, თვით ზედაპირია დინამიზებული, ამოძრავებული, პლასტიკურად დამუშავებული, მაგრამ იგი არ გამჭრალა, არ დაუკარავს არც კედლის წინა პირისა და არც სისწორის თვისებას. ეს კიდევ უფრო ცხადი გახდება, თუ სამთავროს გვერდით წარმოვისახავთ ახალი დროის ევროპულისა ან რომაულ-გლინის-ტური ბაროკოს ნიმუშებს, ანდა, ნაკლები, სირიულ ბაზილიკებს, ქალღ-ლუშესა თუ ტურმანინს, სადაც ფასადთა შემამკობელი ნახევარ-სვეტები, უკვე მთელს სიბრტყესთან შევარდებით დიდი ზომებისა და ძლიერი მომრგვალების გამო არა კედლის ნაწილებად, არამედ მისგან დამოუკიდებელ ერთეულებად გვევლინებიან და ეცილებიან კიდევ მას მხატვრულ შთაბეჭდილებაში წარმართულ ადგილს, მის მიჩქალავს ლამობენ. ეს სხვაობა შეიძლება ასევე გამოითქვას: სამთავროში მოძრაობს კედლის ზედაპირი, ხოლო რომის ბაროკულ ცკლესიებსა თუ ბაზილიკების ტაძარში — კედლის მასა. ამრიგად, — ნიშებიც საათ-



ტბეთის ტაძარი X ს. სამხრეთის ფასადი.

სამთავრო. XI ს. სამხრეთის ფასადი



აგროს ტაძრის სამხრეთის ფასადზე უნდა განვიხილოთ არა როგორც კედლის ზედაპირის გარღვევა, არამედ ვითარცა ცხოველბატული ზედაპირის „მოძრაობის“ შედეგი.

მაგრამ ფაქტია ისიც, რომ წრომის ტაძრიდან მოყოლებული, ქართული ეკლესიის ერთი დამახასიათებელი ელემენტია აღმოსავლეთის ფასადის გეგმაში სამკუთხა ნიშები, ხოლო უძველეს ნიშებთან ტაძრებში, — წრომისა და სამშვილდში, — აქ, როგორც გეტყობა, ქანდაკებზე იყო მოთავსებული. 7 პირველ რიგში ისაა გასავალისწინებელი, რომ აღმოსავლეთის ფასადის ნიშები თავისი ფუნქციითა და როლით ტაძრის მოცულობის დანაწევრებაში სრულებით განსხვავდება იმ საფასადო ნიშებისაგან, რომელთა დანიშნულება კედლის სიბრტყის გაცოცხლებით ამოიწურება. ცნობილია, რომ მათ ევალებოდა საკურთხევლის კედლის წყობის ჭარბი მასისაგან განტვირთვა, ხოლო ტაძრის გარედან აღქმისას ისინი, გამოიჩინებენ რა შუა ავსილის შეპატკუნის კედლის მონაკვეთს, საკურთხევლის სამხაწილიანობასაც გამოხატავენ.<sup>8</sup> ამდენად, ეს ნიშები განსაზღვრულნი არიან შენობის კონსტრუქციითა და სივრცის აღნაგობით, ერთს გაუმჯობესებასა და მეორის გამოვლენას ემსახურებიან, ე. ი. მიზართუზაშა მთლიანად შენობასთან, და არა მარტოდენ ფასადთან. მაგრამ კედლის ზედაპირის მნიშვნელობა ამ შემთხვევაში შენარჩუნებულია. ამ მიზრივ მიუხედავად სტილისტური ცვლილებებისა და ცალკეულ გადაწყვეტათა ინდივიდუალობისა, არ არის პრინციპული განსხვავება წრომისა და XIII ს.-ის რომელიმე ეკლესიას შორის. კედლის ზედაპირისადმი ნიშის დამოკიდებულება უკვე მოტივის პირველი გამოყენებისას, წრომის გენიალური ხუროთმოძღვრის მიერაა გამოკვეთილი. წრომის აღმოსავლეთის ფასადზე, ისევე როგორც ეს მუდამ იქნება შემდგომ, კედლის სწორი ზედაპირი — ნიშების ორივე მხარესა და მათ შვეით — დიდად აღემატება ნიშებით ახდლის, ასე რომ, ბუნებრივია მათი ზედაპირზე პროექცირება, მის ნაწილად მიჩნევა, მით უმეტეს, რომ ეს კავშირი სხვაფრივაცაა განმტკიცებული. ნიშების კედლის ძირითად ზედაპირზე „აჩრებეს“ უშუალოდ მასში ნაწყობი ნიშების თაღოვანი ღაგვირგვინება. ასევე წყობითაა გამოყვანილი ნიშების შემართებელი დეკორატიული თაღიც, რომელიც ფასადის ცენტრალურ, ოდნავ ჩაღრმავებულ მონაკვეთს ეკვლება, თანაც სამივე თაღი ეყრდნობა წყობის ძირითადი ზედაპირის სიბრტყეში მდებარე ზოლებს, — ნიშები, ამდენად, კედლის პირზე „იწყება“. დიდი მნიშვნელობა აქვს ნახსენებ დადაბლებულ არეებს. მისი და ძირითადი სიბრტყის დინეთა სხვაობა საკმარისად უმნიშვნელოა იმისათვის, რომ თვალმა ისინი ერთიანად წაიკითხოს, მაგრამ, მეორეს მხრივ კი, შუალედურ საფეხურს ქმნის კედლუს

და ნიშების შორის, თითქოს ამზადებს სიბრტყის კიდევ მეტად დადაბლებას და ამის მემშვეობითვე კიდევ ერთხელ აღინშავს მივილი ფასადის ერთი სიბრტყისადმი დაქვემდებარებას. საყურადღებოა ისიც, რომ ნიშების უკანა კედელი ძირითადი ზედაპირის პარალელურია, მის წინ კი დამატებით ორგანო ფორნტალური სვეტია დადგმული. ფორნტალურობის ამგვარი ხაზგასმით ნიშა სიბრტყედ ჩანს, ამოდის კედლის პირზე.

სხვანაირად, მაგრამ არანაკლებ კატეგორიულად განახორციელებს ნიშების კედლის ზედაპირისადმი დამორჩილებას ცხოველბატული სტილის ხუროთმოძღვრებაც. თუკი წრომში ნიშები წინა სიბრტყეზე მიმაგრება მხატვრული ხერხებით მხოლოდ ცენტრალური სამწვერის შიგნით ხდებოდა, ახლა ნიშები ჩახლართულია ფასადის მთლიან მოთრულობაში. თუ განსაკუთრებით კარგად იქა ჩანს, სადაც თაღთანაა გამოყენებული; ჩვეულებრივ იგი ხუთი ფასადის შუაგულისაგან სიმაღლით მზარდი თაღისაგან შედგება, რომელნიც ხშირად (XI ს.-დან უკვე შემორჩევილი), ლილვების კონებისაგან არის შედგენილი. ხუთი თაღიდან ორი ნიშებს შემოუყვება და შემდგომ შუა თაღში გადაიზრდება; მათი ამოკვეთა მთლიანი დინებისად შეუქმნებელია, ამდენად — კი ნიშები ჩართული არიან ძირითად ზედაპირზე განვითარებულ ხაზთა რტკში, რომელიც, ისევე როგორც შემოგანხილულ სამთავის სამხრეთის ფასადზე, კედლის აღნიშნული ფონის სიბრტყისაგან გამოუცალკევებდა. სამთავისის აღმოსავლეთის ფასადზე, რომლის დეკორი მომდევნო ორასი წლის განმავლობაში საკურთხევის გარე სახის გაფორმების ფორმული ფორმულია იყო, შემკულობის ყველა ელემენტის ურთიერთგამოუყოფადობა მაქსიმუმამდე მიყვანილი და სხვა დანარჩენთან ერთად ეს ნიშებზედაც ითქმის, ისინიც ჩაქსოვლინი არიან მთელი კედლის მომცველ დეკორაციულ სისტემაში. ბოლოს, აღსანიშნავია ისიც, რომ უფრო ხშირად აღმოსავლეთის ფასადის ნიშების კუთხე ისეა ხოლმე გადაშლილი, რომ აგრეთვე უწყობს ხელს მათ სიბრტყეზე აღქმას.

ზემოთ ნახსენები იყო, რომ წრომისა და სამშვილდის ტაძართა საფასადო ნიშებში, როგორც ჩანს, ქანდაკებები უნდა მდგარიყო. სამწუხაროდ, არავინ იცის თუ როგორი იყო ეს ფიგურები და რას გამოხატავდნენ ისინი, მაგრამ, ძველთა მხატვრული წყობიდან გამოდინარე შეიძლება ვიფიქროთ, რომ ასეთ, ფორნტალურად გააზრებულ ნიშებში ფორნტალურივე ფიგურები იქნებოდა, რომელნიც აგრეთვე შეიტანდნენ წვლილს ნიშების კედლის ზედაპირისადმი დამორჩილებაში. მართლაც, თუ ისინი ფორნტალურად ვივარაუდებ (თუნდაც ტბითის ტაძრის ქანდაკების მსგავსად), ისინი ძირითადის პარალელური სიბრტყის შემქმნელად უნდა წარმოვიდგინო



სენ-ტროფიმის ეკლესია არშში. პორტალი

ნით, რაც კიდევ უფრო გააძლიერებდა ნიშების სირტყობორგ ხასიათს. ამასთანავე, ქანდაკების მოცულობა შეაყვანდა ნიშის ღრუს და არც იმ მიჯრე ნიშას გამოაჩინდა, ორმაგი სვეტის თავზე რომ არის ამოღებული და ახლა ნიშის კედლის პლასტიკურ მოტივად განიცხადება, მაშინ, როდესაც სულამდებელი მისი ერთადერთი დანიშნულება შექმნას ადგილი ქანდაკების დასადგმულად. ქანდაკებები აქ, ადრინდელ უახლოვემენ ნიშის უკანა კედელს ფასადის ზედაპირს, მათს კიდევ ერთ შემაკავშირებელ ელემენტად გვევლინებიან.

იმავეს ვხედავთ ტბეთის ტაძარშიც, თანაც კიდევ უფრო აშკარად. ფორნტალური ქანდაკება ავსებს ნიშას კედლის პირამდე და ფაქტიურად ჩაწრილია ფასადის ზედაპირზე; მაგრამ, მიუხედავად ამისა, ტბეთის სამხრეთის ფასადზე ნიშის ამოღება კედლისადმი პირინკობულად სხვა მიდგომას მოასწავებს. იგი არ არის, აღმოსავლეთის ფასადის ნიშათა მსგავსად, გასორბებული ნაგებობის სივრცით-ჟონსტრუქციული სტრუქტურით, მისი მოწყობა არც რაიმე საკანგებო საჭიროებითაა გამოწვეული, — იგი მხოლოდ სამკაულია, მხოლოდ ქანდაკების სამყოფელია, განსხვავდება იგი სამთავროს სამხრეთის ფასადის ნიშებისაგანაც, რომელნიც, ჩართულნი საერთო ხაზოვან რიტმში, ამასთანავე, შედარებით მეორეხარისხოვან როლს თამაშობენ. ტბეთში ნიშა გამოყოფილია თავისი ადვილმდებარეობით ფასადის შუაგულში, თანდარის შუა წერტილზე და მასში წონდანისა თუ ტაძრის აღმშენებლის გამოხატულება დასველებული, ე. ი., მას გარკვეულ შინაარსობრივი მნიშვნელობაც აქვს. შეიძლება ითქვას, რომ ქანდაკებანი ნიშა ტბეთში, თუმც კვლავ დაქვემდებარებული კედლის ზედაპირს, პოტენციურად, უკანასკნელისაგან დამოუკიდებელი, კედლის სიღრმეში შეჭრილი სივრცის მონაკვეთია, რომელიც სამხრეთ მანძი (ფოტოსურათის მიხედვით, ქანდაკება ზურგიან შეერთებულია ნიშის უკანა კედელთან) უკულის მასში მოთავსებულ ფიგურას. თუ წარმოვიდგინებ მოტივის შესაძლებელ განვითარებას, ცხადი გახდება, რომ სეკულატურულობის (სიტყვის სპეციალური მნიშვნელობით) მატების კვალისაზე, რაც გარდუღალი ჩანს X—XI სს-ში, სულ უფრო და უფრო გაიზარდება ნიშის მოცულობა, აქედან გამოიღინარე კი — კედლის გადახსნილი ზედაპირის ოღონობაც. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ X—XI სს-ში თანდათან ყალიბდება ფასადთა სეკულატურული დეკორის განსაზღვრული პროგრამის სისტემა,<sup>9</sup> უნდა ვიფიქროთ, რომ ნიშაში ჩადგმული ქანდაკების ქართულ ხელოვნებაში გადაკიდრებას ხუროთმოძღვრების ძირფესვიანი გადახლისხემა უნდა მოეთხოვებინა. ძნელი სათქმელიც კია, თუ რა სახეს მიიღებდა, მავალითად, ასეთი გადაწყვეტილის ნივთარსის ტაძარი ან სვეტიცხოველი. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ

ქართული ტაძრის ფასადი, როგორც იგი ისტორიულად ჩამოყალიბდა, ვერ შეურიგდებოდა მრგვალ ქანდაკებას, თუ არა თავის თავზე უარის თქმით, თავისი თავის გაუქმებით. ასე რომ, ტბეთის ოსტატის მხატვრული ექსპერიმენტის აუთვისებლობაში გარკვეული ლოგიკა ჩანს; ამ, ერთი მუხედვით დიხაც უცნაურ ფაქტში ვაოსსტავინის ქართული ხელოვნების ერთი იმ თვისებაგანაინ, რომელნიც იმდღეინა, საბოლოო ჯამში, მის განუმეორებლობას, ვლინდება ერთ-ერთი მხარე იმისა, რასაც ფორმის ერთგული განცდა უნდა ეწოდოს.

საინტერესოა ამ კუთხით ქართული ხუროთმოძღვრების რომაულ არქიტექტურასთან შეპირისპირება, რომლის ერთ ნიშნად კედლის-გარე სიბრტყის სიმტკიცე უნდა ჩაითვალოს. აქ ჯერ კიდევ ადრე რომანულ ძეგლებში ისახება ტაძრის ერთ, რამოდენიმე ან ყველა ფასადზე შემოყოლებული მცირე და ვიწრო გაღრვებები, რომლებიც თავდებითაა გახსნილი (შვიების ტაძარი, ნვერის ს. ეტიენა—XI ს. შუა ხანა). ეს ფორმა შემდგომი გავრცელება პივეტი გამოიყვებოდა და გვიან რომანული სტლის კვლესებშიც — მავალითად, ნოტრ-დამ-დიუ-პორტ კლერმონფრანს-ში (1100 წ. ახლოს) მანცის ტაძარი (1100 წ. ახლოს), ლაპის წმ. მარიაშის ეკლესია (XII ს.), მოდენას (1106 წ. დაწყებული), პიაჩენცას (1122 წ. დაწყებული), კრემონას (1129—1141), მურანოს (1140 წ. ახლოს), ტაძრები, შვარკვიანდორფის (1150 წ. ახლოს), კიოლნის XII—XIII სს. მიჯნის მოციქულთა ეკლესია, ფორმის ტაძარი (1234 წ. შემდეგ), XIII ს. შუა ხანების იტალიური ტაძრები (ლუკა—ს. მარტინო და ს. მიჰელე, ს. პაოლო დი რიპი დ'ანო)<sup>10</sup> და სხვა. ყველა ჩამოთვლილ ძეგლს, მისუხედავ უამრავი და მშორად პრინციპული ხასიათის განმსხვავებული ნიშნებისა, აერთიანებს ერთნაირი დამოკიდებულება საფასადო კედლის ზედაპირისადმი. შთაბეჭდილებას უთუოდ განსაზღვრავს (მეტადრე ადრეულ ძეგლებში) კედლის მკაცრი, ზოგჯერ საერთოდ დაუნაწევრებელი ზედაპირი, რომლის შუა წელსა თუ ზედა ნაწილში გაღვრება შემოსალტული მისი თავების სიბრტყე უსუსტად ემთხვევა კედლისას, ხოლო ფონად მათ კვლავ კედლის სიბრტყე აქვთ, ცოტად თუ ბევრად დამორბებული თაღებისაგან. თაღები, ამგვარად, ისაბტა სწორ ზედაპირზე, რომელიც მათი პარალელურია; კედელი და მისი ფორნტალურობა ამ შენისხევაშიც დაყვლია, მაგრამ თაღების, ე. ი., კედლის ძირითადი ზედაპირისა და მათ უკან მდებარე კედლის სიბრტყეები გამოყოფილია. არის ერთი ფორნტალური მოცულობა, რომელშიც ორი დინეორი ზედაპირი გაინიჩნება. თაღების უკან თავსებული ზედაპირი აშკარად სხვაა, ვიდრე კედლის წინა პირი, მათ არაფერი აკავშირებთ, გარდა პარალელური დინებისა, — არც ფაქტიურად, არც ფორმალურად. თაღების რიგი, აგრი-



ნოტრ-დამ გრანდის ეკლესია პუატეში



იტალია. სან-მავლეს ეკლესია-ალკაში

ლებს რა მთავარ სიბრტყეს, უზრუნველყოფს მის უწყვეტობას და ამით მთლიან მოცულობის მთლიანობას. მაგრამ ამით არ უქმდება მის უკან მდებარე სიბრტყის შედარებით დამოუკიდებლობა, თუმცა ისიც, იძლევა რა თავლებისაჟვის ყრუ ფონს, მონაწილეობს შერნობის ბლოკის ერთიანობის შენარჩუნებაში. ამგვარად, იქ გვაქვს შეუვალი ბლოკი, ურღვევი კედლის მასა, რომელიც შეიძლება პარალელური ზედაპირებით იყოს აგებული. ქართული ხუროთმოძღვრებისათვის ასეთი მიგნება მიუღებელი ჩანს: იგი ქმნის ერთ ზედაპირს, რომლის ჩაწყვა-ამოწყვა ვერაფერს ცვლის და იგი ერთ სიბრტყედ რჩება, კედელი ზედაპირების უწყებად არსად და არასდროს იშლება. რომაული ტაძრის ფასადის ზედაპირთა შორის ინტერვალი თითქმის კარნახობს აქ მრგვალი ქანდაკების დადგმას, თუმცა რეალურად მსგავსი თაღდებვის სკულპტურით შევსება მხოლოდ მოგვიანებით, უკვე გუთური სტილის არქიტექტურაში ხდება (მაგ., რემისისა და ამიენის ტაძრებში), მაგრამ გალერეა რომანულ ხუროთმოძღვრებაში კედლის ზედაპირებად დაშლის ერთადერთი საშუალება როდია, და შემოსხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ რელიეფურითა და სტატუარული ქანდაკებაც სწორად სწორედ იქ იყოს თავს, სადაც სიბრტყეთა მიმდევრობა ისახება. ერთი ასეთი ხერხი გამოყენებულია პუკატუს ხუროთმოძღვრებაში: ფასადი გახსნილია ორ ან სამ რეგისტრად განლაგებული დიდი თავების მწკრივებით, რომელნიც კედლის უკან სიბრტყეს ეჯახებიან და სწორკუდა ნიშებს ქმნიან; არსებობდა აქაც გვაქვს ერთი უწყვეტი, ფორმტალური, ერთმანეთის პარალელური ზედაპირი. ნიშებში, რიგ შემთხვევაში, ქანდაკებებია დაყენებული (Civray, ნოტრ დამ ლე გრანდ პუატეში — XII ს.)<sup>11</sup>. ამავე და პუკატუს სხვა ეკლესიებშიც გვხვდება კიდევ ერთი სივრცითი ფორმა — პერსპექტიული პორტალი, — რომლის თაღები Civray-სა, Echillai-სა და Aulnay-ში<sup>12</sup> რელიეფებითაა შემკული, მიუღეს ევროპულ ხუროთმოძღვრებაში კარგად ცნობილი, ეს ფორმა, გუთური ხელოვნების ეტაპზე ინტენსიურად არის ხოლმე შემკული მრგვალი ქანდაკებით, რომელიც თანდათან გამოეყოფა კიდევ სხვებს. ასევე სივრცითია ქანდაკებით უხვად შემკული პროვანსის ეკლესიების პორტალებიც — მაგ., არლის სენტ-როფების (1170—1180 წწ.) პერსპექტიული პორტალი, რომლის წინა სიბრტყე თავის მხრივ ორ ზედაპირადაა დაყოფილი და აქ მრგვალი ქანდაკებები დგას.<sup>13</sup> ამ ფორმათა არსებობა ისევე დამახასიათებელია რომანული ხუროთმოძღვრებისათვის, როგორც ქართულისათვის, ვთქვათ, პერსპექტიული პორტალის არარსებობა, — ეს არსებითი მომენტების გამოვლენაა, რომელიც ამა თუ იმ ხელოვნებას მთელი მისი არსებობის მანძილზე ახლავს სტილისტური ცვლილებებისაგან დამოუკიდებლად და უკანასკნელთა საფუძველსაც ქმნიან.<sup>14</sup>

კედლის ზედაპირისადმი ქართული ხუროთმოძღვრების დამოკიდებულების თავისებურება კარგად ჩანს მამპადინურ არქიტექტურასთან შედარებისასაც. მამპადინური ხელოვნებისათვის ჩვეულია კედლის ვივებურთელა სიბრტყეები, სწორად ორნამენტული სახეებით დაფარული. უპირველად განიხილოთ ორნამენტი ფიფინეა სიბრტყე და მნახველში, რომლის მზურა ძიყვერა ნახატის ხლართებს, შეველად ამართული მოხატული აპკის შეგრძნებას ბადებს. კედლის გარე სიბრტყე აქ, ასე ვთქვათ, აბსოლუტური ზედაპირია, რომელიც, ურელიეფთა და თავის მიღმა აღარაფერს გულისხმობს, ნაგებობა თითქმის ავტონომიური ზედაპირებისაგანაა შედგენილი. მასწინაც კი, იმდენსაც სივრცითი კომპოზიცია გვაქვს. მაგ., ბემთაქი, ეს არის დიდრინი ზედაპირების შეერთებით მიღებული სივრცე, ლოკია თითქმის მათი შემოყვევით წარმოიქმნა. სამანტურისა, რომ ზედაპირის ასეთ აბსტრაქტულობას ინარჩუნებენ ის ნაგებობანიც, სადაც კედელი პლასტიკურადაა დამუშავებული. ასე მაგალითად, ბუხარის სამანდათა აღმწებულ ძეგლებში, თუნდც კალიანის ცნობილ მინარეთში, ზედაპირი კედლის პირზე აგურის გამოტოვების შემთხვევით ჩაწყვეტილი და ამოხიდილი მონაცვლეობითაა შედგენილი, მაგრამ აქაც, ბოლოს და ბოლოს, იქმნება მუქი და ღია ფერის ზედაპირების მორეგობის ორნამენტული ფეხქატი და პლასტიკური ძერწული შთაბეჭდილების მაგიერ დაგრაფული ხალიჩისებური ზედაპირის განცდა ჩნდება. ქართულ ხელოვნებაში კედლის ზედაპირი ამ სახით სრულიად წარმოუდგენელია. ქართული ტაძრის საფასადო სიბრტყე პირველ რიგში კედლის პირია, რომელიც ვერ იარსებებს მის უკან მყოფი მასის გარეშე, ზედაპირი იმედანსწინებს მესამე განზომილებას და კედელი იმდენადვე მისი კუთვნილება, როგორც იგი — კედლისა. სწორედ ამით აიხსნება კედლის ზედაპირის აქტივობა, მისი უნარი შეიყოფის სივრცე და ამავე დროს თავად შეულახავი დარჩეს, მისი ელასტიკურობა და ამასთანავე სიმკაცრე. კედლის ზედაპირის აღმოსავლური განცდა, აბაობა, გაცილებით უფრო უცხოა ქართვლი ოსტატისათვის, ვიდრე დასავლეთევროპული, მაგრამ იგი ვერც ამ უკანასკნელსავით ფანა-ფნა აგებას შეეძლება და ვერც XVII ს. ბანაკოელი ხუროთმოძღვრებისნაირად, ფასადს, რომელიც, თითქმის, მის წინ გაშლილი სივრცის მოწოდებითაა ჩაქველდი; ქართული ტაძრის გარე სახე ყოველთვის შიდა სივრცის შემომფარავლი და შემომწვლადია, ამდენად კი მას არა პლასტიკური მასის სირბილვე შემწევის, არამედ სიმტკიცე და გარკვეულობა.

შეიძლება დავსვას კითხვა, — ხომ არ ითამაშა ქართული ხუროთმოძღვრების ამ თვისებურებაში, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, გარკვეული როლი შუა საუკუნეების ქართული პლასტიკის ბედ-იღბალში. ცნობილია, რომ გამოქანდაკებული



ბუხარა, კალინის მინარეთი



სამარყანდი, მაგდალენი

კამბოსხელში ტაძრის ფასადებიდან XI ს. პირველი მესამედის აქეთ ჩრება,<sup>15</sup> თუმცა ქანდაკების განვითარება საუკუნის ნახევარამდე მიანც გრძელდება, რისი დამამტკიცებელიცაა 1027 წ. შემდეგ შეწირული მარტვილის საწინამძღვრო ჯვარი.<sup>16</sup> ნიშანდობლივია ისიც, რომ უკანასკნელად სკულპტურით უხვად მორთულ ტაძრებში, რელიეფები სკულპტურულობის (გვლავ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით) ხარისხით ჩამორჩებიან მცირე ხელოვნების ძეგლებს და ყოველწინადა არიან შეგუებული ფასადის სიბრტყესთან.<sup>17</sup> მაგრამ თუკი ხუროთმოძღვრება ვერ შეესაბამება ძლიერ მომრგვალებულ ფიგურებს, შევძლო კი ქანდაკებას, რომლის ახალი პლასტიკური ამოცანები უკვე დიდ ზომებსა და რაც შეიძლება მაღალ რელიეფს ითხოვდა (გავისხენით თუნდაც ბოჭორმის წმ. გიორგის ხატი, რომლის პლასტიკა იმდენად ძალიანია იყო, რომ მისი რელიეფურობის ზეგავლენას გვიანი ხანის ადამგენუმაც ვერ დააღწია თავი და შეძლებისამებრ გამოიყვანა კიდევ იგი),<sup>18</sup> მუდამ დათმობაზე წავსვლა? სულ არაა გასაკვირი, რომ ამ შინაგანი კონფლიქტის შედეგი იყო ქანდაკების ფასადებიდან მოშორება, სკულპტურულ დეკორულ უარის თქმა. ამასთანავე, მართლმადიდებელი ეკლესია ვერ დაუშვებდა ტაძრებში ქანდაკების სახის ხატების დასვენებას, ხოლო რელიეფი კი სულ უფრო იქ-

ცოდა ქართული პლასტიკისათვის, გარკვეული მნიშვნელობით, განვლილ ეტაპად. თუ მხედველობაში იმასაც მივიღებთ, რომ ჩვენი არ არსებობდა არც სკულპტურული საფლავის ძეგლისა თუ შადრევანის ტრადიცია, ხოლო ერთადერთი დარგი, რომლის მეოხებითაც იგი შეიძლებოდა დამოუკიდებელი გამხდარიყო, — სახელდობრ ხუროთმოძღვრება, მას ვერ იცუვებდა, ნათელი შეიქმნება, რომ ქანდაკებას არ აღმოაჩნდა სამოღვაწეო ასპარეზი და იგი ჩიხში უნდა მოქცეულიყო.

რა თქმა უნდა, ჩვენი მსჯელობა არ გულისხმობს განხილული თვისების რაიმე შეფასებას. რაოდენ დასანანებელიც არ უნდა იყოს, — თუკი ქართული ხუროთმოძღვრების ეს ნიშანი—ძველი ქართული ქანდაკების აღმავლობის უცვარი შეწყვეტა მართლაც შეიძლება მისი განვითარების ერთ-ერთ ფაქტორად მივიჩნიოთ, ეს არ გვაძლევს უფლებას აღნიშნული თავისებურების „ვაკარგოთ-ნიშნაზე“ ვილაპარაკოთ. იგი იმ თვისებთაგანია, რომელიც შეფასებას არ ექვემდებარებოდა, — უბრალოდ არსებობდა, — და თუ არის კიდევ საჭირო მისი „დაცვა“, მას გააჩნია ის ერთადერთი გამართლება, რომელიც მოთხოვნიდა ნებისმიერ მხატვრულ პრინციპს — მას ეფუძნებოდნენ და სულში ატარებდნენ კარგი, დიდი და გენიალური ოსტატები.

რომი. სან-კარლოსის ეკლესია 1662-1663



**შენიშვნები:**

<sup>1</sup> „პაროკოს“ ცნებას აქ, ცხადია, არაფერი აქვს საერთო ევროპული ხელოვნების იმ პერიოდთან, რომელიც ამ სახელოვნებოთა ენობიო. იგი ნახშირა მხატვრული ფორმის „აგების“ ერთი წესის აღსანიშნავად, როგორც სიტყვა „ცხოველხატული“ — თანაც უფრო მაკლასიმიკული — სიონიში.

<sup>2</sup> А. М. Павлинов. «Христианские памятники». МАК, IV, М., 1893, табл. XVI; Н. Я. Марр «Дневник поездки в Паванию и Кладжетто», СПб., 1911, рис. 3, стр. 20. N. et M. Thierry «Notes d'un voyage en Géorgie Turque» Bedi Kartisa, XXV, Paris, 1958, უკანასკნელი გამოცემა ირკვევა, რომ საუელის დასაწყისში თითქმის მთლიანად დაუზარაველ ტბეთს ტაძრს დღეს გემგაით აღაჩა აქვს. შელახულია ფასადებიც, მუსტარე ქვედა ნაწილები. საბუნდობლოდ, ჩვენთვის სინტრეტუსო ქანდაკება გადარჩა განადგურებას.

<sup>3</sup> Н. Я. Марр. დას. ნაშრომი, იქვე;

<sup>4</sup> ამოტ კუხის ქანდაკების გამო იხ. კ. მანაგელი „ამოტ კუხის რელიეფი ტბეთიდან“, „მაცნე“, 1968, № 5, თბ., გვ. 150—162;

<sup>5</sup> ე. ი. აქ აღარა გვაქვს სწორი ზედაპირის მქონე ეტელი, როგორც გარკვეული მოცულობის ერთი პირი. ფასადი შედგენილია ზედაპირებიდან, რომელიც სტადისება მოცულობების ამონაჭრებად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ.

<sup>6</sup> Г. Н. Чубинашвили «Архитектура Кахети» Тб., 1959, стр. 608.

ჩუბინაშვილის სწორედ ეს დებულება იყო ჩემთვის ამოავალი და ეს წერილი კი სხვა ავტორია, თუ არა მისი ვაერტელება-განმარტების ეტაპად.

<sup>7</sup> Г. Н. Чубинашвили «Цроми», М., 1969, стр. 50; Н. Г. Чубинашвили «Самшвилдский Сино», Тб., 1969, стр. 22.

<sup>8</sup> Г. Н. Чубинашвили, დას. ნაშრომი, стр. 49.

<sup>9</sup> ნ. აღადაშვილი, „ნიუორშინდის რელიეფები“, თბ., 1957 წ., გვ. 54;

<sup>10</sup> P. Franke. «Die frühmittelalterliche und romanische Baukunst Bürger's Handbuch der Kunstwissenschaft, Wildpark-Potsdam, 1926; Abb. 117, 161, 198, Tat. V. Abb. 242-245, 251, 258, 278, 306, 310, 326, 329.

<sup>11</sup> P. Franke, დას. ნაშრ. Abb. 183, 191; 12. P. Franke, დას. ნაშრ. Abb. 189, 194;

<sup>12</sup> საფრანგეთის სხვა პროვინციებში შვ. Gensched, იქვე; Abb. 210; გერმანიაში — მაგ. Knisteden (1188 წ.), Abb. 234; იტალიაში — მაგ. Ferrara (1135 წ.), Abb. 255.

<sup>13</sup> იქვე; Abb. 297.


<sup>14</sup> საეკლესიო ისიც, რომ ეკლესიის ყველა ფასადზე სამკეთხა ნიშების გამოჩენა ეპიზოდური გამოდგა და XII ს. II ნახევრის ძველია მცირე ქალაქითი შემოსილობრა — თბილისის მეტეხი და ედელთი შემოსილობრა, ერთაწინადა, მაგრამ აქაც მათი ზომა და სიღრმე იმდენად უმნიშვნელია, რომ ფასადის გლუმ ზედაპირს ისინი ამკარად ვერ უქმლავლიან.

<sup>15</sup> ნ. აღადაშვილი, დას. ნაშრ. გვ. 92.

<sup>16</sup> Г. Н. Чубинашвили. «Грузинское чеканное искусство» Тб., 1959, стр. 60—66.

<sup>17</sup> ნ. აღადაშვილი, დას. ნაშრ. გვ. 68.

<sup>18</sup> Г. Н. Чубинашвили. «Грузинское...», стр. 429—440.



ნარიყალას შემორჩენილი ფრამენტება წაყვისის წყლის მხრიდან

# რა გედი ელის კველ თბილისს?

თენგიზ კვიციანი

ბანშენი „ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ“ მიმდინარე წლის აპრილიდან ძალაში შევიდა. კანონის მუხლებში ასახულია ხალხის ისტორიული მემკვიდრეობისადმი საბჭოთა სახელმწიფოს დამოკიდებულების ლენინური პრინციპები. ამასთან, კანონს საფუძველად უდევს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის უახლესი მეცნიერული კონცეფციები. კერძოდ, მე-5 მუხლში მოკლედ არის ასახული თუ რა იგულისხმება ძეგლის ცნებაში. მოვიყვან ერთ ნაწყვეტს, რომელსაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს განსახილველი საკითხისათვის. აქ აღნიშნულია,

„წარსულის ძეგლები იმდენად ცალკეული პიროვნების ქმნილება არ არის, რამდენადაც მთელი საზოგადოების ნაწარმოებია: ეს უფრო მეტად ხალხის მეცადინეობის შედეგია, ვინც გენიოსის ბრწყინვალე აგებნისა: ეს ნაღველი ფენა, რომელსაც ერი ტოვებს, საუკუნეების მანძილზე წარმოქმნილი დანარჩენებია...“

ვიქტორ კიუპო

ლაღ უდევს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის უახლესი მეცნიერული კონცეფციები. კერძოდ, მე-5 მუხლში მოკლედ არის ასახული თუ რა იგულისხმება ძეგლის ცნებაში. მოვიყვან ერთ ნაწყვეტს, რომელსაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს განსახილველი საკითხისათვის. აქ აღნიშნულია,

რომ ქალაქთმშენებლობისა და არქიტექტურის ძეგლებს განეკუთვნება: „არქიტექტურული ანსაზლები და კომპლექსები, ისტორიული ცენტრები, უბნები, მოედნები, ქუჩები, ქალაქებისა და სხვა დასახლებული ადგილების ძეგლი და გეგმარებისა და განაშენიანების ნაშთები, სამოქალაქო, სამრეწველო, სამხედრო, საკულტო არქიტექტურის, სახლური ხუროთმოძღვრების ნაგებობანი, აგრეთვე მათთან დაკავშირებული მონუმენტური სახვითი, დეკორატიული-გამოყენებით, ბალ-პარკების ხელოვნების ნაწარმოებები, ბუნებრივი ლანდშაფტები“ (ხაზგასმა ჩემია — თ. კ.). ამგვარად, ისტორიულ ძეგლს განეკუთვნება არა მარტო ცალკეული მონუმენტური ნაგებობები ან გამორჩეული ანსაზლები თუ კომპლექსები, არამედ მათთან ერთად ისტორიული უბნები, ქუჩები, ძველი და გეგმარების ნაშთები, ბუნებრივი ლანდშაფტები. სამართლებრივი კანონი შესაძლოა დებულებას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გამართულ მსოფლიოს სპეციალისტების არა ერთ ყრილობის განხილვის საგანს წარმოადგენდა. ძველის ცნების გაფართოებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქალაქების ძველი უბნების მომავალი ბედ-იბლის განსაზღვრაში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა სულ უფრო დიდ ყურადღებას უთმობენ ისტორიული ძეგლების დაცვის საქმეს. უკანასკნელი წლების მანძილზე ამან სასხვა კამპა მეტად ყურადღებულად დადგენილებაშია. ეს არის გადაწყვეტილებები თელავის, სიღნაღის, მცხეთის, მესტიის არქიტექტურული კომპლექსების მოვლა-პატრონებისა და რეკონსტრუქციის თაობაზე. პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს მიერ 1975 წლის მარტში მიღებულ დადგენილება თბილისის ისტორიული უბნების სახელმწიფო დაცვის ზონად გამოცხადების შესახებ.

ამგვარად, როგორც საკავშირო კანონმდებლობაში, ასევე ჩვენი რესპუბლიკის სადრექტივო დოკუმენტებში ნათლად არის ასახული ქალაქების ისტორიული უბნების რეკონსტრუქცია-რეგენერაციის აუცილებლობა. მაგრამ, ამ რთული პრობლემის გადასაწყვეტად დადგენილებები როდი აკმარა. მათ ცხოვრებაში გატარება, განხორციელება ჭირდება. დღეისათვის კი მდგომარეობა მეტად დასაფიქრებელია.

ძველა დაცვის პრობლემებში არის ერთი ასპექტი, რომელიც სასწრაფო, დაუყოვნებელ ღონისძიებებს მოითხოვს. იგულისხმება არა ცალკეული ნაგებობები, არამედ უძველესი უბნების ერთიანი სახის შემონახვის შევად მნიშვნელოვანი ამოცანა. დრო არ ითმენს. შენობები, რომლებიც თბილისში თუ სიღნაღში ძველი განაშენების ქსოვილს ქმნიან, დაძველდნენ, მათი ფიზიკური არსებობის დრო ამოიწურა და დაილუპებინა, თუ ამთავითვე არ მივევლევი, არ გუყურნალეთ. ეს გარემოება მით უფრო დასაფიქრებელია, რომ სწორედ ეს შენობები ქმნიან საბოლოო ჯამში ძველი თბილისის იერს,

განემორფებულ კოლონატს. საქმის სახელით გადდება ეგლს დაღუპვის უკადა.

ეველად თთავალ ხალხს წესად ჰქონდა: როდესაც სოფელს თუ ქალაქს ოაიფე საფოთხე ეუჭრებოდა, ზაიი აგუგუკუებოდა ოლხე. ასეთი ზარის ჩასოკების სურვილი გვიადება, როდესაც ძველი თბილისის ჯერ კიდევ შემორჩენილ უსაყის ჩასოვილი. ძრავალი სწონბა აღსასრულის ბოლოდიასია, მკურხალი კი არა და არ გამონდა. დაბერებს პითს მთაულ შენობა უამრავია. თუქცა, ერთი დამახასიათებელი მავალითის მოყვანა კი ღირს: ტაბიძის ქუჩის დასაწყისში ჩვენ თვალწინ თადატან დაინგრა ერთ-ერთი თვალსაიბით ძველ-თბილისური საცხოვრებელი სახლი (დღეს სახლის მცოფე ნაწილსადა შემოღობული).

თილო დროს ასეთი ტერმინი განნდა: „ალარმისტები“. ტერიმინი ფოახულს „alarm“-დან („გაფრთხი“) ოთდის და იმ დაპოაიეის მძაბო ანტროტენ, ობობლები გაგახსა სტეზე გაოოთუფე ადამიათს შემორჩენილ უჭირთეადეითს შედგად პლახეტის შორეუბებითი თისალოდნელი დაღუპვის გამო. ალარმისტები, ერთგვარად, პახიეიოტობის ოოლში გამოდიაჰ, მაგამდ „ალარმისტისა“, აანიეიოტობას ხურაენი დავგაბოალეს: საქმეში ჩახედული სპეციალისტები კარგად იცნობდნენ იმ სადრთეს, რომელიც ჩვენს ისტორიულ ქალაქებშია და, კერძოდ, თბილისს ეუჭრებოდა. ქალაქის ეველი უახეობი ტყე ოოდი, რომ ხელახლა დაოგა. აფეაჰას მთილო ქალაქის თავაკების ქმედითობაზეა დამოკიდებული თბილისის სოავალ-სურთეფი ისტორიული უბნების გადარჩენა! დაახ, გადარჩენა!

რატო მინცდამაინც დღეს დაისვა ეგლდენე მწვავედ თბილისის ისტორიული უბნების დაცვის საკითხი?

ქალაქების წარმოშობის უძველესი დროიდანვე მათი მუდმივი, უწყვეტი განახლება ჯაბოთებს. ხანგრძლივი დროის მადილზე ქალაქის ვახაშენიანება თანდათან იცვლება სახეს. სახეცვლილებას განიცდიდა როგორც ცალკეული შენობების ტიპები, ისე თვით ვახაშენიანების საერთო ხასიათი. თუკი ძველად ქალაქის განვითარება, ძველის ახლით შეცვლა შედარებით მუხელებულ პროცესს წარმოადგენდა, დღეს ქალაქების მძაფრი ტემპებით ზრდის და გარდაქმნის გათო ეს პროცესი გარყვეულად კონფლიქტურ ხასიათს ატარებს. ამ კონფლიქტს როგორც ობიექტური ისე სუბიექტური მიზეზები გააჩნია. არქიტექტურული ძეგლების შემოხსახვის პრობლემატურობა დაკავშირებულია საწარმოო ძალების განვითარებასთან და ჩვენი საუკუნის სახასიათო ნიშანთან — ე. წ. „ურბანისტულ აფეთქებასთან“. ქალაქის სწრაფად ზრდამ წარმოქმნა ისტორიული მემკვიდრეობის უძველესი ტენდენცია. ქალაქთმშენებლობაში ორი დაპირისპირებული მიმართულება აღმოცენდა: ერთის მხრივ — წარსულის რომანტიზაცია, მეორეს მხრივ — ნიჰილიზმი, თანამედროვე ცივილიზაციისათვის უპირატესობის მინიჭება, წარსულთან გათიშვა თითქოსდა პროგრესის სახელით.

კონფლიქტის ერთ-ერთი ობიექტური მიზეზი ისაა, რომ უმეტეს შემთხვევაში (ისევე როგორც თბილისში) შუასაუკუ-



ქუჩაბანდი კლდის უბანში  
ძველი თბილისის ერთ-ერთი კუთხე  
შემორჩენილი ძველიბილისური კოლო-  
რიტი  
რიგით განაშენიანებაში თბილისური  
რომანტიკაა ჩაქსოვილი.




ნეობრივი განაშენიანება თანამედროვე ქალაქის შუაგულში მოექცა და უნებლიეთ მისი ცენტრის ელემენტად იქცა. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და საბჭოთა ადამიანის სასოფაღობრივი მოღვაწეობის ინტენსიფიკაციის პირობებში სულ მეტად იზრდება საორგანიზაციო-სამმართველო დაწესებულებების როლი. ბუნებრივია ამ დაწესებულებათა ცენტრში განლაგებისაკენ სწრაფვაც. ამას უნდა დამატოს ის გარემოებაც, რომ დიდი ქალაქები ტერიტორიულ შიშხილს განიცდიან და ქალაქთშენებლები სულ უფრო უოვალთვალე-ბენ ქალაქის ცენტრში მოქცეულ ძველი უბნების მცირესართულიან, მეტნაწილად ამორტიზირებულ განაშენიანებას. ამგვარად, „კონფიქტის“ ერთ-ერთ ობიექტურ საფუძველს წარმოშობს ქალაქის შუაგულში მოქცეული ტერიტორიის ინტენსიური ათვისების მეტად მომხიბვლელი შესაძლებლობა. ძველი დაცვისათვის ზრუნვა კი ამ მიზანს უპირისპირდება.

პრობლემას სოციოლოგიური საფუძველებიც გააჩნია. ომის შემდგომ წლებში ქალაქებში, მათ შორის თბილისში, ახალი, თანამედროვე უბნები აღმოცენდა. ამ უბნებში მცხოვრებნი უზრუნველყოფილი არიან თანამედროვე სანიტარული და ტექნიკური აღჭურვილობით. თანამედროვე დონეზეა საცხოვრებელი ფართის ნორმატივები, ბინის, ტერიტორიის კეთილმოწყობა. ასევე თანამედროვე მოთხოვნებს პასუხობს (ყოველ შემთხვევაში — უნდა პასუხობდეს) ახალ უბნებში განლაგებული სასოფაღობრივი დაწესებულებები — საბავშვო ბაღები, სკოლები, სამკითხველოები, მაღაზიები, სასადილოები და ა. შ. სხვა სურათია ქალაქების ძველ ნაწილში. დიდი სიმჭიდროვე, თანამედროვე კომფორტის უქონლობა, ამორტიზებული, ხშირად ავარიულ მდგომარეობაში მისული სასახლები და სხვა პირობები არათანაბარ მდგომარეობაში აყენებენ ერთი და იგივე ქალაქის სხვადასხვა უბნების

მცხოვრებთ. აქ „კონფლიქტი“ ძველი სახლების ახალი, თანამედროვე ნაგებობებით შეცვლის სურვილისა და ამ სახლების, როგორც ისტორიული ძეგლის შენარჩუნების აუცილებლობის დაპირისპირებაში ძვეს. აქაც წარსულის უარყოფა პროგრესის სახელით ხდება. მაგრამ, ევროპისა და ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი ქალაქის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქვეშარტიკება სადღაც ამ ორი უკიდურესობის — წარსულის რომანიტიზაციისა და ნიჰილიზმის შორისაა მოქცეული.

შექმნილი გარემოების ობიექტური მიზეზთაგანი გეონომიურ სფეროშიც უნდა ვეძიოთ. შემთხვევითი როდია, რომ ქალაქების განვითარება ომის შემდგომ პერიოდში, ძირითადად, თავისუფალი ტერიტორიების ათვისების ხარჯზე ხდებოდა. ეს გასაგებიც არის. საცხოვრებელი ფართობის მძაფრი ნაკლებობისას შეტად ეფექტური იყო ვრცელი საცხოვრებელი მასივების მშენებლობა ცარიელ ადგილებზე. ეს გზა სახსრებისა და დროის საგრძნობ გეონომიას იძლევა. ასე მოხდა თბილისშიაც. მანამდე არნახული მასშტაბის ომის შემდგომი მშენებლობა თითქმის არ შეხებია ისტორიულ უბნებს. ძველი უბნების იგნორირება სამი ათეული წლის მანძილზე გაორებული, ურთიერთსაწინააღმდეგო დამოკიდებულებას წარმოშობს. ერთი მხრივ, იმ გარემოებამ, რომ ისტორიულ უბნებს არ შეეხო ქალაქმშენებლის ხელი, უარყოფითი შედეგი გამოიღო. რადგან შუასაუკუნეობრივი ბირთვი მრავალი მონაცემებით არ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს (კომფორტი, კეთილმოწყობა, სიმჭიდროვე, გამწვანების უქონლობა, და ა. შ.). მეორეს მხრივ, ისტორიული უბნების „დავიწყებას“ უნდა ვუმალოდეთ იმას, რომ 50-იან, 60-იან წლებში ძეგლთა დაცვის მეთოდოკა, თვით შესედულება ძეგლის





ცნებაზე რადიკალურად განსხვავდებოდა თანამედროვესაგან და დარწმუნებული ვარ, რომ იმ წლებში ჩატარებული „სარეკონსტრუქციო“ სამუშაოები ქუჩას ქაჯზე არ დატოვებდა ძველ თბილისსა. ეს ლიტონი სიტყვები არაა. ამას მოწმობს ზოგიერთი პროექტი და ის მცირე რაოდენობის მშენებელი ღონისძიებანი, რომლებიც მანინ ქატიარდა ამ უბანში. ასე მაგალითად, 60-იანი წლების ბოლოს დამუშავებული იყო საპროექტო წინადადება, რომელიც გულისხმობდა ვერცხლის ქუჩის მიმდებარე ვრცელი უბნის (ბარათაშვილსა და პუშკინის ქუჩებს შორის) მოწმინდვის და ამ ტერიტორიის მოშენებას ტიპური რესასრთულიანი საცხოვრებელი სახლებით. კიდევ კარგი, რომ ეს პროექტი არ განხორციელდა და ამ განზრახვას დაასწრო ძველთა დაცვის ახალმა ქალაქთმშენებელურმა კანონებმა.

ორმოცდაათიან წლებში ახალი მგეტმა ხიდი აშენდა. ძირფეცივანად გადაკეთდა მასთან მიმავალი ზუგდიცი. ჩატარდა თავისთავად მგეტად საჭირო და მნიშვნელოვანი ქალაქთმშენებელი ღონისძიება. შარად შესაძლო იყო ამ ობერაციის იმპერაბა ჩატარება, რომ არ დაწერულიყო ე. წ. შაპახასის ან, როგორც მას თბილისელები უწოდებდნენ, „ლურჯი“ მგეთი. იგი 1522 წელს ააგეს და 1606 წელს, შაპახასის მიითვებოდა გააფართოვეს, ამასთან, მოხდენილი მინარეთით დააკვირვებეს. მეფეთი თავისთავად მოწმინდა თბილისის თავდადასავლებით სასვე ისტორიის თავისებურებას, ამ ისტორიის ერთ-ერთი სტრიქონი იყო. მეორეს მხრივ, მოხდენილი პრობორციების მინარეთის ვერტიკალური მოქცეობა ამ უბნის მგეტად მახასიათებელი არქიტექტურულ-კომპოზიციური კომპონენტი იყო. ამავე დროს, იგი თბილისის ისტორიული თავისებურების სახასიათო თვისებები — ოდიტგანვე მოსახლეობის ინტერნაციონალურ სულისკვეთებას ამტკიცებდა. ერთი სახეობით, რეკონსტრუქციისას მოვსებთ ძველი თბილისისათვის მგეტად ნიშანდობლივი ისტორიული ძეგლი.

მეორე მაგალითი. აბანოების უბანში აშენდა ბალნეოლოგიური კურორტის ახალი, მალღივი კორპუსი. ერთის მხრივ, მგეტად კეთილმოზობელი საქმე გაკეთდა. მაგრამ ხომ შეიძლებოდა იგივე შედეგის მიღწევა შენობის სხვაგვარი მოქცეობით? კომპოზიციური გადაწყვეტისას? საქმე იმასია, რომ მგეტების ვიწროებში მოქცეული ორიღე ნაპირის განაშენიანების ხასიათი, მეტების მოხსლებული კლდეზე გადმოყიდებული აივნისანი სახლები ტაძრის გუმბათითურთ, ნარიყალას ნანგრევები, მთის ფერდობზე ტრესხლები შეფენილი აბანოების უბნისა და ხარფუხის სახლების მასშტაბი, გარემორტყმულ ლანდშაფტთან ერთად, ერთიან არქიტექტურულ-მგეტრულ, ისტორიულ ძეგლს წარმოადგენს, რომლისგანაც არცერთი კომპონენტის გამოკლება არ შეიძლება. რა თქმა უნდა, ხარფუხის სახლების დიდი უმრავლესობა ამორტყმულია, ცალ-ცალკე ისინი გარკვეულ მგეტრულ ღირებულებას არ წარმოადგენს და ალბათ შეიცვლება თანამედროვე კეთილმოწყობილი სახლებით, მაგრამ შენარჩუნებული უნდა იქნას ტრასტული განაშენიანების პრინციპი, რაც მთავარია — მასშტაბი. ამგვარად, ამ სიტუაციით თუ რაიმე მიკლება ძეგლს აწებებს, დამატებაც დიდ ტაქტიკად და ძეგლის ცნების ფართო გაგების ვათვალისწინებით უნდა ხდებოდეს (ლანდშაფტო, სართულიანობა, მასშტაბი, საერთო ხედი). ბალნეოლოგიური კურორტის მალღივა კორპუსმა კი აშკარა დის-

პარმონია შეიტანა ნარყოალიბებულ იერში და, ამასთანავე, დაკეტა ძველი თბილისის ერთ-ერთი შესანიშნავი ხედი: ორთაქალიდან ნარიყალაზე. გაისხნეთ გახული საუკუნის მგეტავართა (ჩერნეცკი, ჟაკოვ, გაგარინი) ტოლობით. ყოველი მათგანი, რომელიც თბილისის საერთო იერის გადმოცემას ცდილობდა, სწორედ ორთაქალიდან აღბეჭდვად ქალაქის ხედს. აქედან მგეტრად იძერწებოდა თბილისის ორი სახასიათო ღონისძიანის — მეტების ტაძრისა და ნარიყალას ნანგრევების მოცულდებით შექმნილი ვაჭათი სილუეტები.

აქ კი უკვე ახლისა და ძველის კონფლიქტის სუბიექტურ მიზნთან გვაქვს საქმე, რაც, ძირითადად, იმასი მგეტარეობს, რომ ხშირად ზოგიერთ ჩვეთათვანს არ ძალუხს „ჩვეული“ ქალაქურ გარემოცვამ დაინახოს მგეტრული და კულტურული ღირებულება. უნდა ითქვას, რომ ასეთ სუბიექტივიზმს თავისი ისტორიული მიზნუბეც გააჩნია. დიდი ხნის მანძილზე არქიტექტურულ ძეგლად აღიარებდნენ მხოლოდ უძველეს მონუმენტურ ნაგებობას. საქმე იქამდე მიდიოდა, რომ ხშირად მე-18 საუკუნის საკულტო შენობასაც არ მიიწინაინუხ ასეთად. რადა სათქმელია, რომ განაშენიანების „კოზივილი“; დაეცმარება, ქუჩების ხლართი, განაშენიანების მასშტაბი, საერთო იერი. სილუეტი, ყოველივე ის, რაც მთლიანობაში ებრთ ქალაქის „არომატს“ ქმნის, ყოველგვარი ყურადღების გარეშე რჩებოდა. ძველის ცნების ესოდენ ვიწრო გავებას დიდხანს ჰყავდა ტყეობაში სპეცილისტებიც და ფართო საზოგადოებაც. ამ ვითარებას საკმაო ზარალი მიყენდა მხოლოდის უძველეს ქალაქებს. როდესაც მე-20 საუკუნის მავრმა ურბანისაციამ ძველი ქალაქების წალკევის რეაღური საფრთხე შექმნა, კაცობრიობამ რადიკალურად გადახედა თავის დამოკიდებულებას წარსულის ციცილიზაციის მიმართ.

**ცოტა რამ ძველის ცნების ისტორიად**

ძეგლის ცნება თავდაპირველად რენესანსის ეპოქამ წარმოშვა, თუმცა იგი შორს არის დღევანდელი გაგებისაგან და ანტიკური საბერძნეთისა და რომის ხელოვნების მიმართ და ბრწყინვალე ეპოქის საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესის დადასტურებას წარმოადგენს. ამასთან, აღტკეუბა წინა ეპოქის არქიტექტურის ნაწარმოებებით, ჩანს, ხელს არ უშლიდა მის ქვის კარიერად გადაცევის.

ძველთა დაცვისათვის კეთილმოზობელი ზრუნვა სახელმწიფო კანონის დონეზე პირველად საფრანგეთის რევილუციამ აიყვანა და ეს მგეტად ნიშანდობლივია. კონერების 1794 წლის დგეტრება დააწესა თვალსაჩინო ხერთომოდერულ ნაგებობათა აღდგენის აუცილებლობა. ახალგაზრდა რესპუბლიკამ, უმარავი საზრუნავის მიუხედავად, რევილუციური ქარტხილების დროს შესარულა ქუმანური მისია და შეიმუშავა დებულება „ხელოვნების, ისტორიისა და საგანმანათლებლო ძეგლების“ დაცვის შესახებ. მე-18 საუკუნის ბოლოდან ძეგლის ცნება სულ უფრო ფართოვდება.

1913 წელს გამოქვეყნდა ქარტია, რომელიც კრძალავდა განაშენიანების ქასურ განლაგებას არქიტექტურული ძეგლის გარშემო, რამდენადაც ხელს შეუშლიდა მის აღქმას. 1930 წელს ძველთა დაცვის სფეროში პირველად განჩნდა ტერმინი „ზონა“. იმ წელს საფრანგეთში გამოვიდა კანონი „დაცვილი ზონების“ შესახებ, რაც მგეტად მნიშვნელოვანი, ხარისხობრივად ახალი ნაბიჯი იყო ძველთა დაცვის რთულ საკითხში. კანონი გულისხმობდა არა მარტო კონკრეტული ნაგებობის, მონუმენტური არქიტექტურული ძეგლის შენარ-



ჩვენებს და მოვლის აუცილებლობას, არამედ ძეგლის ირგვლივ ჩამოყალიბებული ისტორიული გარემოს ხელშეუხებლობასაც. ამგვარად, გაფართოვდა თვით ძეგლის ცნებაც, რადგან ძეგლი, კანონის თვალსაზრისით, უკვე განცალკევებულ მარტალზე კი აღარ წარმოადგენდა, არამედ „მოჩარჩოებასთან“ ერთად ფასობდა.

საწარმოო ძალების ზრდამ ჩვენს საუკუნეში ბიძგი მისცა ქალაქების ურეგული ზრდას. ძველმა გაჩანაგების რეალურმა სააქტივო ცივილიზებული ქვეყნების სასოფლო-სამეურნეოება აიძულა მათი გადარჩენის გზები ეძიათ. საერთო პრობლემებმა (ქალაქთმშენებლობა, სოციალურმა, ეკონომიურმა, ესთეტიკურმა და სხვ.) გააერთიანა სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტთა მეცადინეობა. თანამედროვე არქიტექტორთა ორგანიზაციის („საერთაშორისო კონგრესები თანამედროვე არქიტექტურის საიტებზე“) 1933 წლის კონგრესზე მიღებულ იქნა კონვენცი — ე. წ. „ათენის ქარტია“. იგი დაწერა და რედაქცია გაუკეთა თანამედროვეობის უმდიდრესმა ზურთომთძვარმა ლე კორბუზიმ. ქარტია ქალაქთმშენებლობის ისტორიაში შევიდა როგორც დოკუმენტი, სადაც ჩამოყალიბებულია თანამედროვე ქალაქთმშენებლობის ძირითადი იდეები და კონკრეტული მიზნები. ათენის ქარტიის ცალკე თავში მოყვანილია ძველთა დაცვის ზოგადი მტკიცე საგულსინძო პრინციპი. ქარტიის კრედიტს წარმოადგენდა ისტორიული ძეგლების მიმართ საკმარისი ორი მცირე ნაწყვეტის მოტანა: „ისტორიული არქიტექტურული ფასეულობა (ცალკე ძეგლები ან ქალაქთმშენებლობის ანსამბლები) უნდა იქნას შემონახული“; და შემდეგ: „...ძეგლების მოსოფლიოს ისტორიული მემკვიდრეობის ნაწილია. ამიტომ საჭიროა ყველა ღონე ვიზნართ მათი შენარჩუნებისათვის დღეისათვის და მომავალი საუკუნეებისათვის“.

ფრანგი ერის ზურუნვა კულტურის ძეგლთა მივლა-პატრონობის საქმეში კიდევ ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტში გამოიხატა: 1945 წელს საფრანგეთში მიღებულ იქნა ახალი კანონმდებლობა, რომლითაც იურისდიქცია ყოველგვარი გამოადკეთება იმ შენობისა, რომლებიც ძველთან ერთად 500 მეტრის რადიუსში იმყოფებიან. ამგვარად, თუ ადრე (1930 წელს) „დაცეითი ზონა“ ძეგლის უშუალო სისხლოვას განლაგებულ ნაგებობათა ხელშეუხებლობას მოითხოვდა, 1945 წელს ამ ზონის ფარგლები გაცილებით გაფართოვდა: კანონში ნაკვალისხმევი იყო ძეგლის გარშემო მდებარე ძველი და შენახება, რომელიც ათვისებდა, სახს უსყამდა ძეგლის ირგვლივ უნაწიში ისტორიულად ჩამოყალიბებულ მასშტაბს, მთავარისა და მეორეხარისხოვანის („სოლისტისა“ და „სტატისტიკის“) ურთიერთკავშირის სახისათ. ამ კანონმდებლობით ძეგლი „იკლავდა“ გარემოსთან ერთად წარმოადგენდა. უფრო მეტიც, „რეალად მიჩნეულია მთლიანად ისტორიული გარემო, თუმცა კი იგი ჯერ კიდევ არცთუ მკაფიოდ, ზუთაში მეტრით არის შემოფარგლული და ამ განაშენიანებაში „წამყვანი“, განსაკუთრებული არქიტექტურული მხატვრული ღირსების მქონე მონუმენტური ისტორიული შენობის აუცილებელ არსებობას გულისხმობს.

მეორე მოსოფლიო ომის შემდეგ ევროპის ზოგადი ქვეყანაში სრულიად დანგრეული უბნების, ანსამბლების აღდგენა, უფრო ზუსტად — ახლად აღმშენებლობა დაიწყო ძველი ფიტურსურათებით, შემორჩენილი ნახატებით და ზოგჯერ — მხსიერებაზე დაყრდნობითაც კი, მეტად თვალსაჩინო მა-

გალითა ვარშავის „სტარო მიასტო“. ამ მოვლენას შეესაბამებოდა ეროვნულ-პატივითი გრძნობის დამყალიბებლობა და ზოგჯერ სანტიმენტალური საფუძველიც ჰქონდა. ამდგომში ეს ტენდენცია შეწყდა, რადგან არქიტექტურული უბნის დირექტებლმა სიმოპოლიამ და არ ამართლებს თავის არსებობას. ომის შემდგომმა მშენებლობის პრობლემებმა, ქალაქების გარდაქმნის მასშტაბებმა მოითხოვეს მემკვიდრეობის ადგილის განსაზღვრა თანამედროვე ცხოვრებაში. უნდა დანდგინილიყო წინასწრობა წარსულს, მანამდღე რომ ვინაშისა და მისთვის შირსის. შემზრვევითი როლია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ძველთა დაცვის სააგენტო ორგანიზაციამ კი (იპოქო) შეიქმნა. ამ ორგანიზაციის ინიციატივით 1946 წელს მიღებულ იქნა დენდინშენებლობის საერთაშორისო დოკუმენტი (საბჭოთა კავშირის სპეციალისტთა მონაწილეობით), რომელიც არქიტექტურული და ქალაქთმშენებლობის რესტავრაციის უახლეს მეცნიერულ და შემოქმედებით კონცეპციებს აწვევდებდა. ეს საბჭოთა ცნობილია „მემკვიდრეობის ქარტიის“ სახელწოდებით (კონგრესის ადგილსამყოფლის მიხედვით). ამ კონვენციის დებულებების დედააზრი ძეგლის ცნებაში მივლ ისტორიულ გარემოს გულსინძობა, ძველად აღიარებულია არა მარტო ცალკეული ღირსეულობა შენობა და მის ირგვლივ განსაზღვრება, არამედ ქალაქების და სოფლების ისტორიულად ჩამოყალიბებული მთელი კომპლექსები. უფრო მეტიც, ძველად მიჩნეული ადამიანის და ბუნების მიერ ერთად შექმნილი ობიექტების რთობლობა ე. ი. ისტორიული ძეგლის ცნება მოიცავს არა მარტო ნაგებობას, არამედ მის გარშემო ლანდშაფტსაც, ვენეკიურ ქარტიაში დასაბუთებული მეცნიერული წინამძღვრები აფართოვებდა და დაკონკრეტებულ იყო დოკუმენტში, როგორც არის „საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიული და კულტურული ძეგლების აღწერილობა“. უახლესი მეცნიერული კონცეპციები გასდევს წერილის დასაწყისში მოხსენებულ, საბჭოთა კავშირის ახალ კანონს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ.

ამგვარად, დღეს ჩვენ ხელთაა როგორც მეცნიერული, ასევე საკანონმდებლო საბუთები, სადაც საკმარის მჭაფორდაა ამოყალიბებული ძეგლის ცნების ფართო საზღვრები. ახლა აქმე ამ დებულებათა პრაქტიკულ ხორცსუნსამაია.


ისტორიული ძეგლი და მემკვიდრეობა

როგორ უნდა განსაზღვრო მანეთებში თუ დღღარებში ძეგლის ეთიკური, ესთეტიკური თუ შემეცნებითი ღირებულება? მეცნიერლობა საკითხის ასე დასმაც კი. კულტურული მემკვიდრეობა კაპიტალია, რომელიც ჩვენ ეპოქას ჯდა დასაცავად და შესახაზად და არა მომხარების სანგად. ამ ტენდენციების მიხედვად ძეგლის შემონახვის სურვილის გამოხატვა ბევრად არის დამოკიდებული საზოგადოების ეკონომიურ შესაძლებლობაზე. ჩვენ ქალაქების ცრცელ უბნებს მუშაობად ვერ გადავცქვეთ. მხოლოდ განიარაღისა და მშენებ შეიძლება ისეთ ძეგლების მიმართ, როგორცაა მცხეთის ჯვარი თუ თბილისის ანჩისხატი, გელათი თუ ალავერდი, ყინწყვისი თუ ვარძა, დავით გარეჯა თუ უფლისციხე; ერთი სიტყვით, ისეთი ძეგლების მიმართ, რომლებიც დიდ არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულებას გააჩნიათ. ასახვენი თავიანი დროის მხატვრულ თუ სამშენებლო კონცეპციებს. მათი ღირსება იმამაია, რომ დღემდე მოაღწიეს და არსებობას განაგრძობენ. ამგვარი ძეგლებისათვის ასაბი დანიშნულების

გამოძებნა საჭირო არ არის, რადგან ისინი ძვირფას „სამუ-  
 ლეობა“ ექსპონატებს წარმოადგენენ. მაგრამ ძველი ქალა-  
 კების ისტორიული უბნები, რომელთაც ხშირად დიდი ტე-  
 რიტორია უკავიათ? ერთ-ერთი გამოსავალი ძველის რეკონს-  
 ტრუქიაში, მისთვის ახალი ფუნქციის მინიჭებაში უნდა ვეძი-  
 თოთ, რათა ძველმა შენობამ, შენობათა ჯგუფმა სარგებლობის  
 მოტანა განაგრძოს და მით „გამართლოს“ ჩვენი საუკუნის  
 მატერიალისტურად განწყობილი ადმინისტრატორის თვა-  
 ლში თავისი არსებობა. დღეს ხშირად ძველის დაცვის პრო-  
 ბლემის მინიშნულოვანი ასპექტები მორალურ-ესთეტიკური  
 თვალსაზრისისა და ეკონომიური მიზანშეწონილობის ზღვარ-  
 ზე ძეგს. ამიტომაც, იგივე ადმინისტრატორი საკითხს ასე  
 დაგიყენებთ: „განა არ ზოგია ვცხოვრობდე თანამედროვე  
 რკინა-ბეტონის შენობაში, ან გემუშაობდე ასევე თანამედრო-  
 ვე, კომფორტით აღჭურვილ ნაგებობაში, ვინემ გასული საუ-  
 კუნის სახლებში, რომელთა გადაკეთება და შეკეთება ახალი  
 პირობებისადმი ეკონომიურად გაცილებით მიზანშეუწონე-  
 ლია, ვინემ ახალს აშენება?“ ამ ადმინისტრატორს სურს

რევი ხასიათის ჩამოყალიბებას, მის გადაქცევას სახალსო მე-  
 ურწეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგად განსაკუთრებულ  
 უწყობს ხელს ჩვენი დროის ტექნიკური რევოლუცია ტრანს-  
 პორტის დარგში, როდესაც მანძილისა და დროის ფაქტორი  
 უმნიშვნელო ხდება. განადა საგანგებო ტერმინიც — „ტუ-  
 რისტული ინდუსტრია“, რაც ტურიზმის მომსახურებისათვის  
 საჭირო დიდ კომპლექსს მოიცავს: სასტუმროებს, კემპინგებს,  
 მოტელებს, კაფე-რესტორნებს. სატრანსპორტო საშუალებებს,  
 სუვენირების წარმოებას და ა. შ.

მაგრამ ტურიზმი თავისთავად როდი არსებობს. არის  
 ასეთი, სუფთა პროფესიული ცნება: ტურისტული ობიექტი.  
 თუ ობიექტი არ იქნება, არც ტურიზმი განვითარდება. „ობი-  
 ექტი“ კი ან ბუნების ფენომენია, ან (უმეტესად) ისტორიისა  
 და კულტურის ძეგლები! შემთხვევითი როდია, რომ ტურის-  
 ტების უდიდესი რაოდენობა მოდის იტალიისა და ესპანეთზე.  
 ამ ქვეყნებში შემონახულია ე. წ. „ტურისტული ობიექტების“  
 უზარმაზარი რაოდენობა.



დათვალს, იანგარიშოს და არკი იცის რა თანხა დასვას სუ-  
 ლიერი ფასეულობის „გრაფაში“.

მართლაც და, როგორ შევათავსოთ ძეგლების დაცვა და  
 ეკონომიკა? როგორ შევებათ ერთ უღელში ორი პრობლემა?  
 თუმცა მე-20 საუკუნის თავისებურებებმა საფრთხე შეუქმნეს  
 ძეგლებს, ამავე საუკუნემ მათი შემონახვის ეკონომიური დასა-  
 ბუთობაც წარმოვიდგინა.

წლიდან წლამდე მკვეთრად ფართოვდება ტურიზმი, და  
 მის მძაფრ განვითარებას მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში  
 მრავალი ფაქტორი განაპირობებს. მათ შორის ეკონომიური  
 და კულტურული ურთიერთკავშირის განმტკიცება ქვეყნებსა  
 და კონტინენტებს შორის. რაც მთავარია, ტურიზმის მასობ-

მთავარი ის არის, რომ ტურიზმის ზრდის ზღვარი არა  
 ჩანს, ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, 80-იანი წლების  
 დასაწყისში მსოფლიო „ტურისტული აფეთქების“ მოწმე გა-  
 ხდება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტი-  
 კური მონაცემების მიხედვით, თუ 1950 წელს მსოფლიოს  
 ქვეყნებში რეგისტრირებული იყო „მხოლოდ“ 25,3 მილიონი  
 უცხო სტუმარი, 1966 წელს ამ რიცხვმა უკვე 140 მილიონს  
 (!) მიაღწია. ასეთივე ტემპებით ვითარდება ტურიზმი  
 ჩვენს ქვეყანაში. ვგულისხმობ როგორც უცხოურ, ასევე შიდა  
 ტურიზმს. მაგალითად, თუ 1967 წელს სსკვადსაგა სახის  
 ტურისტთა რიცხვი ბაჭთთა კავშირში თორმეტ მილიონს  
 უდრიდა (აქედან 1,8 უცხოელი სტუმარია), 1975 წელს ამ

რიცხვა 26,6 მილიონს მიაღწია, ხოლო 1980 წლისათვის 49 მილიონია ნავთობის (ამგვარად, უშუალოდ ტურისტების რიცხვი წელიწადში 13 პროცენტით იზრდება. და თუ სპეციალისტთა პროგნოზი გამართლდა „ტურისტული აფეთქების“ თაობაზე?

თბილისში? ჩვენთანაც ტურიზმისა და ტურისტული ინდუსტრიის განვითარება გათვალისწინებული. თუ 1967 წელს თბილისში 80 ათასი საბჭოთა ტურისტი ჩამოვიდა, 1980 წლისათვის 620 ათასი მიაღწევს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერთდროულად ჩვენს ქალაქში საბჭოთა ქალაქებიდან ჩამოსული 4300 სტუმარი იქნება. 1967 წელს უცხოეთიდან ჩამოვიდა 6 ათასი ტურისტი, 1980 წლისათვის კი დაგეგმილია 160 ათასი უცხოელის სტუმრობა, ე. ი. ტურისტულ სეზონში თბილისში ერთდროულად 4000 უცხოელი მოიყრის თავს (ეს რიცხვი არ ითვალისწინებს სხვადასხვა სახის დე-

ბარჯავენ წლიური შემოსავლის რვა პროცენტს, ანუ საშუალოდ ას მანეთს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „შინა ტურიზმის შემოსავალი ჩვენ ქვეყანაში ერთ მილიარდ მანეთს აჭარბებს. წინასწარი პროგნოზით ეს თანხა 80-იანი წლებით 30-ჯერ გაიზრდება. მეტად შთაბეჭდილად ციფრებია!

მაგრამ საკითხის არსი მხოლოდ ეკონომიური ეფექტით, ფულადი სახსრების, კერძოდ — ვალუტის, შემოსავლით როდი ამოიწურება. ტურიზმის განვითარება მოითხოვს გზების, სასტუმროების, რესტორნების, კინოთეატრების, ვაღაზიების, საორტული ბაზების მშენებლობას და, რაც მთავარია, მოითხოვს ისტორიული ძეგლების რესტავრაციას, დაცვას, რეგენერაციას. ამგვარად, ძეგლის მოვლა-პატრონობა უკუტალღას იწვევს. ტურიზმის განვითარებას მოაქვს სახსრები, რომლის მხოლოდ მცირედი მოხმარდება ძეგლს. ძველი ვალში არ რჩება საზოგადოებას და არა თუ უბრუნებს

ბარათაშვილის ქუჩის ნაწილის მოშენება რეკონსტრუქციამდე



ბარათაშვილის ქუჩის ნაწილის მოშენება რეკონსტრუქციის შემდეგ (არქიტექტორი შ. ავაღაშვილი).

ლგაცემბა და უწყებათა სტუმრებს). წარმოიდგინეთ, რომ თბილისში და მის შემოგარენში ძეგლები ვერ შემოინახეთ. არა მგონია, საბურთალოს თუ დიდუბის მასივის სანახავად კაც-მა ოკეანეები გადმოლაზოს.

ბოლო ათი წლის მანძილზე „ტურისტული ინდუსტრიის“ სამსახური მსოფლიოს ვაჭრობის ყველაზე შემოსავლიან წყაროდ იქცა. 70-იანი წლებისათვის საერთაშორისო ტურიზმის სახსრების ზრუნვა 16 მილიარდ დოლარს აღწევდა. ცნობილი საბჭოთა ეკონომისტის პროფესორ პ. ოლდაკის განგარნიშებით, ტურისტული ინდუსტრიის რესურსებს არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ვინემ მოამდუნეულისა. ტურიზმის განვითარება იწვევს ფულადი სახსრების ფართო ნაკადს და ამა თუ იმ ქვეყნის თუ რაიონის ეკონომიური განვითარების მძლავრი ფაქტორია. მაგრამ გასათვალისწინებელია არა მხოლოდ უცხოელი ტურისტის მიერ შემოტანილი ვალუტა. იმავე პროფესორ პ. ოლდაკის მონაცემებით, საბჭოთა ტურისტები

დახარჯულ სახსრებს, არამედ ეხმარება კიდევ სხვა დარგების განვითარებაში. ეს კი მაშინ მოხდება, როდესაც ისტორიის და კულტურის ძეგლები სათანადო ადგილს დამკვიდრებენ სახალხო-სამურწუხო გეგმებში, კერძოდ — თბილისის განვითარების გეგმების ეკონომიურ დასაბუთებაში.

თუმცე არის გამოსავალი და მეტად ეფექტურიც. მაგრამ გამოსავლის დანახვაა საჭირო.

### რა შიშობობრჩა თბილისში?

ძველი თბილისის უბნები რამდენიმე, საკმაოდ მკვეთრად განსაზღვრულ ნაწილებს ქმნიან. თვითუღი მათგანი განსხვავდება „ასაკობრივად“, დაგეგმარების ხასიათით, არქიტექტურულ-მხატვრული და ისტორიული ღირებულებით. იგულისხმება თბილისის უძველესი, შუასაუკუნეობრივი ბირთვი — კალა და ისანი, სოლოლაკი, მთაწმინდის ფერდობის განაშენიანება. ცხადია, სრულიად განსხვავებული უნ-

და იყოს ამ უნების რევონსტრუქციის პრობლემისადმი მიდგომის პრინციპიც.

კალას საზღვრები (ქალაქის გაღავანი) გადიოდა დღევანდელი ბარათაშვილის, პუშკინის, დადიანის ქუჩების საზღვრს, მიყვებოდა სოლოლაკის ქედს და ნარიყალასთან კვლავ მტკვრისაკენ ეშვებოდა წავისწყლის გაყოფილით. ძველი ისანი კი ამჟამინდელი შუამიანის ქუჩის დასაწყისსა და მტკვრისაკენ ვერტიკალურად მოხსლებლი მეტეხის კედლს შორის იყო განლაგებული. ამ ორი გამაგრებული ბირთვის ფარგლებში ვითარდება საუკუნეების მანძილზე თბილისი. გარეუბნები გარს ეკვროდნენ ორივე ნაწილს მტკვრის ორთავ ნაპირზე.

ვითა ქალაქი, რომელსაც ესოდენ მძიმე თავგანსასვლი კჰოროდეს გადატანილი. თბილისი დამანგრეველი ომების მუდმივ ასპარეზს წარმოადგენდა. მისი ისტორია ომებისა და მშვიდობიანი დღეების, ნგრევისა და აღმშენებლობის კალეიდოსკოპური ცვლილება. ტრაგიული კულმინაციაა სპარსელების 1795 წლის შემოსევა, როდესაც მიწასთან გასწორდა ქალაქის თითქმის ერთი მესამედი, ხოლო დანარჩენი ნანგრევებად იქცა. გაუჩინარდა მთელი უბნები, სასახლეები, დიდი ნაგებობები. ისტორიული ზედაკულმინაციის გამო თბილისში მეტად მცირეა შემორჩენილი მონუმენტური ძეგლების რაოდენობა. ისიც აღსანიშნავია, რომ შემდგომშიც, უკვე მშვიდობიან წლებში, ძეგლებისადმი ნიპილისტური დამოკიდებულების გამო არა ერთი მონუმენტური შენობა გაწირეს. თუნდაც საკულტო ნაგებობები: 25 შენობა გასული საუკუნის მანძილზე და XX ს. პირველ ნახევარში მოიხსო. თუ


გავითვალისწინებთ, რომ XVIII საუკუნის ბოლოს თბილისში ორმედიანაა იმდენ საკულტო შენობა იყო (ქართული და მსაქმუნა) რი კვლესიები, მეჩეთები, მშვიდობიან დროს დანგრეულ ნაგებობათა რიცხვს შეადგენდა.

სხვადასხვა ცნობის მიხედვით გასული საუკუნეში თბილისის ფეოდალურ ნაწილში მშენებლობა ძველი საძირკვლების გამოყენებით წარმოებდა. ეს კი საბაბს იძლეოდა გვიღერა, რომ თბილისის უძველეს ბირთვში დღემდე მდებარე ვიანფოდალური ქალაქის დაგეგმვრებითმა სტრუქტურამ, ამგვარი ვარაუდი მეცნიერულ დასაბუთებას მოითხოვდა. კვლევის შედეგს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შემორჩენილი განაშენიანების შემდგომი შესწავლისათვის და მისი ზედ-ილბლის დასაგეგმვა. ეს სამუშაო ჩატარდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურულ ფაკულტეტზე. პირველწყაროების და ნატურული შესწავლის საფუძველზე დამუშავდა ვიანფოდალური თბილისის გეგმა, რომელიც შემდეგ შეთავსებულ იქნა თანამედროვე დაგეგმვრებასთან. ამგვარმა აკომინირებულმა გეგმამ საშუალება მოგვცა გვეგვედინა, თუ რა ფარგლებში და რამდენად არის შემონახული ქუჩების შესაუკუნებობრივი ქსელი. გაირკვა, რომ თუმცა 1795 წლის შეუსისკვისას თითქმის მთლიანად დაინგრა კალას ვრცელი უბნები, შემდგომმა მშენებლობამ ტერატიორიის დიდ ნაწილზე შემოვიანება ვიანფოდალური თბილისის უბნების გაბარჩენი და ქუჩების დაგეგმარება. შეასაუკუნებობრივმა სტრუქტურამ ძირითადად მოაღწია ბარათაშვილის, პუშკინის და ლესელიძის ქუჩებს შორის მოქცეულ მონაკვეთზე და აგრეთვე ვრცელ უბანში ლესელიძისა და ლერმონტოვის ქუჩებს შუა. შემონახულია ქუჩების ხლართის სასაბით სოლოლაკის ქედის ფრედონზეც, რაც შეეხება გარეუბანს, იგი ძირფესვიანად გადაკეოდა გასული საუკუნეში და ძველი დაგეგმარებიდან აღარაფერი დარჩა.

მაგრამ ფეოდალური თბილისის მხოლოდ დაგეგმარება როდია შემორჩენილი. მეტ-ნაკლებად შემონახულია ძველი ქალაქის იერი. პირველყოფისა, განაშენიანების მასშტაბი და სილუეტები. ოდითგანვე თბილისის ქალაქმშენებლურ სტრუქტურაში გაბატონებული იყო რელიეფზე მორგებული დომინანტები: მარჯვენა ნაპირზე — ნარიყალას ბასტიონები, მარცხენაზე — ისინის ციხე-სიმაგრის საფეხურებად განლაგებული ნაწილები. ორთავ მხარეს ამ მკვეთრად გამოყოფილ კომპლექსებს აგვირგვინება კვლესიების გუმბათები. ქალაქის ხედში გაბატონებული სიმაგრეთა სილუეტები, გუმბათიანი ტაძრების მოცულობებითან ერთად, ქმნიდნენ მკვეთრად გამოვლინებულ განივ ღერს. მეტეხის ციხეში კლდინად და სოლოლაკის ქედის თხემიდან ტერასულად ეშვებოდნენ გალავნის კედლები, რომლებიც მეტეხის ხიდან მთავრდებოდნენ და ამგვარად მტკვრის ხეობის ამ ვიწრო ნაწილში მეტად თვალსაჩინო განივ აქცენტს ქმნიდნენ. საუკუნეების მანძილზე ფორტიფიკაციული ნაგებობები ინგროდა, კვლავ აღდგებოდა, გადაკეთდებოდა ხოლმე, მაგრამ ისინი გასული საუკუნის 20-იან წლებამდე ქალაქის განაშენიანების მკვეთრად გამოსახულ დომინანტებად რჩებოდნენ. ამ დროიდან თბილისმა მკვეთრად იწყო ზრდა ჩრდილოეთისაკენ და ძველი ცენტრი თანდათან გარგავდა თავის მაორგანიზებულ და არქიტექტურულ კომპოზიციურ მნიშვნელობას. დაინგრა გალავნებიც, და მინც, ორ მოპირდაპირე მალლოზე შემორჩენილმა მოცულობებმა ორ დაკარგულ თავის წამყვანი მნიშვნელობა

განახლებული ძველთბილისური საცხოვრებელი სახლის ფრაგმენტი ბარათაშვილის ქუჩაზე





დარეჯანის სასახლის მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციის საპროექტო წინადადება — „საინრო“. არქიტექტორები: ა. ბაქრაძე, ვ. ორბელიანი, გ. ჯაფარიძე, ნ. ჯობაძე.  
მარჯვნივ — დარეჯანის სასახლის მრგვალი აივანი.

თბილისის ამ უძველესი ნაწილის განაშენიანებაში. მათი ერთიანობა ქალაქის სიმბოლოდ იქცა და შემოხვევითი როდია, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმ დროინდელი მხატვრების უპირველეს ყურადღებას იმსახურებენ. დღეს თუმცა ნარიყალასაგან მხოლოდ ფრაგმენტები დარჩა, ბეტონის კედელმა შთანთქა ანანს გალავნის ნაშთებიც, მაგრამ ახლაც ქალაქის ამ ნაწილის განაშენიანებაში კვლავ გამეფებულია უძველესი დომინანტები. კლდის ქიშხე მდარე მეტეხის ეკლესიის მოცულობათა წყობა და ბასტიონის ნანგრევები ამჟამადაც ბასტიონებ გარემოზე და თბილისის ყველაზე რომანტიკულ სუარას წარმოგიდგინენ.

თბილისის ცხოველბატული რელიეფი საშუალებას ვეძლევეს სხვადასხვა სიმაღლიდან, სხვადასხვა რაკურსით დავინახოთ ქალაქის განაშენიანების ვრცელი ფრაგმენტები. ეს გარემოება არქიტექტორებს მეტად საინტერესო კომპოზიციური ხერხების გამოყენების საშუალებას აძლევს და, ამავე დროს, მათ წყნაზე რთულ პრობლემებს წამოჭრის ხოლმე, გასულ საუკუნეში მთლიანად შეიცვალა ძველი კალას გარეგნული სახე. ვადაკეთდა ქარვასლები, ჩაისახა საცხოვრებელი სახლების ახალი ტიპები, რომელთაც განსაზღვრეს თბილისის ქუჩების ფასადების ხასიათი. მაგრამ შენარჩუნებულ იქნა განაშენიანების მასშტაბი, წყობა: ერთ-ორ სართულიანი სახლების ჯგუფების საერთო ხედში მკვეთრადდა გამოსახული ვერტიკალები — ეკლესიათა გუმბათები. ეს პანორამა იკითხება სოლოლაკის ქედის ფონზე, რომლის შორეულ პერსპექტივას კვლავ ნარიყალას ნანგრევები ავგირგვინებს.


და ბოლოს — მე-19 საუკუნის თბილისური სახლები. „მრავალაივანი თბილისი“ — ასე აღიქვა ქალაქი პოეტმა ი. პოლონსკიმ, რომელიც შეიძინა ლდის მანძილზე ცხოვრობდა თბილისში და ზედმიწევნით შეისწავლა ქართული კულტურა და ისტორია. ე. წ. „თბილისური სახლი“ გასული საუ-

კუნის 30-იანი წლებისათვის ჩამოყალიბდა და მეტად მრავალფეროვანია თავისი არქიტექტურულ-მხატვრული გამოვლინებით. თბილისური სახლი ძველი უბნების მახასიათებელი და კოლორიტული ელემენტია. საზენიეროდ, ასეთი სახლების ჯგუფები ჯერ კიდევ შემორჩა კალაში, შიამშინდის ფერდობზე, პლენსანოვის პროსპექტს მიკედლებულ უბნებში, ავლაბარში და მათი განახლება ჩვენს ერთ-ერთ საზრუნავს უნდა წარმოადგენდეს. ცხადია, რომ სხვადასხვა უბანში გაბნეულ ასეთ სახლებს განსხვავებული მეთოდით უნდა მივუდგეთ. ერთ შემთხვევაში შემოსანახია ცალკეული შენობა, მეორეში (კალაში) — შენობათა ჯგუფი, რადგან მათი ერთიანობა ქმნის მახასიათებელ არქიტექტურულ გარემოს.

ამგვარად, ჩვენამდე მაინც მოაღწია ძველი თბილისის მრავალმა კომპონენტმა და ჩვენ, მე-20 საუკუნის 70-იანი, 80-იანი წლების თბილისელებმა, რადიკალურ, ქმედით ღონისძიებებს უნდა მივმართოთ მათ გადასარჩენად. ეს კი პრობლემაა, რომლის მოგვარებას ჩვენ შთამომავალი ევერ დაუტოვებთ, თუნდაც იმიტომ, რომ მათ წინაშე აიად რჩება დასმული ეს ამოცანა, რადგან ფიზიკურად აღარ იარსებებს ის, რასაც ჩვენ „ძველ თბილისს“ ვუწოდებთ.

სინამდვილე და სურვილები

არც იმის თქმა შეიძლება, თითქმის არაფერი კეთდებოდეს ძველი თბილისის რეკონსტრუქცია-რევენერაციის საკითხში. თბილისელები მოწმენი არიან იმისა თუ როგორ იცვალა სახე ბართათშვილის ქუჩის ნაწილმა. ქუჩის ზედა წელი გაფართოვდა და მის ერთ მხარეს გამოჩნდა ძველი ქალაქის გალავნის ნაწილი, რომლის ნაშთებზე გასულ საუკუნეში მოხდებოდა აივნისი საცხოვრებელი აშენდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ სარეკონსტრუქციო სამუშაოები ამით არ დაიშორდება და ქუჩის მთელ სიგრძეს მოიცავს. მაშინ მკაფიოდ



დაიკვანის სასახლის მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციის საპროექტო წინადადება — „საინო“. ფასადი ძველი გალავნის გასწვრივ.

აღინშნება ძველი და ახალი ქალაქის ზღვარი. ბარათაშვილის ქუჩის ამ მხარის განაშენიანება ძველი თბილისის თავისებურ „სავიზიტო ბარათად“ იქცევა (რეკონსტრუქციის ავტორია არქიტექტორი შ. ყავლაშვილი). ძველი ქალაქის ამ მცირე ნაწილის რეკონსტრუქციას, გარდა არქიტექტურულ-მხატვრულისა, სხვა მნიშვნელობაც აქვს. ეს მაგალითი მოკრძალებული ილუსტრაციაა იმისა, თუ რა მდიდარი შესაძლებლობებია აღმოუჩენელი ძველ განაშენიანებაში და რამდენად გამდიდრდება თბილისის იერი, თუ დროულად გამოიყენეთ ეს შესაძლებლობები. ამასთან, ამ მცირე მაგალითში: მკაფიოდ გამოაშკარავა ის ნაკლოვანი მხარეებიც, რომელნიც გაგაჭრინა ისტორიული უბნის რევენერაციამო.

საქმე იმაშია, რომ მიღწეული შედეგი ერთგვარად შემთხვევითია, რამდენადაც წინასწარ შესწავლილი და მეცნიერულად შეფასებული არ იყო შემორჩენილი განაშენიანება. უფრო მეტიც, დღესაც არა გვაქვს ერთიანი სურათი იმისა, თუ რას მივიღებთ ბოლოს და ბოლოს ამ ქუჩის განაშენიანებით, რა სახით წარმოვიგვიდგება მომავალში ქალაქის ეს ნაწილი. არაგინ იცის ძველი კედლის რა ნაწილია შემორჩენილი ქუჩის ქვედა ნაწილი, ან რა სურათს წვაყვდებით, როდესაც მოიხსნება ამ უბნის კიდევ შემორჩენილი ამორტივებული სახლები. ამ პირობებში კი ლაპარაკი რაიმე არქიტექტურულ-მხატვრული კონცეპციის შემუშავებაზე ძნელია. აქ არქიტექტორი ერთგვარად თვალახვეული მუშაობს. დასაბანია, რადგან ამ ქუჩის მარცხენა მხარის განაშენიანების სახის დადგენას მეტად პრინციპული მხატვრული და შინაარსობრივი მნიშვნელობა აქვს. ამ ხაზზე გადიოდა ქალაქის რამდენიმე კარიბჭეც, რაც ხუროთმოძღვარს საფუძვლის აძლევს სახეს გარკვეული შინაარსი მიანიჭოს. ჩატარებულ ღირისძიებების შემთხვევითობამ განაპირობა ისიც, რომ სარეკონსტრუქციო სამუშაოები ერთგვარად „კომპეტეიურ“ ხასიათს ატარებს, ქუჩის გარე სახის, ფასადის წესრიგში მოყვანას გულისხმობს და არა უბნის, კვარტალის სიღრმეში კომპოზიციურ გადაწყვეტას.

დღეს კი სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმატება მხოლოდ ქალაქმშენებლურ საფუძველში უნდა ვეძიოთ, „ეკლობრივი“ მიდგომა იმ შედეგს ვერ გამოიღებს, რომლისკენაც ვისწრაფვით და რომელიც ეკადრება თანამედროვე ქართულ საბჭოთა არქიტექტურას. მაგრამ ამ შემთხვევაში არქიტექტორის წინაშე ფართო ამოცანა არ დაუსასავეთ და ეს მოკრძალებული შედეგიც კი, ბევრ შემთხვევაში, ხუროთმოძღვრის პირადი ინიციატივის, მისი „ბრძოლისუნარიანობის“, ენთუზიაზმის ხარჯზეა მიღწეული.

რამდენიმე ხნის წინ ჩატარდა კონკურსი ლენინის მოედნის რეკონსტრუქციის პროექტზე. თავისთავად კონკურსები ხელს უწყობს ხუროთმოძღვართა შემოქმედებით შეჯიბრს, მათ პროფესიულ ზრდასა და დახელოვნებას. მაგრამ ამავერად კონკურსი მოუშადადებელი აღმოჩნდა. საქმე იმაშია, რომ ლენინის მოედანი განლაგებულია შუასაუკუნეობრივი ბირთვის, გასულ საუკუნეში ჩამოყალიბებული სოლოლაკის უბნისა და თანამედროვე ქალაქის ზღვარზე. ეს გარემოება ართულვებს და ამავე დროს საინტერესოს ხდის მომავალი მოედნის შესაძლებელი კომპოზიციურ-მთავრობრივ წყობისა და ამ კომპოზიციამო ჩაქსოვილი მხატვრული სახის იდენს მიგნებას. ზოგიერთი მონაცემებით, ლენინის მოედნის სასრფიო მხარის განაშენიანებაში „ჩამალულია“ ძველი ქალაქის გალავნის ფრაგმენტები. რა სიდიდისაა ეს ფრაგმენტები, რა სიმაღლეზე ამოღის, რამდენად შესაძლებელია, ან თუნდაც სასურველი მათი ჩართვა მოედნის მომავალ არქიტექტურულ-მხატვრულ სახეში? ეს არაგინ იცის, რადგან სათანადო კვლევა არ ჩატარებულა. ამ პირობებში მოსალოდნელი არ იყო, რომ კონკურსის მონაწილენი გამოავლენდნენ ამ საგარდაუდო მხატვრულ კომპონენტს და მოედნის რეკონსტრუქციის სრულფასოვან პროექტს შექმნიდნენ. ნიშანდობრივი ის გადმოიგება, რომ კონკურსის პირობებში არ იყო აღინიშნული მოედნის სპეციფიკური ისტორიული მახასიათებლები, რომელთა გათვალისწინება სასურველი იყო პროექტებში. თუნდაც



ასეთი დეტალი: ლეგლიძის ქუჩის დასაწყისში უძველესი დროინდელ მდებარეობა თბილისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კარიბჭე — კოჯორისა. ამ ფაქტის მითითება საპროექტო მოცულობაში, შესაძლოა, უკანანაებდა კონკურსის მინაწილეთ ამ ადგილის რამე თანამედროვე ხერხით მინიშნებას (სიტყვამ მოიტანა: მსატრულ და შემენებით აზრს მოკლებული არ უნდა იყოს წინადადება, რომ თანამედროვე განაშენიანებაში რაიმე ხერხით აღინიშნოს ძველი ქალაქის კარიბჭეთა ადგილმდებარეობა). ის, რომ კონკურსი ნაადრევად და მოუზარებელი იყო, შემდეგ ფაქტადაც ჩანს: ლენინის მოედანი საერთო საქალაქო ცენტრის მნიშვნელოვანი ელემენტია და მისი დეტალური დაგეგმარება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ქალაქის ცენტრის პროექტი იქნება დამტკიცებული. წარმოუდგენელია ლენინის მოედნის მომავალი კომპოზიციური სქემის დამუშავება, თუ არ გვეცოდინება რა როლი ითვლება მას ქალაქის სატრანსპორტო სქემაში. ისეთი შთაბეჭდილება იქნება, რომ ქალაქის აღმასკომმა კონკურსი გამოაცხადა არა იმდენად ლენინის მოედნის რეკონსტრუქციის პროექტის მიღების, რამდენადაც აღმასკომის ახალი შენობის აგების ურთელობა.

მოყვანილი მაგალითები (ბარათაშვილს ქუჩის რეკონსტრუქცია და კონკურსი ლენინის მოედნის პროექტზე) ერთ საერთო ნაკლებ მეთითებენ: იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ხელს ვკიდებთ ძველი ქალაქის რეკონსტრუქციას, მოუზარებელი აღმოჩენდებით ხოლმე ფართო სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების თვალსაზრისით, ძველი თბილისის განაშენიანება ჯერ კიდევ მეცნიერულად შესწავლულია. მართალია, ამ მხრივაც უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები. პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტზე ტარდება სასარგებლო სამუშაო ამ თვალსაზრისით. გამოვლენილია შემორჩენილი შესაუკუნებარი დანაშნობა, დადგენილია გვიანფოდალური თბილისის ზონირების სქემა და ა. შ. მაინც ეს წვეთია ზღვაში. ფაქტიურად ამ პრობლემაზე ინსტიტუტში ორად-ორი კაცი მუშაობს. შედარებითათვის: ტალინში წლების მანძილზე ძველ ქალაქს სწავლობდა და აფიქსირებდა ხუთი ინსტიტუტი. თბილისის ქალაქთმშენებლური ისტორიის მრავალი ასპექტია შესწავლილი, მაგრამ ბოლო დრომდე კვლევა ისაღვრებოდა მონუმენტური ნაგებობისა და ზოგიერთი საცხოვრებელი სახლის აზომვა-ფიქსაციის ლოკალური ამოცანებით. ისტორიული ძეგლების შემონახვის პრობლემისადმი ქალაქმშენებლური მიდგომა, თვით ისტორიული ძეგლის ცნების გაფართოება მთითხოვს ისტორიული განაშენიანების გლობალურ შესწავლას: თუ ადრე ძეგლის ფიქსაცია წარსლის შესწავლას ისახავდა მიზნად, დღეს ასეთი კვლევა არა მარტო წარსლის დადგენას ემსახურება, არამედ, უმეტესად — ქალაქის მომავალს. სწორედ მომავლისათვის ზრუნვის ასპექტზე ბევრად განსაზღვრავს შეაუკუნებარი ბირთვის კვლევის მეთოდიკას. შესწავლის ძირითადი მიზანია გამოავლინოს ძველი ქალაქის არქიტექტურული იერის განუმეორებლობის მიუხეობრივი მოვლენები, კონკრეტული ისტორიული, სოციალური, ფუნქციური, ქალაქთმშენებლური ფაქტორების გათვალისწინებით. ამავე დროს ასეთი გამოკვლევა უნდა იყოს არა არსებულის „აქადმისური“ ფიქსაცია, არამედ მუდამ უნდა ითვალისწინებდეს, რომ იგი რეკონსტრუქციას დაედება საფუძვლად და, ამდენად, მომავალს ემსახურება. მხედველობაში გვაქვს, რომ კვლევამ უნდა დაადგინოს ქალაქის ძველი უბნების თუ შენობათა ჯგუფების

არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულება და შეადგოს საფუძვლი დალური ქალაქის შემონახული ნიშან-თვისებები — გეგმარებითი სყოლი, სოცეობრივი აღნაგობა, ქუჩების, უბნების ცალკეული ჯგუფების განაშენიანების ხასიათი, მოცულობითი აქცენტების და ძირითადი განაშენიანების მასშტაბური დამოკიდებულება; ლანდშაფტის როლი განაშენიანების ხასიათში, არქიტექტურულ-მოცულობითი წყობის და ფუნქციური ზონირების ურთიერი გავიშორი კვლევის შედეგში ეტაპ გულისხმობის შემორჩენილი განაშენიანების ინვენტარიზაციას არა ცალკეული შენობის, არამედ შენობათა ჯგუფის, კომპლექსის ცალკეული ნაკვეთისა, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთიან ერთეულად იქნება განსაზღვრილი. ამავე კვლევა საკმაოდ რთული და შრომატევადი ამოცანაა, რომლის შესრულება რამდენიმე ძლიერმა კოლექტივმა უნდა იცისროს. მაგრამ ჯერჯერობით არა ჩანს ორგანიზაცია, რომელიც კვლევის ფინანსურ და ტექნიკურ უზრუნველყოფას იცისრებს და დაწესებულება, რომელიც ასეთ კომპლექსურ კვლევას ჩაუდგება სათავეში.

რამდენიმე წლის წინ საპროექტო ინსტიტუტ „თბილქალაქპროექტი“ ცალკე სახელოსნო ჩამოყალიბდა, რომელიც მხოლოდ ისტორიული უბნების რეკონსტრუქციის ამოცანებით არის დაკავებული. სახელოსნოში მცირეერიცხოვანი, მაგრამ შემოქმედებითი პოტენციებით საკმაოდ ძლიერი ძალებია თავმოყრილი. არის პირველი შედეგებიც. დამუშავდა რეკონსტრუქცია და რეკონსტრუქციის საინტერესო პროექტი, კერძოდ, რამდენიმე საცხოვრებელი სახლის, ქარავანლებისა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ავღარის გალავანის მიკვლევებით ძველი თბილისური უბნის რეკონსტრუქციის საპროექტო წინადადება (არქიტექტორები ა. ბაქრაძე, ვ. ორბელიანი, გ. ჯავახიძე, ნ. ჯობაძე). პროექტს „საჩინოს“ უწოდეს (სარეკონსტრუქციო კომპლექსში შედის დარეჯანის სახსლევ — „საჩინოს“). პროექტი გეოავაზობს ლენინის და მეტრის აღმართებს შორის მოქცეული უბნის სასტუმრო კომპლექსად გადაქცევის უცხოელი ტურისტებისათვის. ავტორებმა საინტერესო კომპოზიციურ გზებს მაგანეს როგორც ქალაქთმშენებლური, ასევე გეგმარებითი, მოცულობითი წყობისა და მხატვრული თვალსაზრისით. საქმე გვაქვს ქალაქის ერთ-ერთი ძველი უბნის რეკონსტრუქციის კომპლექსური პროექტირების არსებითად პირველ ცდასთან. მაგრამ ზემთ მოყვანილი პროექტები ჯერჯერობით პროექტებად რჩება და მათი განხორციელების რეალური საფუძველი არა ჩანს. საქმე იმაშია, რომ „საჩინოს“ პროექტს დამკვეთი არა ჰყავს და იგი ავტორთა ჯგუფის კერძო ინიციატივას უფრო ჰყავს, ვინემ რეალურ ბაზზე დაყრდნობილ მოთხოვნილებას. იგივე მდგომარეობაშია ქარავანების რეკონსტრუქციის პროექტიც. რაც შეეხება საცხოვრებელი სახლების რეკონსტრუქციის პროექტებს, აქ რაიონის ხელისუფლებათა ფანჯახისა თუ მატერიალური შესაძლებლობანი სარეკონსტრუქციის განმარტებულ სამუშაოებს არ გადაცემდა და არქიტექტორთა მიერ სწორად აღებული შემოქმედებითი გეზი ამ შემთხვევაშიც, შესაძლოა, ამაო აღმოჩნდეს.

